# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 26 სექტემბერი 2000 №185 (1207) | ფასი 50 თეთრი

# გიორგობის კვირა

## გიორგი ვაზაგაშვილის ბრინჯაოს გიორგი ასანიძისა დაემატა



გიორგი ასანიძემ (მარჯვნივ) და გერმანელმა მარკ ჰუსტერმა (მარცხნივ) ბერძენ პიროს დიმასს ოლიმპიური ჩემპიონობა ამგვარად მიულოცეს

REUTERS სიდნეიდან

## გუშინ ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ

### პლაჟის ფრენბურთი

**ქალები**
ნატალი კუკი — კერი პოტსარსტი (ავსტრალია)

### ტანვარჯიში

**ვაჟები. ღერძი**
ალექსეი ნემოვი (რუსეთი)

**ვაჟები. ორძელი**
ლი სიაოპენი (ჩინეთი)

**ვაჟები. ხტომები**
გერვასიო დეფერი (ესპანეთი)

**ქალები. თავისუფალი ვარჯიში**
ელენა ზამოლოდჩიკოვა (რუსეთი)

**ქალები. ძელი**
ლიუ სუანი (ჩინეთი)

### აფროსნობა

**ვაჟები. 49-ე**
ტომას იოჰანსონი — იურკი იარვი (ფინეთი)

### ძალოსნობა

**ვაჟები. 105 კგ**
ჰოსეინ ტავაკოლი (ირანი)

### მაგიდის ჩოგბურთი

**ვაჟები**
კონგ ლინგჰუი (ჩინეთი)

### მძლეოსნობა

**ქალები. 400 მ**
კეტი ფრიმენი (ავსტრალია)

**ვაჟები. სამხტომი**
ჯონათან ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი)

**ქალები. 800 მ**
მარია მუტოლა (მოზამბიკი)

**ვაჟები. 400 მ**
მაიკლ ჯონსონი (აშშ)

**ვაჟები. ბადრო**
ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა)

**ვაჟები. 110 მ. თარჯრბენი**
ანიერ გარსია (კუბა)

**ქალები. 5000 მ**
გაბრიელა საბო (რუმინეთი)

**ქალები. ჭოკით ხტომა**
სტეისი დრაგილა (აშშ)

**ვაჟები. 10 000 მ**
ჰაილე გაბრესელასიე (ეთიოპია)

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## შუმახერმა და ფერარიმ დაკარგული ამერიკაში იპოვეს



მიხაელ შუმახერი

REUTERS ინდიანაპოლისიდან

კვირას ინდიანაპოლისის განახლებულ ტრასაზე აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშება „ფერარის“ ტრიუმფით დასრულდა.

მიხაელ შუმახერი მეშვიდე წრეზე დევიდ კულტჰარდის გასწრების შემდეგ სათავეში მოექცა რბოლას და ბოლომდე აღარც დაუთმია ლიდერობა. მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი რუბენს ბარიკელო გავიდა, მესამეზე ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი („ჯორდანი“). მიკა ჰაკინენის „მაკლარენი“ ასიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ გამოეთიშა ბრძოლას.

„ფერარიმ“ ორივე ჩათვლაში დაიბრუნა დროებით დაკარგული პირველობა: შუმი ჩემპიონატის ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე რვა ქულით უსწრებს ჰაკინენს, ხოლო კონსტრუქტორთა თასზე სისხლისფერი ბედაურები ათ ქულას უგებენ „მაკლარენს“.

საოლიმპიადო ამბავთა და წერილთა სიჭარბის გამო ეტაპის ტრადიციულ მიმოხილვას ხვალინდელ „სარბიელში“ შემოგთავაზებთ.

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

# 6 ტური

23 სექტემბერი, შაბათი

დილა 0:1 ტორპედო
კოლხეთი 1:0 სიონი
მერანი 1:0 თსუ
იბერია 0:0 გორდა
ლოკომოტივი 3:0 დინამო
ვიტ ჯორჯია 1:0 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 6 | 0 | 0 | 10:1 | 18 |
| ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | 17:3 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 |
| მერანი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| დინამო | 6 | 3 | 0 | 2 | 5:8 | 9 |
| გორდა | 6 | 2 | 3 | 1 | 8:11 | 9 |
| დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ბათუმი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | 6 |
| თსუ | 6 | 2 | 0 | 4 | 9:13 | 6 |
| კოლხეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | 6 |
| სიონი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:8 | 3 |
| იბერია | 6 | 0 | 1 | 5 | 1:10 | 1 |

# საით, ჩემპიონატო?

გორი
23 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
1300 (ტევადობა 8 230)

**დილა 0:1 ტორპედო**

0:1 შალამბერიძე (21)
დილა: ილურიძე, ჭკოფიანი, გრიგალაშვილი, ლომიძე ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, ხოხბაშვილი, ეჯოშვილი (გ. ტულუში 30), კოტორაშვილი, ხორგუაშვილი, ხმალაძე (ფეჩუაშვილი 41, ოლგუქაშვილი 87)
სათადარიგონი: მდივანი; ციცქიშვილი, საყვარელიძე დ. მაისურაძე
ტორპედო: ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე, შეყრილაძე, პ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია (ჩხეტიანი 63), ფათიბერაძე (ჩხაიძე 77), შალამბერიძე, გუჩუა, იმედაძე (ასათიანი 53), ხვადაგიანი
სათადარიგონი: ტოგონიძე; თურმანიძე, თავბერიძე, ახვლედიანი
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

**პაატა კვანტალიანი გორიდან**

**მეტყველებს** კი ტაბლო (ჩვენი პირობების კვალობაზე საუცხოოდ რომ მუშაობს გორში) ბევრ რამეზე? გააჩნია. თუ მხოლოდ ციფრები გვაინტერესებს... იქ 0:1 ეწერა, თითქოს ამით ყველაფერია ნათქვამი, ჩემპიონმა გაიმარჯვა, სამი ქულაც სამი ქულაა, მაგრამ... საქმეც ისაა, რომ მხოლოდ ანგარიში დაიტია „ცენტრალურის" კომპაქტურმა, მავანთა ძალისხმევით დღესაც გამართულმა ელექტროტაბლომ, თორემ მეტის თქმა რომ შესძლებოდა გორულ მატჩში გუნდების უგერგილო ნაცოდვილარზე...

ამ გაგანია მსაჯების კრიტიკის პერიოდში უნებურად ერთი კითხვა გამიჩნდა მატჩის შემხედვარეს — ფეხბურთის დონე უფრო მაღალია ჩვენში თუ მსაჯობის? პასუხი, როგორიც არ უნდა იყოს, იგი ვერავის ანუგეშებს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ პირველი აშკარად ჩამორჩება მეორეს.

„ტორპედო" გორში ყოველთვის მოსაგებად ჩადის, მაგრამ ხანდახან შერცხვენილიც გაბრუნებულა შინ. უხერხულ მეტოქეებზეც რომ დაეკითხოთ ქუთათურებს, უმალ „დილაზე" მიგანიშნებენ და ამიტომაც იყო, მასპინძელთა ძლევა გამორჩევით რომ გაუხარდათ შაბათის მატჩში სტუმრებს.

მაგრამ ჩემპიონმა ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა. „ტორპედო" რომ „დილასთან" ძალების დაზოგვას და მოდუნების საშუალებას არ მისცემდა თავს, ნათელი იყო, თუმცა... ქუთათურები მეორე წუთზევე შეარყია საჯარიმოს მისადგომებიდან ლომიძის გასროლილმა ბურთმა. ამ ეპიზოდში ჩემპიონი ზოიძემ იხსნა. მერე კი ბევრიც არაფერი მომხდარა, ბურთის უაზრო გორება გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა 21-ე წუთამდე, აქ კი სტუმართაგან ყველაზე მოძრავი გუჩუა „დილას" საჯარიმოს სიახლოვეს წაიქცა. ჯარიმა შალამბერიძემ შეასრულა და კედლისგან ასხლეტილი ბურთი კარში აღმოჩნდა — 0:1. საპასუხო შეტევა მასპინძლებმა 38-ე წუთზე განახორციელეს, შეცვლაზე შესული გიორგი ტულუშის ფლანგურ ჩაწოდებულს ხოხობაშვილის მცირედ აცილებული თავური მოჰყვა.

მეორე ნახევარში კი სტუმრებს მეტი პროფესიონალიზმი რომ გამოევლინათ, უეჭველად დიდი ანგარიშით შეარცხვენდნენ ქართლელებს, მაგრამ საქმეც ეს არის, გადამწყვეტ მომენტში ისე უსუსურად იქცეოდნენ ტორპედოელები, ჩემპიონი კი არა, სკოლის პირველობის რიგითი გუნდი გეგონებოდათ. ციდან ვარსკვლავები არც „დილას" მოუწყვეტია, ალმა-დალმა უმისამართო სირბილში მოილიეს 90 წუთი გორელებმა, მაგრამ მეტოქისგან განსხვავებით მათ პრაქტიკულად არ მისცემიათ შანსი.

მოკლედ „ტორპედომ" გაიმარჯვა, ლოგიკურადაც (მეტოქისგან განსხვავებით უტევდა მაინც). ჩვენ კი ის ვიკითხოთ, მსგავსი მატჩებით საით წავა ეროვნული ჩემპიონატი.

# სტენოგრამულად

თბილისი
23 სექტემბერი
17 საათი
სინათლე
1000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 1:0 თსუ**

1:0 დევიძე (82)
გოდერძიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (78, მეკარე)
მერანი: დევაძე, ოდიშარია (თოლორდავა 84), გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, დ. გოდერძიშვილი, ქინქარაული, მინაშვილი, მუხინი, ბაჯელიძე (გ. კვეტენაძე 61), ბოლქვაძე (ივანიშვილი 74)
სათადარიგონი: ნაჭყებია; გ. ილურიძე, კობესაშვილი, კოშკაძე
თსუ: გუგუნავა, ზვ. ლაბაძე, ხარებავა (კვიციანი 35), ებრალიძე, ადამია, სვანაძე, რ. გოცირიძე, ახალაძე (ვ. ალადაშვილი 80), მესხი, ერაძე, ბოკერია (წუწუნავა 62)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ბ. ნოზაძე, მორჩილაძე, ვადაჭკორია
გაფრთხილება: ცქიფურიშვილი (16), დევიძე (45), გოდერძიშვილი (64), კვიციანი (64), სვანაძე (78)
გაძევება: მესხი (76)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე ზ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ორდენიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

**დავით თავართქილაძე**

**მძაფრსიუჟეტიანი** მატჩები და ამბები „სინათლეს" ბევრი ახსოვს. ავჭალაში ამჯერადაც თვალსასეირო ბურთაობა გაიმართა — ჯიგრიანი, სწრაფი და გახსნილი თამაში. სტუდენტები ბეჯითად გაისარჯნენ, მაგრამ ფორტუნამ და ალბათ უფრო გამოუცდელობამ დაალალატა. მათ ახალგაზრდულ შემართებას შედარებით ასაკოვანი მერანელები ასევე ჟინიანად დაუხვდნენ. თანმიმდევრულად კი ყოველივე ასე იყო.

სტუმართა საჯარიმოს წიბოს სიახლოვიდან ანდრეი მუხინის გასროლილს კოტე გუგუნავა ყოჩაღად დაუხვდა.

მერანელთა მეგოლე დავით გოდერძიშვილი შეტევის მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და იქიდან სცადა ბედი, მაგრამ კვლავ სტუდენტთა გოლკიპერმა ივარგა.

კახა ახალაძემ დაახლოებით 20-22 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, აკაკი დევაძემ ბურთი უხერხულად მოიგერია და მასპინძლებს ძელიც შეეშველათ.

შემდეგ გიორგი ადამიამაც გამოსცადა ჩვენი ეროვნული გუნდის ექსმეკარე — დევაძე უფრო ახლო მანძილიდანაც შეუვალი აღმოჩნდა.

დავით ბოლქვაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან სტუმართა კარისკენ არაზუსტად დაარტყა.

ახალაძე-გოცირიძე-ბოკერიას სწრაფი კონტრშეტევის შედეგად ბოკერია ლამის პირისპირ აღმოჩნდა დევაძესთან — მერანელები კვლავ მეკარემ იხსნა.

მეორე ტაიმში პირველად სახიფათოდ თსუ-მ შეუტია. კარგი შანსი მიეცა რევაზ გოცირიძეს — ისევ დევაძემ იყოჩაღა.

კიდევ უფრო ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა არჩილ ბოკერია, როცა კახა ახალაძის ფლანგური გარღვევისა და ზუსტი პასის შედეგად მცველთაგან უმეთვალყურეოდ დარჩა თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან, მაგრამ ძალიან დაახანა და დარტყმაც გაუცუდდა.

ამის მერე კი უკვე „მერანმა" იძალა: ბაჯელიძეს სახიფათოდ დარტყმული ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

მუხინის გასროლილი კი გუგუნავამ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია კუთხურზე.

მუხინის ფლანგურ ჯარიმას დავით მინაშვილის ოდნავ არაზუსტი თავური მოჰყვა.

78-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან უკრაინელის კიდევ ერთ ჩაწოდებულს ახლა უკვე სოსო დევიძემ შეაგება თავი. ბურთს რამაზ სვანაძე გადაეღობა და სერგო კვარაცხელიამაც თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა.

გოდერძიშვილმა ძლიერი „კუთხე" დაარტყა, მაგრამ გუგუნავამ მიმართულებაც გამოიცნო და ბრწყინვალე რეაქციაც გამოავლინა.

დევიძე სტუმართა საჯარიმოს სიახლოვეს დაეუფლა ბურთს, მარჯვენა ფეხისკენ მშვიდად გაისწორა, გუგუნავა საპირისპირო სვლაზე გამოიჭირა და ასე 20 მეტრიდან მარჯვენა დაბალ კუთხეშიც გაუტანა.

გუგუნავა ორჯერაც შეაწუხეს — ჯერ კვეტენაძეს აჯობა, მერე მუხინს.

არც დევაძე დარჩენილა ვალში, როცა ბოკერიას კარგი შანსი დააკარგვინა.

ნამატჩევს პრესკონფერენცია შედგა.

*სერგო გაბელაია, „მერანის" მწვრთნელი:*

— ტემპიანი, სანახაობრივი, ორმხრივად კარგი ბრძოლა გაჩაღდა. ფრეს ვერაფრით შევეგუებოდით და მეორე ტაიმში რისკზე წვედით, უფრო დიდი ძალებით შევუტიეთ. საერთოდ მსურს, რომ „მერანმა" სულ უფრო და უფრო ზუსტად, აგრესიულად ითამაშოს, ახლებური სტილით.

ჩემი ფეხბურთელების კმაყოფილი ვარ, ვერავის გამოვარჩევ. თუმც უნდა აღვნიშნო, რომ არა აკაკი დევაძის კარგი თამაში, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

*თენგიზ კაცია, თსუ-ს მწვრთნელი:*

— საგოლე მომენტების გაცუდება ჩვენი აქილევსის ქუსლია. მეორე ტაიმში შეცდომებს ვუმატეთ, „მერანი" კი ცენტრში უფრო კარგად გაისარჯა და უპირატესობასაც დაეუფლა. ჩემებისთვის დაცვაში ჩადგომა არ დამივალებია, პირიქით, ვუთხარი, სისწრაფეს მოუმატეთ და შეუტიეთ-მეთქი, მაგრამ...

ახლა ზოგი რამ მსაჯებზეც: სვანაძეს ბურთი მკერდზე მოხვდა, კვარაცხელიამ კი ამისთვის პენალტი დანიშნა. მინდორი დაატოვებინა მიხეილ მესხს, ხოლო მერანელის მხრიდან გინებაზე რეაგირება არ მოუხდენია. ჩემი ფეხბურთელის თუ გაიგონა, რა, მერანელისას ვერ გაიგებდა? განა შეიძლება, რომ თითქმის ყველა ძალისმიერ ბრძოლაზე და „პადკატზე" მსაჯმა ჯარიმა დადოს? პირიქით, ჩვენი ფეხბურთელები ამას უნდა მივაჩვიოთ, თორემ დახედეთ რა ხდება, ქართული ფეხბურთი ქალთა ფეხბურთს ემსგავსება.



ნუკრი მარშანიშვილის ფოტო

სოსო დევიძის (შუაში) ამ თავურის შემდეგ არბიტრმა რამაზ სვანაძისგან (მარჯვნივ) ხელით თამაში დააფიქსირა

# პენალტი: სიონის უბედურება

ფოთი
23 სექტემბერი
17 საათი
ფაზისი
1500 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 1:0 სიონი**

1:0 შავგულიძე (54)
შავგულიძემ ვერ გაიტანა პენალტი (54, მეკარე)
კოლხეთი: გ. გვასალია, ქუნთელია, ტორჩინავა, პაპავა, კეჟელაშვილი (კრასოვსკი 46), ფაჩულიძე, ხუჭუა, ღალანიძე, კვირკველია (მაღლაკელიძე 75), ე. გვასალია, შავგულიძე (თედევე 82)
სათადარიგონი: ჩემია; გ. ჩიტაია, ქანტურიძე, ბ. ჩიტაია
სიონი: ვოლკოვი, პ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ბარნოვი, დიმიტრიშვილი, თ. სამხარაძე (ც. მეტრეველი 78), მ. სამხარაძე (ჯღამარიძე 78), სოლოღაშვილი, ისიანი, მოსეშვილი, წიკლიაძე (ჩიგოლიშვილი 80)
სათადარიგონი: დოლაქიშვილი
გაფრთხილება: ვოლკოვი (18), პაპავა (70)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი), მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე; ლ. რაზმაძე (სამივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**გოჩა ჯანაშია ფოთიდან**

**შაბათს** „ფაზისზე" შეყრილი სტუმარ-მასპინძლისთვის, ამ მატჩს დიდი დატვირთვა ჰქონდა. და ეს არც იყო გასაკვირი — ორივე გუნდმა ხომ ზედიზედ 3 მარცხი იწვნია. აი, კიდევ ერთი წარუმატებლობა უკვე მეტისმეტი იქნებოდა.

განსაკუთრებით ეს უფრო „კოლხეთზე" ითქმის, რომელიც მეტოქეს ახალი მწვრთნელით უნდა დაპირისპირებოდა. ჰოდა, კლუბში ხელახლა აღზევებული სოსო ფილიას დებიუტი, ერთიორად ზრდიდა, ისედაც არც თუ უმნიშვნელო ინტრიგას.

ბევრი მოელოდა, „კოლხეთი" პირველივე წუთებიდანვე რომ შეუტევდა, მაგრამ ფილია სხვაგვარად მოიქცა. მისი ჩანაფიქრი ასეთი იყო — „კოლხეთს" მოედნის ცენტრი შეგნებულად უნდა დაეთმო, რათა მეტოქე თავის ნახევარზე შეეტყუებინა. იქ კი ბოლნისელთა შეტევის ჩაშლას, სწრაფი კონტრშეტევა უნდა მოჰყოლოდა, რომლის განხორციელებაც ფლანგებზე განმწესებულ ჰავბეკებს ევალებოდათ. ასეთმა ტაქტიკამ განსაკუთრებით გატანილი გოლის შემდეგ გაამართლა, როცა გასაყაიმებლად წინ, წასულ სტუმრებს, უკანა ხაზი მოუშიშვლდათ.

მანამდე კი, ბურთი ძირითადად მოედნის შუაგულში ტრიალებდა და საგოლე მომენტებიც არცთუ ხშირი იყო. ბუნებრივია „კოლხეთი" უფრო აქტიური იყო, მაგრამ ქვემო ქართლელთა კარგად ორგანიზებულ დაცვას, ვერაფერს უხერხებდა.

სტუმართ დრო და დრო არც წინ წასვლა ავიწყდებოდათ და ერთხელაც ახლოს იყვნენ მიზანთან. მოსეშვილის მარჯვნიდან ჩაწოდებულ დაბალ პასზე, საჯარიმოში შეჭრილმა ისიანმა წამით დააგვიანა, თორემ...

ზღვისპირელებს შესვენებამდე, საგოლე მომენტები, ასე თუ ისე ჰქონდათ, მაგრამ აქედან ორი განსაკუთრებით მწვავე იყო. ტაიმის შუასთვის ელდარ გვასალიას მართებდა გატანა, თუმც, მის ახლოდან დარტყმულს ბოლნისელი მცველი გადაეღობა. ბოლო წუთებში კი დიდებულად გაისარჯა თეიმურაზ ვოლკოვი, როცა თავის საჯარიმოში შექმნილ ზედა-ხორაში ერთ-ერთმა კოლხმა შეძლო კარში დარტყმა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, რომ არა ვოლკოვი. მან ბოლო მომენტში წარმოუდგენელ ნახტომში შეძლო ბურთის მოგერიება.

თამაშის განახლებიდან ათ წუთს არ გაევლო, მატჩის ერთადერთი გოლი რომ გავიდა. „სიონის" საუბედუროდ კვლავ საეჭვო პენალტით. საჯარიმოში ელდარ გვასალიამ ბურთი ჯეროვნად ვერ დაიმორჩილა და მისგან ასხლეტილი კახა გოდერძიშვილს ხელზე მოხვდა. საპენალტო აქ არაფერი იყო, მითუმეტეს, რომ ეს ეპიზოდი კარისგან შორს, საჯარიმოს კიდესთან მოხდა და ბურთიც კარის საპირისპირო მხარეს მოძრაობდა. მიუხედავად ამისა ანიაშვილმა სხვაგვარად განსაჯა. პენალტის ნიშნულიდან შავგულიძეს ვოლკოვმა დარტყმა კი აული, მაგრამ რად გინდა — მოგერიებულს თავად ლევანმა მიუსწრო.

„სიონი" მატჩის გადარჩენას შეეცადა, მაგრამ დაცვაში საიმედოდ გარჯილ კოლხებს, სერიოზულად ერთხელაც ვერ დაემუქრა. სამაგიეროდ, მასპინძენლთა კონტრშეტევები სულ უფრო მწვავე იყო და ორ-სამჯერ ანგარიშის გაზრდაც შესაძლებელი გახლდათ, თუმცა, საბოლოო ფაზაში მათ სიზუსტე დააკლდათ.

არჩვაძის შეცვლებმაც ვერ გამოიღო შედეგი და მატჩიც 1:0 მორჩა. მართალია „კოლხეთმა" მთლად დამაჯერებლად ვერ მოიგო, მაგრამ ესეც საკმარისი იყო.

*ნაპოლეონ არჩვაძე, „სიონის" მწვრთნელი:*

— ვულოცავ „კოლხეთს" გამარჯვებას და მოხარული ვარ სოსო ფილიას წარმატებით. ეს კაცი ფეხბურთში ჭიპმოჭრილია და მისი გუნდში დაბრუნება, უდავოდ წარმატების საწინდარია. მეტოქემ დღეს ტაქტიკით გვაჯობა. ბიჭებთან კი საპრეტენზიო არაფერი მაქვს. რაც შეეძლოთ ითამაშეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მსაჯობაზე რაღა ვთქვა, უბრალოდ სირცხვილია, ბოლო ოთხ თამაშში, საეჭვო პენალტებით ვაგებთ. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე?

*სოსო ფილია, „კოლხეთის" მწვრთნელი:*

— ჩვენი უპირველესი ამოცანა სამი ქულა იყო. გუნდი ღრმა კრიზისში იყო და მიმაჩნია, რომ ამ კრიზისის მიზეზების დიაგნოზი დასმული გვაქვს. გუნდის სათამაშო დისციპლინით და ტაქტიკით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა თავი არ დაზოგეს და მიაღწიეს კიდევაც შედეგს.

დღევანდელ „სარბიელში" საფეხბურთო გვერდებია 2, 3, 4, 13, 14, 15, 16

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. VI ტური

ალემანია 1:1 მიონხენგლადბახი



„ლოკომოტივის“ კაპიტანმა კახა გოგიჩაიშვილმა მურთაზ შელიას თავი წააქცევინა და პენალტი მოინადირა

# ეროვნულზე წახდა დინამო

თბილისი
23 სექტემბერი
17 საათი
ეროვნული
2 000 (ტევადობა 70 900)

**ლოკომოტივი 3:0 დინამო**

1:0 გოგიჩაიშვილი (35პ) 2:0 გონჩაროვი (37) 3:0 ძოძუაშვილი (88)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე, ლუ ვან სილაგაძე, ხიზანიშვილი, კვარაცხელია, გოგიჩაიშვილი, გონჩაროვი (გილაური 78), რუაია (მარამონოვი 66), თოდუა, ქიქვიშვილი (ძოძუაშვილი 71)
სათადარიგონი: ივარდავა; ხუროძე, სალუქვაძე, დათაშვილი
დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე (ზამთარაძე 46), შელია, მაშიაშვილი, ა. სახვაძე, ჯინჭარაძე, სიჭინავა, გადელია, გ. ჯ. მიქაძე (ზირაქიშვილი 46), მაზიაშვილი (დათუაძე 46)
სათადარიგონი: ჩიხრაძე; რუხაძე, კანდელაკი, კ. გოგოლაძე
გაფრთხილება: შელია (16), თოდუა (44)
მსაჯები: მ. მალაღურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); მ. ურუშაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

მამუკა კვანტალიანი

„დღევანდელ მატჩში ფეხბურთელებმა სული და გული ჩადეს. იბრძოლეს, თავი არ დაზოგეს და „ლოკომოტივს“ უბრალოდ გაუმართლა, თორემ ასეთი ანგარიშით ვერ მოვიგებდით“. რკინიგზელთა თავკაცმა აშკარად დაინდო შვილის ტოლი კოლეგა, შეაგულიანა, გული მოუკეთა. ირგვლივ ყველამ ვიცოდით, რომ ძოძუაშვილი შეგნებულად ტყუოდა. შაბათს „დინამო“ გუნდს კი არა, მინდორზე ძალით შეყრილ ბრბოს უფრო ჰგავდა.

...იჯდა რევაზ არველაძე სათადარიგოებთან, სიგარეტს ეწეოდა. პირველად ვნახე მწეველი რევაზი. ნერვიულობდა, მისი გუნდის დაცვა შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, შუა და წინა ხაზი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. მეტოქე მძლავრობდა მოედანზე...

„დინამომ“ ერთი საგოლე მომენტიც ველარ შექმნა, „ლოკომოტივის“ კართან. ზოგჯერ ლომაიას ვითომ აწუხებდნენ, მაგრამ მეკარეს ყველა დარტყმის შემდეგ ბურთი ხელებში მისდიოდა.

სამაგიეროდ, რკინიგზელები სახიფათოდ უტევდნენ სტუმართა კარს. გრიშიკაშვილმაც რამდენჯერმე მოიგერია ძნელი ბურთი. „დინამო“ 35-ე წუთამდე მაინც ყოჩაღად იდგა, მერე კი ერთიანად მოიშალა.

მასპინძლების გამარჯვება კახა გოგიჩაიშვილმა გამოძერწა. ჯერ საჯარიმოში ბურთიანად შევარდნილმა „დინამოში“ გამოჩენილ მურთაზ შელიას თავი წააქცევინა და პენალტი მოინადირა, რომელიც თავადვე აქცია გოლად. ორიოდ წუთში გოგიჩაიშვილმა გრძელი პასით გონჩაროვი გაიყვანა გარღვევაზე. შელიამ და ვაშაკიძემ თავდამსხმელი ველარ შეაჩერეს. ბორისმა მცველები სისწრაფეშიც დაჩაგრა და ორთაბრძოლაშიც იმარჯვა. წინ გამოსულ გრიშიკაშვილს ბურთი თავზე გადაევლო და „დინამოს“ კარში შევარდა. ლამაზი გოლი კი იყო.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივს“ რამდენჯერმე შეეძლო გატანა, მაგრამ გრიშიკაშვილი კვლავაც ვარგობდა.

88-ე წუთზე დინამოელთა მეკარე იძულებული შეიქნა, ბურთი საკუთარი კარის ბადიდან მესამედ გამოეტანა. გოგიჩაიშვილმა კარგი პასით ძოძუაშვილი სამი სტუმარი მცველის ზურგს უკან დატოვა, ხოლო თურქეთიდან „ლოკომოტივში“ ახალმობრუნებულმა ფორვარდმა მატჩს საბოლოო წერტილი დაუსვა.

თამაშის შემდეგ დინამოელები მეექვსე ტურის დანარჩენი მატჩების ანგარიშებს კითხულობდნენ. ამის მოწმე რამდენიმე ქომაგიც გახდა. სწორედ მათ ჩაილაპარაკეს დანანებით, წასულია „დინამოს“ საქმეო. შაბათს „ეროვნულზე“ მართლაც წახდა „დინამო“.

# პირველი და მეცხრე

ზესტაფონი
23 სექტემბერი
17 საათი
მეტალურგი
500 (ტევადობა 10 000)

**იბერია 0:0 გორდა**

იბერია: ჩომახიძე, ძვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, გიორგაძე (მუმლაძე 44), ლ. ხმალაძე, ბიწაძე, ოდიკაძე, ზ. მეტრეველი (ჩიმაკაძე 85), გოგიაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე; ყურაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ონიანი
გორდა: ნიკურაძე, გაბელაია, დ. ბერიძე, ა. ბურნაძე, ბექაური, ზ. ლაბაძე, მელაძე, კიტეიშვილი, მიშველიძე, კ. ალადაშვილი (ბაჩილავა 33), ოსკანაშვილი (მ. სახვაძე 53)
სათადარიგონი: გონგაძე; მჭედლიძე, ფოჩხუა, გ. გ. მიქაძე
გაფრთხილება: სახვაძე (54), გაბელაია (68), ბაჩილავა (70), მუმლაძე (75), ლაბაძე (85)
გაძევება: მუმლაძე (88)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ს. შალამბერიძე, ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

იუზა კაციტაძე ზესტაფონიდან

„იბერიას“ სამტრედიაში მოყვარეზე მეტი მტერი რომ ჰყავს, წინა ტურში საბოლოოდ გაცხადდა. გახსოვთ, „იბერია“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩის „ორგანიზატორებმა“ გაუკრეჭავ-დაუხაზავი მინდორი დაახვედრეს მეტოქეებს და... „საკუთარ“ გუნდს უთამაშებლად წააგებინეს.

სხვისი არ ვიცი და მე კი ვფიქრობ, სწორად მოიქცნენ იბერიელები სამტრედიაში ჩასვლა რომ აღარ ისურვეს და „გორდასთან“ დასაპირისპირებლად ზესტაფონის სტადიონი არჩიეს. „ვინც არ უნდა იყოს, მოედანს როგორ დავამადლით, ოღონდ ჩვენში ფეხბურთი არ მოკვდეს. „იბერიას“ პრეზიდენტმა გვთხოვა და ჩვენც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვუთმობთ სტადიონს სამტრედიელებს. თუ დასჭირდათ, მომავალშიც ვუთანაგრძობთ“ — ეს სიტყვები პირველიგელი კლუბის, „მეტალურგის“ პრეზიდენტს ნუგზარ მდივანს ეკუთვნის.

საამმატჩოდ „გორდას“ 8 ქულა ჰქონდა, ხოლო „იბერია“ საერთოდ უქულოდ იყო. ბუნებრივია, ახალგაზრდა იბერიელები ნავსის გატეხვას ლამობდნენ, გასამარჯვებლად იყვნენ განწყობილნი და თავიდანვე შეტევაზე გადავიდნენ. პირველი ხიფათი ნიკურაძის კარს მერვე წუთზე შეექმნა. სოსო გიგიაძემ საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა და ოდნავ გადააცილა ხარიხას. გარდა ამ მომენტისა შესვენებამდე ფორმალურ მასპინძლებს, სულ მცირე, სამჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ არ გაუმართლათ. ჯერ ოდიკაძემ და მერე ზურაბ მეტრეველმა ახლო მანძილიდან ნიკურაძეს ვერ ააცილეს, ხოლო რუსთაველთა საჯარიმოს კუთხიდან ლაშა ხმალაძის უძლიერესი დიაგონალური დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ჯვარედინმა აისხლიტა.

ერთი-ორჯერ „გორდაც“ გაიწია გასატანად. 44-ე ნომრით მოთამაშე ოსკანაშვილმა ჩომახიძის მიერ მოგერიებულს, მართალია, ახლოდან, მაგრამ მახვილი კუთხიდან ძლიერი დარტყმა შეაგება და ძელს გაარტყა. მიშველიძეც ახლოს იყო მიზანთან, თუმც ჩომახიძემ ამჯერადაც იმარჯვა.

მეორე ტაიმში „იბერიას“ უპირატესობა აღარ იგრძნობოდა, თამაში გათანაბრდა და საგოლე მომენტებმაც იკლო. მეტოქეები სერიოზულად თითოჯერ დაემუქრნენ ერთმანეთს. 76-ე წუთზე „გორდას“ კართან კუთხურს იბერიელთა ცენტრალური მცველის ნოზაძის სახიფათო თავური მოჰყვა — ბურთი მცირედით ასცდა მიზანს. ოთხ წუთში მიშველიძე — ჩომახიძის დუელში ისევ მეკარემ იმარჯვა.

უშედეგო თამაშმა „იბერიას“ ჩემპიონატში პირველი ქულა მოუტანა. ჰო, მართლა, ფორმალური მასპინძლები საფინალო სასტვენისას ათნი იყვნენ მოედანზე. მატჩის მიწურულს არბიტრმა სავსებით სამართლიანად აუნთო წითელი მუმლაძეს. მანამდე განაფრთხილებულ იბერიელს თანამსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ ეპატია.

პრესკონფერენციაზე გუნდების თავკაცებმა აღიარეს, რომ პირველ ტაიმში უპირატესობა სამტრედიელთა მხარეს იყო. ისიც თქვეს, რომ საბოლოო შედეგი ლოგიკური გამოდგა.



იბერიელი დავით ოდიკაძე (მარცხნივ) და რუსთაველი პავლე ბექაური

# მწვრთნელ და თამაშნაკლულები

მცხეთა
23 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
800 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:0 ბათუმი**

1:0 მელქაძე (48)
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, ქანკოტაძე, ჯ. მუჯირი, კობიაშვილი, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე (ჯვაზავა 57), სულთანიშვილი (საქაპურიძე 78), გიორგი ქორიძე (დ. დოლიძე 88), ლ. მელქაძე
სათადარიგონი: სტურუა; ინწკირველი
ბათუმი: ბედიაშვილი, სიხარულიძე, მინდაძე, პაპიძე, მეავანაძე, დარჩიძე, რომანაძე (ქაცარავა 70), გელა ქორიძე, აფხაზავა, ა. მუჯირი (თედორაძე 75), ყულეჯიშვილი (ბეჟანიძე 80)
სათადარიგონი: ბალაძე; კაკაბაძე, ჩოხელი, ბახტაძე
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; კ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

კობა ინასარიძე მცხეთიდან

„ვიტ ჯორჯიას“ შაბათამდე ორი კვირა არ ეთამაშა და ეს „ბათუმთან“ მატჩისას დაეტყო კიდეც. წინა ტურში, ალბათ, მოგეხსენებათ, ვიტელებს „იბერიასთან“ ტექნიკური მოგება ჩაეთვალათ, რადგან თბილისელთა სამასპინძლოდ სამტრედიელებმა სტადიონი ვერ გაამზადეს.

უკეთეს დღეში არც ბათუმელები იყვნენ. მასპინძელთა უთამაშებლობა რა სათქმელია და ზღვისპირელები მცხეთას მათთვის ძალიან უხერხულ მეტოქესთან სათამაშოდ მთლად უმწვრთნელოდ ესტუმრნენ — იტალიელი ჯანი კარნევალი ახლა უკვე სამშობლოში უნდა იყოს. „ბათუმს“ კი შაბათს კარნევალის თანაშემწეები იური მამინაშვილი, ამირან გოგიტიძე და ტექნიკური დირექტორი ასლან ბალაძე ხელმძღვანელობდნენ და გუნდში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ბიჭებიც ნორმალურად ათამაშეს.

მატჩის დასაწყისიდანვე ცხადი გახდა, სტუმრები ვიტელებს იოლად არაფერს დაუთმობდნენ, ძალიან მონდომებულები იყვნენ. მასპინძლები კი პირიქით — მათ თამაში ვერააწყვეს, რაც, ალბათ, ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი გახლდათ. და მიუხედავად ამისა, ვიტელები პირველივე ტაიმში უნდა დაწინაურებულიყვნენ, თუმცა გიორგი ქორიძემ ცარიელ კარს ორი-სამი მეტრიდან ააცილა ბურთი.

შესვენებამდე, აღსანიშნავი აღარაფერი მომხდარა, თუ ვიტელი თავდამსხმელის ბათუმელ მოგვარე ნახევარმცველ გელას, დაახლოებით ოცი მეტრიდან უძლიერესად დარტყმულს არ ჩავთვლით. მირზა მერლანმა ბურთი ნახტომში გაჭირვებით გადააგდო კუთხურზე.

მეორე ტაიმი კი ახალდაწყებული იყო, ვიტელებმა საწადელს რომ მიაღწიეს: დეკანოსიძემ ფლანგიდან საჯარიმოს ხაზთან უმეთვალყურეოდ დარჩენილ მელქაძეს გადააწოდა ბურთი, მანაც შეუჩერებლად დაარტყა, ბედიაშვილმა ბურთს თითები კი წაატანა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ვიტელები დაწინაურდნენ და მერე სამ-ოთხჯერ კიდევ შეეძლოთ გატანა, თუმცა ბათუმელი მცველებისა და მეკარის გადამკიდეებმა, ეს ველარ მოახერხეს. არც სტუმრები ყოფილან ამ დროს გულხელდაკრეფილნი, ყულეჯიშვილი რამდენჯერმე დაემუქრა ვიტელთა კარს, მაგრამ ისე შეცვალეს, კარის ჩარჩოში დარტყმა ვერა და ვერ მოახერხა. დარჩიძემ კი 30-35 მეტრიდან მერლანს ისეთი დაურტყა, მიზანი რომ ოდნავ გაესწორებინა, ალბათ, ანგარიშსაც გაათანაბრებდა.

მერე კი ახალგაზრდა ბათუმელები დაიღალნენ, თავი მაინცდამაინც არც მასპინძლებს გამოუდვიათ და ნელ-ნელა მატჩიც დამთავრდა.

*ასლან ბალაძე, „ბათუმის“ ტექნიკური დირექტორი:*

— დღევანდელმა თამაშმა იმედი მოგვცა, რომ უახლოეს მომავალში ყველაფერი გამოსწორდება. ბიჭებმა მოინდომეს, იბრძოლეს, ყველამ შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა, მაგრამ არეულ-დარეულის ერთ-ორ დღეში დალაგება შეუძლებელი რომაა, ამას თქმა არ უნდა. თანაც ძალიან ახალგაზრდული გუნდი გვყავს, იმის გამოცდილება არ ჰყოფნიდათ, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფილიყვნენ.

*ვლადიმერ ხაჩიძე, „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი:*

— ჩემი გუნდით უკმაყოფილო ვარ. ბიჭები მოდუნებულნი იყვნენ, „ბათუმის“ ახალგაზრდულ შემადგენლობას რომ შეხედეს, იფიქრეს, იოლად მოუგებდნენ. სტუმრებმა კი იბრძოლეს და კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. განსაკუთრებით ნახევარმცველთა თამაში არ მომეწონა, ისინი მეტოქეს ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებასა და დიდ სივრცეს აძლევდნენ. ისე, ბლომად მომენტებიც გაგვიცუდდა.

# ბექემის სკალპი და ქინქლაძის სუპერგოლი

## ინგლისი

VII ტური

### დერბი ქაუნთი 1:1 ლიდსი

0:1 ჰარტი (34), 1:1 ქინქლაძე (75)
დერბი ქაუნთი: პოომი, კარბონარი, შნური, ბარლი, დ. ბარტონი, კრისტი (სტარიჯი 73), ჰიგინბოთემი, ერანიო (რიგოტი 73), ბრაგსტადი (ქინქლაძე 73), ვალაკარი, ჯონსონი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰარტი, დაკური, რადებე, ბრიჯისი, ბოიერი, ა. სმიტი, ბაკე (მაკფაილი 88), დაბერი (მილსი 46), მატეო
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ერანიო, კარბონარი, ბარტონი, დაკური, ბოიერი
გაძევება: კარბონარი (36)
26 248 მაყურებელი

### მანჩესტერი 3:3 ჩელსი

0:1 ჰასელბაინკი (8), 1:1 სქოულზი (14), 2:1 შერინგემი (37), 3:1 ბექემი (39), 3:2, 3:3 ფლო (45, 70)
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, ირვინი (ბრაუნი 81), იონსენი, სილვესტრი, ბექემი, კინი, სქოულზი, გიგზი, ე. კოული (სოლსკიაერი 81), შერინგემი (ბათი 77)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ჩელსი: კუდიჩინი, პანუჩი, ლე სო, ლებეფი, დესაი, დი მატეო, მორისი, ძოლა (დალა ბონა 84), ჰარლი (მელხიოტი 46), ჰასელბაინკი (ბოგარდი 87), ფლო
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ნევილი, კინი, შერინგემი, პანუჩი, მორისი
67 568 მაყურებელი

### ლესტერი 1:1 ევერტონი

1:0 აკინბი (23), 1:1 ანსუორთი (52)
ლესტერი: ფლაუერსი, როუეტი, მ. ელიოტი, ტაგარტი, გაპი, იმპი (კოლიმორი 53), ლენონი, იზეტი, აკინბი (ჯილკრისტი 67), იდი (კროსველი 67), სევიჯი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
ევერტონი: ჟერარი, ვეირი, ანსუორთი, დანი, ალექსანდერსონი, გესქოინი, გრაველსენი, ნიარკო, ჯეფერსი (მ. პიუზი 85), უოტსონი, ე. კემპბელი (მური 85)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: სევიჯი, იდი, ტაგარტი, უოტსონი
18 084 მაყურებელი

### ბრედფორდი 0:1 საუთჰემპტონი

0:1 კაჩლული (29)
ბრედფორდი: კლარკი, ჰალე, იაკობსი, ვეზეროლი, აზერტონი, პეტრესკუ (ლოურენსი 68), მაკკოლი, უინდასი, შარპი (გრანტი 81), უორდი, კარბონე
მწვრთნელი: კრის ჰაჩინგსი
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ბრიჯი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ოკლი, ტესემი (სოლტვედტი 46), ელ ხალეჯი, კაჩლული (მარსდენი 86), ბიტი (როსლერი 67), პახარსი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: პეტრესკუ, უორდი, უინდასი, დოდი
16 163 მაყურებელი

### ქოვენთრი 0:3 ვესტ ჰემი

0:1 დი კანიო (38), 0:2 კოული (40), 0:3 ლამპარდი (69)
ქოვენთრი: ჰედმანი, ედვორთი, უილიამსი, შოუ, ჰალი (ბრინი 74), ჩიპო, ჰაჯი, პალმერი, ტომპსონი (ოსტიჩი 46), ბელამი, ზუნიგა (ალოიზი 65)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პირსი, შტიმაცი, რ. ფერდინანდი (კარიკი 13), უინტერბერნი, ტ. სინკლერი (პოტსი 78), ლომასი, ლამპარდი, ჯ. კოული, დი კანიო, კანო (დიავარა 85)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: უინტერბერნი
21 020 მაყურებელი

### იფსვიჩი 1:1 არსენალი

1:0 სტიუარტი (49), 1:1 ბერხკამპი (84)
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, კლაპამი, ბრემბლი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, მეჯილტონი, ჯ. რაიტი, სტიუარტი, შოუკროფტი (ნეილორი 58)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
არსენალი: სიმენი, კიოუნი, ვივასი, ლუჟნი, სილვინიო, გრიმანდი (ვერნაცა 70), პარლოუ, ლიუნგბერგი, ბერხკამპი, ანრი, ვილტორდი (კანუ 70)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: შოუკროფტი, კიოუნი, პარლოუ
22 030 მაყურებელი

### ლივერპული 1:1 სანდერლენდი

0:1 ფილიპსი (14), 1:1 ოუენი (34)
ლივერპული: ვესტერფელდი, სონგი, ბაბელი, ენჩოსი, ციგე, ბარმბი, კარაგერი, ჰამანი (ჯერარდი 63), დიომედი (ფაულერი 72), ოუენი, ჰესკი (მერფი 11)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, კრადოკი, ტომე, გრეი, ჰათჩისონი, უილიამსი, კილბეინი, არკა, ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: დიომედი, სონგი, ფილიპსი, ჰათჩისონი
44 713 მაყურებელი

### მიდლსბრო 1:1 ასტონ ვილა

0:1 ჯოუჩიმი (74), 1:1 ალფაი (89ს.კ.)
მიდლსბრო: უოლში, ფლემინგი, ფესტა, კუპერი, ინსი, ონილი, მასტო, სტამპი (მარინელი 78), სამერბელი, ჟობი (ველანი 65), ბოკშიჩი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ბერი, ალფაი, სტოუნი, ტეილორი, ჟინოლა (ჯოუჩიმი 66), ბოატენგი (ლ. ჰენდრი 66), მერსონი, დაბლინი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ფლემინგი, ბოკშიჩი, სტამპი
27 556 მაყურებელი

### ნიუკასლი 0:1 ჩარლტონი

0:1 სტიუარტი (8)
ნიუკასლი: გივენი, გომა, დაიერი, სპიდი, გრიფინი, სოლანო (დომი 65), კორტი, კორდონე (ლი 65), ა. ჰიუზი, შარვე (ლუა ლუა 65), შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ჩარლტონი: კიელი, პაუელი, სტიუარტი (ტოდი 87), რუფუსი, კინსელა, ჰანტი (მაკდონალდი 89), რობინსონი, ბრაუნი, კონჩესკი, იენსენი, იოჰანსონი (ნიუტონი 74)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: სპიდი, სტიუარტი, რობინსონი
50 866 მაყურებელი

### ტოტენჰემი 0:0 მანჩესტერ სიტი

ტოტენჰემი: სალივანი, კარი, ვეგა, პერი, ტეტჩერი (იანგი 87), ფროინდი, შერვუდი, ლეონარდსენი, რებროვი, ივერსენი, ლ. ფერდინანდი (დოჰერთი 82)
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
მანჩესტერ სიტი: ვიავერი, ჰაალანდი, ჰაუი (კრუქსი 20), პრიორი, რიჩი, ტიატო (კენედი 49), ვიკენსი, უიტლი, ჰორლოკი, ვანჩოპე, დიკოვი (ვეა 61)
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: კრუქსი
36 069 მაყურებელი

**პრემიერლიგაში** უმთავრესი, ცხადია, „მანჩესტერისა“ და „ჩელსის“ შეხვედრა იყო. „ოლდ ტრეფორდზე“ სასეირო ბევრი რამ მოხდა, მაგრამ თვალი უნებურად დერბისკენ გაგვირბის. მიზეზის ძიებას დიდი დრო არ სჭირდება — ყოველ ტურში ხომ არ გადის ქართული გოლი.

მატჩის 34-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა საოცარი რამ მოხდა — იან ჰარტმა საჯარიმო დაარტყა და გაიტანა. რა არის ამაში საოცარიო, იკითხავთ, ჯარიმით ვის არ გაუტანიაო. მართალია, გაუტანიათ, მაგრამ მანძილს არ იკითხავთ? რამდენი ფეხბურთელი დაიკვეხნის, 40 მეტრიდან, გამიბითურებია მეკარეო. გოლიდან ორიოდ წუთში დერბელებს სხვა უბედურებაც დაატყდათ თავს — მსაჯმა კარბონარი გაუძევათ. ჰოდა, დარჩა კაცნაკლული და გოლგაშვებული „დერბი“ ბედის ანაბარა.

73-ე წუთზე ჯიმ სმიტმა ბრაგსტადის ნაცვლად გიორგი ქინქლაძე შეუშვა. ტრიბუნებზე სტვენა ატყდა. არა, უკმაყოფილება მწვრთნელის სხვა გადაწყვეტილებამ გამოიწვია — გიორგისთან ერთად მოედანზე სტარიჯიც შევიდა მალკოლმ კრისტის ნაცვლად, გულშემატკივრები კი კრისტისგან გოლს ელოდნენ.

მატჩის შემდეგ ჯიმ სმიტი იტყვის: „ნუთუ ქომაგები ვერ ხვდებიან, რომ მალკოლმი ყოველ შეხვედრაში ვერ გაიტანს, ქინქის კი მადლობა მინდა ვუთხრა. მან სუპერგოლით ესოდენ საჭირო ქულა მოგვიტანა.“ მოკლედ, შევიდა ქინქლაძე სათამაშოდ და სამ წუთში... თუმცა ჯობს ინგლისელთა კომენტარს მოვუსმინოთ:

„ქინქალძემ „ლიდსის“ ვარსკვლავი იან ჰარტი თავისი ფინტებით გააცოფა — ცეკვით აუარა გვერდით და შემდეგ ნაიჯელ მარტინიც დაამწუხრა.“ ქინქლაძის გოლმა „დერბის“ ერთი ქულა მოუტანა და ეს მხოლოდ მინიმუმი იყო იმისა, რასაც გუნდი იმსახურებდა.“

დერბიდან მანჩესტერში გადავინაცვლოთ. სადაც დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამართულიყო. ასეც იყო. როი კინი შეუბრალებლად წიხლავდა მეტოქე ფეხბურთელებს. ერთხელ კრისტიან პანუჩი მოედანსა და ტრიბუნებს შუა თხრილშიც გადაუძახა. ცალკე თემაა დევიდ ბექემის თავი. ასეთი რა „შკურკასავით“ მკლავი აქვს გრემ ლე სოს, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ თავხოტორა ბექემს თავზე ისე გაუხახუნა, საწყალს სახე აღარ უჩანდა, ერთიანად დასისხლიანებული ჰქონდა. ჰოდა, დარბოდა ბექემი მინდორზე და ვისაც გაეკარა, ყველა სისხლში ამოთხვარა. თუმცა პოშ ვიქტორიას მეუღლის სისხლზე მეტად გოლების ამბავია საინტერესო. გოლები კი უხვად გავიდა. ჯერ ჯიმი ფლოიდ ჰასალბაინკმა გაისროლა შორიდან, სულ რაღაც მე-8 წუთზე და „ოლდ ტრეფორდი“ დაადუმა, დროებით. პოლ სქოულზს ექვსიოდე წუთი დასჭირდა ქომაგთა გამოსაცოცხლებლად. კიდევ ცოტაც და უზუსტესი დარტყმით ცნობილმა ბექემმა ზუსტად ძელს გაარტყა. ტრიბუნებს ამოოხვრაც არ დასცალდათ, რადგან ასხლეტილ ბურთს ტედი შერინგემი ელოდა. ბექემმა მერე მესამეც შეაგდო. ვინც ამ დროს ჩათვალა, რომ მატჩის ბედი გადაწყდა და ტელევიზორი სხვა არხზე გადართო, მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ თამაში ფრედ 3:3 დასრულდა. მიზეზი კი ისაა, რომ მასპინძლებმა ვერაფრით შეძლეს ახმახი ნორვეგიელი ტორე ანდრე ფლოს შეჩერება. მატჩის რანიერისეული შეფასება კი ასეთია: „ეს რა დიდებული თამაში ვნახეთ.“

ტურის ბოლო მატჩი „ლესტერი“ — „ევერტონი“ იყო. ამ თამაშზე რაიმეს თქმას არ ვაპირებდით, რომ არა ერთი გარემოება. მატჩის შემდეგ ევერტონელთა მწვრთნელ ვუოლტერ სმიტს უთქვამს, ურიგო არ იქნება, თუ გაზას ნაკრებში დააბრუნებენო. იმ შეხვედრაში პოლ გესქოინს თავი გაუგიჟებია (ამჯერად, კარგი გაგებით), ძველი დრო გაუხსენებია, როცა ის ნამდვილი ლიდერი გახლდათ.

**გიორგი დარჯანია**




REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ჩელსი 3:3.
ბოლოხანს გოლნაჩვევ ენდი კოულს ლონდონელმა კარლო კუდიჩინიმ (№23) ამჯერად არ გაატანინა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 7 | 4 | 3 | 0 | 20:7 | 13 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 14:3 | 11 | 10 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 5 |
| 2 | ლესტერი | 7 | 4 | 3 | 0 | 7:2 | 5 | 15 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 |
| 3 | არსენალი | 7 | 3 | 3 | 1 | 13:9 | 4 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:4 | 5 | 9 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 |
| 4 | ლივერპული | 7 | 3 | 3 | 1 | 12:10 | 2 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 10 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | -2 | 2 |
| 5 | ჩარლტონი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:11 | 1 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:10 | -4 | 4 |
| 6 | ტოტენჰემი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 7 | ნიუკასლი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 0 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 8 | საუთჰემპტონი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 1 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 |
| 9 | ასტონ ვილა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 5 |
| 10 | ლიდსი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 1 | 8 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 |
| 11 | ევერტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 4 |
| 12 | იფსვიჩი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:10 | -2 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 |
| 13 | სიტი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:13 | -3 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 4 |
| 14 | სანდერლენდი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 |
| 15 | მიდლსბრო | 7 | 1 | 4 | 2 | 11:11 | 0 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 7:5 | 2 | 5 |
| 16 | ჩელსი | 7 | 1 | 4 | 2 | 10:12 | -2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | -2 | 3 |
| 17 | ქოვენთრი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | -7 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 |
| 18 | ვესტ ჰემი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:10 | -1 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 |
| 19 | დერბი ქაუნთი | 7 | 0 | 5 | 2 | 13:15 | -2 | 5 | 4 | 0 | 4 | 0 | 8:8 | 0 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 1 |
| 20 | ბრედფორდი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:11 | -8 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 1 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | -9 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 7 |
| ჯეფერსი (ევერტონი) | 5 |
| პახარსი (საუთჰემპტონი) | 5 |

VIII ტური

30 სექტემბერი

ასტონ ვილა — დერბი
ჩარლტონი — ქოვენთრი
ევერტონი — იფსვიჩი
ლიდსი — ტოტენჰემი
სიტი — ნიუკასლი
საუთჰემპტონი — მიდლსბრო
ვესტ ჰემი — ბრედფორდი

1 ოქტომბერი

არსენალი — მანჩესტერი
სანდერლენდი — ლესტერი
ჩელსი — ლივერპული

## პირველი დივიზიონი

IX ტური

### ვულვერჰემპტონი 4:0 ნორვიჩი

1:0 პრუდლოკი (21), 2:0 დინინგი (26), 3:0 რობინსონი (45), 4:0 ბრენჩი (70)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, გრინი, ემბლენი, დინინგი, ნეილორი, ბაზელი, რობინსონი, ძეცბაია, სინტონი (კამარა 83), ბრენჩი (ალჯაბერი 74), პრუდლოკი (რ. ტეილორი 78)
მწვრთნელი: კოლინ ლი
15 105 მაყურებელი

### ბირმინგემი 2:0 ტრანმერი

1:0 გრაინჯერი (73), 2:0 ჰორსფილდი (90)

### ბლექბერნი 1:1 ბოლტონი

1:0 ტომასი (1), 1:1 ჰანსენი (88)

### ქრიუ 2:2 ბარნსლი

1:0 ჰალსი (36), 2:0 ჯეკი (71), 2:1 ბარნარდი (80პ), 2:2 დაიერი (89)

### კრ. პალასი 0:1 შეფილდ იუნ.

0:1 ბენტი (45)

### ფულემი 3:0 ჯილინგემი

1:0 ჰეილსი (45), 2:0 კლარკი (65), 3:0 ჰეილსი (87)

### გრიმსბი 0:2 ნოტინგემი

0:1 როჯერსი (14), 0:2 ლესტერი (42)

### ჰადერსფილდი 0:1 ბარნლი

0:1 პეიტონი (17)

### პორტსმუთი 0:1 ვესტ ბრომვიჩი

0:1 რობერტსი (55)

### ქუინზ პარკი 2:1 უიმბლდონი

1:0 უორდლი (54), 2:0 კრუჩი (65), 2:1 იუელი (70)

### უენსდი 1:3 პრესტონი

1:0 მორისონი (35), 1:1 ალექსანდერი (57), 1:2 ანდერსონი (69), 1:3 უოლკერი (76ს.კ.)

### სტოკპორტი 2:3 უოტფორდი

0:1 სმიტი (45), 0:2 ნოელ-უილიამსი (49), 1:2 უილბრემი (73), 1:3 ნილსენი (86), 2:3 მური (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 8 | 8 | 0 | 0 | 24:4 | 24 |
| უოტფორდი | 8 | 7 | 1 | 0 | 20:8 | 22 |
| ბოლტონი | 8 | 6 | 2 | 0 | 13:4 | 20 |
| ბირმინგემი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:7 | 17 |
| პრესტონი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 15 |
| ვესტ ბრომვიჩი | 9 | 4 | 2 | 3 | 7:9 | 14 |
| შეფილდ იუნ. | 8 | 4 | 1 | 3 | 8:8 | 13 |
| ტრანმერი | 9 | 4 | 1 | 4 | 9:11 | 13 |
| ნოტინგემი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:10 | 13 |
| ბლექბერნი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 12 |
| ბარნლი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:7 | 12 |
| უიმბლდონი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:5 | 10 |
| ვულვზი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:9 | 10 |
| ქუინზ პარკი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:10 | 10 |
| ბარნსლი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:16 | 10 |
| ჯილინგემი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:15 | 9 |
| პორტსმუთი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:12 | 8 |
| კრ. პალასი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:10 | 8 |
| სტოკპორტი | 9 | 1 | 4 | 4 | 10:15 | 7 |
| ნორვიჩი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | 6 |
| ქრიუ | 8 | 1 | 3 | 4 | 4:9 | 6 |
| გრიმსბი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:10 | 5 |
| უენსდი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:16 | 5 |
| ჰადერსფილდი | 8 | 1 | 1 | 6 | 8:14 | 4 |

## მეორე დივიზიონი

მე-9 ტური: ბორნმუთი — ოლდემი 1:1; ბრისტოლი — კოლჩესტერი 1:1; ბერი — პორტველი 2:0; კემბრიჯი — როვერსი 0:3; ლუთონი — სუინდონი 2:3; მილუოლი — ოქსფორდი 5:0; ნოტსი — ბრენტფორდი 2:2; რედინგი — სუონსი 5:1; სტოკი — როტერჰემი 1:1; უიგანი — ნორთჰემპტონი 2:1; რექსჰემი — უოლსოლი 0:1; უიკომბი — პიტერბრო 2:0

## მესამე დივიზიონი

მე-9 ტური: ბარნეტი — ჰალი 1:1; ბლექპული — ჩესტერფილდი 1:3; კარდიფი — კიდერმინსტერი 0:0; კარლაილი — ექსეტერი 0:1; ჩელტენემი — პლიმუთი 5:2; ლეიტონი — ლინკოლნი 1:0; მენსფილდი — ჰარტლპული 4:3; შრუსბერი — როჩდეილი 0:4; საუთენდი — სკანთორპი 1:0; ტორკი — ჰალიფაქსი 1:2; იორკი — ბრაიტონი 0:1; მაკლსფილდი — დარლინგტონი 1:1

# Sydney 2000

დღე VIII-IX-X

## ქართველები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე

Sydney 2000

23-24-25 სექტემბერი

**ძალოსნობა:** გიორგი ასანიძე (85კგ) — მე-3 ადგილი; მუხრან გოგია (105კგ) — შეჯიბრებას გამოეთიშა. **ტანვარჯიში:** ილია გიორგაძე (ღერძი) — მე-6 ადგილი. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** ალექსანდრე ცერცვაძე (54კგ) — ჯგუფიდან ვერ გავიდა; კობა გულიაშვილი (58კგ) — ჯგუფურ ეტაპზე მოიგო პირველი შეხვედრა; აკაკი ჩაჩუა (63კგ) — ნახევარფინალში დამარცხდა რუს ვარტარეზ სამურგაშევთან და დღეს მესამე ადგილისთვის შეხვდება შვეიცარიელ ბეატ მოტცერს; ტარიელ მელელაშვილი (76კგ) — ჯგუფიდან ვერ გავიდა; მუხრან ვახტანგაძე (85 კგ) — ჯგუფურ ეტაპზე მოიგო პირველი შეხვედრა; გენადი ჩხაიძე (97კგ) — მეოთხედფინალში დამარცხდა ამერიკელ გარეტ ლოუნთან; მირიან გიორგაძე (130კგ) — ჯგუფიდან ვერ გავიდა.

## დღის გმირი

23 სექტემბერი

### გიორგი ასანიძე

**საქართველო, ძალოსნობა**



ის საჩხერელია, თბილისში საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს (ამბობენ, ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ ოროთახიანი მისცესო, ზუსტად არ ვიცით), ეხერხება ტოტალიზატორის ქვითრების ჭკვიანურად შევსება...

თითქოს ჩვეულებრივი ბიჭია, ჩვეულებრივი ცხოვრებითა და ინტერესებით, მაგრამ განა ჩვეულებრივი მსოფლიო რეკორდსმენები არსებობენ? ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ის გამოდის ბინიდან, კარს კეტავს, ფულს ითვლის აეროპორტამდე, ტაქსის ეყოფა თუ არაო, მიფრინავს სიდნეიში და ბრინჯაოს პრიზიორი ხდება — ოქროს მხოლოდ იმიტომ აგებს, რომ ვილაცაზე გრამებით მძიმე აღმოჩნდა, თორემ იმდენივე აწია.

ასევე დამარცხდა 1994 წელს ევროპის პირველობაზე, წლეულს კი ჩემპიონი გახდა.

და, როგორც მოგახსენეთ, მსოფლიოს რეკორდი მისია.

ბიოგრაფიაში შავი პერიოდიც ჰქონია, დოპინგისთვის სამუდამო დისკვალიფიკაციას აძლევდნენ, მაგრამ მერე ის წამალი ნებადართული გახდა და სასჯელი ორ წლამდე შეუმცირეს. მაშინ მასთან ერთად უამრავ სპორტსმენს ეწია იგივე ბედი.

ის ჩვენი დღის გმირია, თუმცა შეიძლება სიტყვა „დღის" ჩამოვაშოროთ კიდეც. მერე სიდნეიდან დაბრუნდება, ჯიბიდან გასაღებს ამოიღებს და საერთო საცხოვრებლის კარს გააღებს... თუმცა, ხომ თქვეს, ოროთახიანი მისცესო.

## ქვეყანათა მონაგარი

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 23 | 14 | 21 |
| ჩინეთი | 21 | 14 | 13 |
| რუსეთი | 14 | 14 | 19 |
| ავსტრალია | 12 | 20 | 11 |
| საფრანგეთი | 12 | 13 | 6 |
| იტალია | 11 | 6 | 11 |
| რუმინეთი | 10 | 4 | 5 |
| ჰოლანდია | 7 | 5 | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 6 | 8 | 5 |
| გერმანია | 5 | 9 | 15 |
| იაპონია | 5 | 4 | 4 |
| კორეა | 4 | 6 | 8 |
| პოლონეთი | 4 | 4 | 1 |
| ბულგარეთი | 4 | 3 | 2 |
| უკრაინა | 3 | 6 | 5 |
| კუბა | 3 | 4 | 2 |
| შვედეთი | 3 | 3 | 1 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 2 |
| საბერძნეთი | 2 | 4 | 1 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 3 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 |
| ლიტვა | 2 | 0 | 1 |
| თურქეთი | 2 | 0 | 0 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 |
| შვეიცარია | 1 | 5 | 2 |
| ინდონეზია | 1 | 3 | 2 |
| სლოვაკეთი | 1 | 3 | 1 |
| ბელარუსი | 1 | 1 | 8 |
| კანადა | 1 | 1 | 5 |
| მექსიკა | 1 | 1 | 0 |
| ახალი ზელანდია | 1 | 0 | 3 |
| ეთიოპია | 1 | 0 | 2 |
| ლატვია | 1 | 0 | 1 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 |
| მოზამბიკი | 1 | 0 | 0 |
| ირანი | 1 | 0 | 0 |
| კოლუმბია | 1 | 0 | 0 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 3 | 2 |
| ბელგია | 0 | 2 | 2 |
| დანია | 0 | 2 | 1 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 1 | 2 |
| ტაივანი | 0 | 1 | 2 |
| იამაიკა | 0 | 1 | 2 |
| ჩრდილოეთ კორეა | 0 | 1 | 1 |
| ნორვეგია | 0 | 1 | 1 |
| კენია | 0 | 1 | 1 |
| იუგოსლავია | 0 | 1 | 0 |
| ურუგვაი | 0 | 1 | 0 |
| ტრინიდადი | 0 | 1 | 0 |
| ნიგერია | 0 | 1 | 0 |
| მოლდოვა | 0 | 1 | 0 |
| ირლანდია | 0 | 1 | 0 |
| არგენტინა | 0 | 1 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 2 |
| ესტონეთი | 0 | 0 | 2 |
| კოსტა რიკა | 0 | 0 | 2 |
| ტაილანდი | 0 | 0 | 1 |
| ყატარი | 0 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 1 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 1 |
| ყირგიზეთი | 0 | 0 | 1 |
| ისლანდია | 0 | 0 | 1 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 |
| ალჟირი | 0 | 0 | 1 |
| ბარბადოსი | 0 | 0 | 1 |
| სომხეთი | 0 | 0 | 1 |

## ჩემპიონები და პრიზიორები

### 25 სექტემბერი

#### პლაჟის ფრენბურთი

ქალები

1. ნატალი კუკი — კერი პოტსარსტი (ავსტრალია)
2. ადრიანა ბეჰარი — შელდა ბედე (ბრაზილია)
3. ადრიანა სამუელი — სანდრა პირესი (ბრაზილია)

#### ტანვარჯიში

ვაჟები. ღერძი

1. ალექსეი ნემოვი (რუსეთი)
2. ბენჟამინ ვარონიანი (საფრანგეთი)
3. ლი ჯუ ჰიუნგი (კორეა)

ვაჟები. ორძელი

1. ლი სიაოპენი (ჩინეთი)
2. ლი ჯუ ჰიუნგი (კორეა)
3. ალექსეი ნემოვი (რუსეთი)

ვაჟები. ხტომები

1. გერვასიო დეფერი (ესპანეთი)
2. ალექსეი ბონდარენკო (რუსეთი)
3. ლეშეკ ბლანიკი (პოლონეთი)

ქალები. თავისუფალი ვარჯიში

1. ელენა ზამოლოდჩიკოვა (რუსეთი)
2. სვეტლანა ხორკინა (რუსეთი)
3. სიმონა ამანარი (რუმინეთი)

ქალები. დვირი

1. ლიუ სუანი (ჩინეთი)
2. ეკატერინა ლობაზნიუკი (რუსეთი)
3. ელენა პროდუნოვა (რუსეთი)

#### აფროსნობა

ვაჟები. 49-ე

1. ტომას იოჰანსონი — იურკი იარვი (ფინეთი)
2. იან ბარკერი — საიმონ ჰისკოკსი (დიდი ბრიტანეთი)
3. ჯონათან მაკკი — ჩარლი მაკკი (აშშ)

#### ძალოსნობა

ვაჟები. 105 კგ

1. ჰოსეინ ტავაკოლი (ირანი)
2. ალან ცაგაევი (ბულგარეთი)
3. საიდ ასაადი (ყატარი)

#### მაგიდის ჩოგბურთი

ვაჟები

1. კონგ ლინგჰუი (ჩინეთი)
2. იან უვე ვალდნერი (შვედეთი)
3. ლიუ გუოლიანგი (ჩინეთი)

#### მძლეოსნობა

ქალები. 400 მ

1. კეტი ფრიმენი (ავსტრალია)
2. ლორენ გრემი (იამაიკა)
3. კეტრინ მერი (დიდი ბრიტანეთი)

ვაჟები. სამხტომი

1. ჯონათან ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი)
2. იოელ გარსია (კუბა)
3. დენის კაპუსტინი (რუსეთი)

ქალები. 800 მ

1. მარია მუტოლა (მოზამბიკი)
2. შტეფანი გრაფი (ავსტრია)
3. კელი ჰოლმსი (დიდი ბრიტანეთი)

ვაჟები. 400 მ

1. მაიკლ ჯონსონი (აშშ)
2. ელვინ ჰარისონი (აშშ)
3. გრეგორი ჰიუტონი (იამაიკა)

ვაჟები. ბადრო

1. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა)
2. ლარს რიდელი (გერმანია)
3. ფრანც კრიუგერი (სამხრეთ აფრიკა)

ვაჟები. 110 მ. თარჯრბენი

1. ანიერ გარსია (კუბა)
2. ტერენს ტრემელი (აშშ)
3. მარკ კრირი (აშშ)

ქალები. 5000 მ

1. გაბრიელა საბო (რუმინეთი)
2. სონია ოსალივანი (ირლანდია)
3. გეტე ვამი (ეთიოპია)

ქალები. ჭოკით ხტომა

1. სტეისი დრაგილა (აშშ)
2. ტატიანა გრიგორიევა (ავსტრალია)
3. ვალა ფლოსადოტირი (ისლანდია)

ვაჟები. 10 000 მ

1. ჰაილე გაბრესელასიე (ეთიოპია)
2. პოლ ტერგატი (კენია)
3. ასეფა მეზგებუ (ეთიოპია)

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

54 კგ

ჯგუფური ეტაპი. ალფრედ ტერ-მკრტიჩიანი (გერმანია) — ალექსანდრე ცერცვაძე (საქართველო) 5:0. ალექსანდრე ცერცვაძე (საქართველო) — ტერო კატაისტო (ფინეთი) 3:0

ცერცვაძე ვერ გავიდა მეოთხედფინალში

58 კგ

ჯგუფური ეტაპი. კობა გულიაშვილი (საქართველო) — იშტვან მაიოროში (უნგრეთი) 3:0

63 კგ

ჯგუფური ეტაპი. აკაკი ჩაჩუა (საქართველო) — იუ შინჯუნი (ჩინეთი) წმინდა გამარჯვება. აკაკი ჩაჩუა (საქართველო) — ვალინაკ გალუსტიანი (სომხეთი) 6:5

მეოთხედფინალი. აკაკი ჩაჩუა (საქართველო) — ბახოდირ ყურბანოვი (უზბეკეთი) 3:2

ნახევარფინალი. ვარტერეზ სამურგაშევი (რუსეთი) — აკაკი ჩაჩუა (საქართველო) 7:4

მესამე ადგილისთვის ჩაჩუა შეხვდება ბეატ მოტცერს (შვეიცარია)

76 კგ

ჯგუფური ეტაპი. მეტ ჯეიმს ლინდლენდი (აშშ) — ტარიელ მელელაშვილი (საქართველო) 3:0. ტარიელ მელელაშვილი (საქართველო) — ევგენი ეროფაილოვი (უზბეკეთი) 4:0. ტარიელ მელელაშვილი (საქართველო) — კადერ სლილა (ალჟირი) სლილამ ტრავმა მიიღო

მელელაშვილი ვერ გავიდა მეოთხედფინალში

85 კგ

მუხრან ვახტანგაძე (საქართველო) — ტოომას პროოველი (ესტონეთი) 7:4

97 კგ

ჯგუფური ეტაპი. გენადი ჩხაიძე (საქართველო) — ანჯეი ვრონსკი (პოლონეთი) 2:0. გენადი ჩხაიძე (საქართველო) — ჰაკი ბაშარი (თურქეთი) 4:2

მეოთხედფინალი. გარეტ ლოუნი (აშშ) — გენადი ჩხაიძე (საქართველო) 2:0

130 კგ

ჯგუფური ეტაპი. დმიტრი დებელკა (ბელარუსი) — მირიან გიორგაძე (საქართველო) 3:0. ედი ბენგსტონი (შვედეთი) — მირიან გიორგაძე (საქართველო) 4:0

გიორგაძე ვერ გავიდა მეოთხედფინალში



REUTERS სიდნეიდან

მირიან გიორგაძემ (მარცხნივ) ბელარუს დმიტრი დებელკასთან ვერაფერი გააწყო

## ხელბურთი

# ჩემპიონის ყველას ეშინია

**ვაჟები**

24 სექტემბერი

A ჯგუფი

რუსეთი 27:25 იუგოსლავია

ეგვიპტე 22:21 გერმანია

კორეა 35:28 კუბა

B ჯგუფი

შვედეთი 28:27 ესპანეთი

საფრანგეთი 28:16 ავსტრალია

სლოვენია 22:20 ტუნისი

მეოთხედფინალი

26 სექტემბერი

შვედეთი — ეგვიპტე

რუსეთი — სლოვენია

იუგოსლავია — საფრანგეთი

ესპანეთი — გერმანია

**ქალები**

23 სექტემბერი

A ჯგუფი

რუმინეთი 21:21 უნგრეთი

საფრანგეთი 29:27 ანგოლა

B ჯგუფი

ავსტრია 39:10 ავსტრალია

ნორვეგია 30:16 ბრაზილია

25 სექტემბერი

A ჯგუფი

კორეა 31:24 ანგოლა

საფრანგეთი 21:18 რუმინეთი

B ჯგუფი

ნორვეგია 24:21 ავსტრია

დანია 39:26 ბრაზილია

მეოთხედფინალი

28 სექტემბერი

კორეა — ბრაზილია

ნორვეგია — რუმინეთი

უნგრეთი — ავსტრია

დანია — საფრანგეთი

**როგორც** მოსალოდნელი იყო, მსოფლიოს უძლიერესმა ვაჟთა გუნდებმა — შვედეთმა და რუსეთმა ჯგუფებში პირველობა არავის დაანებეს, თუმცა საამისოდ სკანდინაველებს ესპანელ ხელბურთელთა გააფთრებული წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდათ. საქმე ისაა, რომ ესპანეთის ნაკრები გამარჯვების შემთხვევაში თავად გადიოდა პირველ ადგილზე, მაგრამ ყოფილი საბჭოელების, ტალანტ დუშებაევისა და ანდრეი შჩეპკინის თანაგუნდელებს მიზნის მისაღწევად ძალა არ ეყოთ.

იმავე B ჯგუფიდან ბოლო მეოთხედფინალისტის გასარკვევად, სლოვენიას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს ტუნისელებმა, რომელთაც მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. აფრიკელმა ხელბურთელებმა თავიდანვე კარგადააწყვეს თამაში და როგორც ექვსმეტრიანი ხაზიდან, ასევე ფრთებიდანაც შედეგიანად ბომბავდნენ ექსიუგოსლავიელების კარს, საკუთარს კი უშეცდომოდ იცავდნენ და შესვენებაზე სამბურთიანი მარაგით წავიდნენ — 12:9, მაგრამ უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება ვერ მოახერხეს და ახლა მხოლოდ მეცხრე ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა.

ქალთა ტურნირში ყველაზე პრინციპული საფრანგეთ — რუმინეთის შეხვედრა იყო. წაგებული მსოფლიოს ჩემპიონ ნორვეგიას ეჯახებოდა, რითაც პრაქტიკულად უშანსოდ რჩებოდა. შარშანდელი პირველობის ფინალისტებმა მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს მეტოქის ძლევა.

**გია ახალაძე**



REUTERS სიდნეიდან

იუგოსლავიელ ნენად პერუნიჩიჩს რუსი სერგეი პოგორელოვი გადაელობა

## ფარიკაობა

# მუშკეტერებმა ხმალში წააგეს

**შაბათ-კვირას** სიდნეიში ჩასულმა მოფარიკავეებმა ასპარეზობა დაამთავრეს. სარბიელზე ბოლოს ქალთა გუნდები რაპირით შეებრძოლნენ ერთმანეთს, ვაჟებმა კი ურთიერთობა ხმლის ტრიალით გაარკვიეს.

დიაცთა შორის რაპირის ხმარება ყველაზე უკეთ იტალიელებს სცოდნიათ. თუმცა ეს ამბავი ახალი ნამდვილად არაა, რადგან აპენინელები პოლონელთა ძლევის შემდეგ ზედიზედ მესამედ გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები. მოლოდინი გამართლდა და იტალიამ კიდევ ოთხი წლით გაიგრძელა ზეობა, რომელიც 1992 წელს ბარსელონაში დაიწყო. ამაში კი უდიდესი წვლილი შეიტანა ინდივიდუალურ შეჯიბრში ორიოდ დღით ადრე გამარჯვებულმა ვალენტინა ვეძალიმ. მისი და სიდნეიში ბრინჯაოს მედლის მომგები ჯოვანა ტრილინის (რომელიც, სხვათა შორის, ბარსელონაშიც გამოვიდა) ბრწყინვალე ტექნიკის წყალობით აპენინელებს მთელი ტურნირის მანძილზე წამითაც არ დაუყენებიათ ეჭვქვეშ თავიანთი უპირატესობა. მათ დიანა ბიანკედიც კარგად მიეხმარა.

იტალიამ ჯერ უკრაინას აჯობა (45:39), მერე კი ნახევარფინალში მოულოდნელად გასული აშშ დაამარცხა (45:38). ფინალი თავიდან საკმაოდ დაძაბული და თანაბარი გამოდგა. პოლონელებმა დაამტკიცეს, რომ წინა ეტაპზე გერმანელებისთვის შემთხვევით არ მოუგიათ (45:34). გრუშალამ და მროსკიევიჩმა საწყის დუელებში იმარჯვეს კიდეც და თავიანთი გუნდი ხუთი ჩხვლეტითაც დააწინაურეს (20:15). მერე იტალიელებმა იძალეს, მაგრამ ბოლო ორთაბრძოლამდე მხოლოდ ორი ჩხვლეტით მოახერხეს წინ გასვლა. ბოლოს კი ვეძალიმ ერთხელაც აჩვენა თავისი მაღალი კლასი, გრუშალას 10:3 მოუგო და რიგითი იტალიელი პოლიციელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ამჯერად თანაგუნდელებთან ერთად. მესამე ადგილისა და ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლა გერმანიასა და აშშ-ს შორის ევროპელთა გამარჯვებით (45:42) დასრულდა.

„ძალიან უცნაური იყო. ტელევიზიით ვუყურებდი მატჩს და უცებ მის მონაწილედ ვიქეცი. ვერცხლის მედალიც მერგო" — თქვა ფრანგმა სედრიკ სეგენმა, რომელმაც ფინალის ბოლო ბრძოლაში დაშავებული დამიან ტუია შეცვალა. საუკეთესო ფრანგი მეხმლეები ვერ გაუმკლავდნენ რუსებს და სეგენი რას გააწყობდა. ჰოდა, იტალიელი ქალების მსგავსად რუსმა ვაჟებმაც ზედიზედ მესამედ მოიპოვეს ოლიმპიური ჩემპიონობა. მათი უდავო ლიდერის, სტანისლავ პოზდნიაკოვისთვის კი ეს მეოთხე ოქროა. მან ატლანტაში ინდივიდუალურ შეჯიბრშიც ივაჟკაცა.

არადა, ფინალში ფავორიტი თითქოს საფრანგეთი უნდა ყოფილიყო, რომელიც შარშან სეულის მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი იყო, თან ტუიამ მარტომაც მოიპოვა მაშინ ოქროს მედალი. მაგრამ რუსებმა პროგნოზები არად ჩააგდეს და მსოფლიოს ჩემპიონებსაც ისევე იოლად გაუსწორდნენ (45:32), როგორც ნახევარფინალში პოლონელებს (45:28). მოფარიკავეთა ტურნირის ბოლო დღის ყველაზე დაძაბული და დრამატული მატჩი კი უდავოდ საფრანგეთისა და გერმანიის ნახევარფინალი იყო. თავიდან მუშკეტერების შთამომავლები დაწინაურდნენ და გვარიანადაც. საწყის ექვს დუელში მათ რვით მეტჯერ უჩხვლიტეს მეტოქეებს (30:22), თუმცა მერე სამეულიდან უმრწემესი პილე დაიბრიყვა კოტნიმ, 12:5 მოუგო და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. გადამწყვეტი ორთაბრძოლის წინ ფრანგები 40:39 იგებდნენ, მაგრამ ვებერმა ტუიაზე უკეთ დაიწყო დუელი და წინ უკვე გერმანია გავიდა — 44:42. აქ ტუიამ გარისკა, ზედიზედ შეუტია, ისე, რომ დაცვაზე თითქმის აღარ უფიქრია და გაუმართლა კიდეც.

ფინალში კი ნეო-მუშკეტერებს აღარ დაეხმარა ბედი. რუსებმა დაცვაში მშვენიერი გარჯის წყალობით ნელ-ნელა მოიპოვეს უპირატესობა და საბოლოოდ იოლად გაიმარჯვეს.

**გაიოზ თალაკვაძე**

## ტანვარჯიში

ვაჟები. რგოლები

1. სილვესტრ ჩოლანი (უნგრეთი) 9,850; 2. დიმოსთენის ტამპაკოსი (საბერძნეთი) 9,762; 3. იორდან იოვჩევი (ბულგარეთი) 9,737

ვაჟები. ტაიჭი

1. მარიუს ურზიცა (რუმინეთი) 9,862; 2. ერიკ პუჟადე (საფრანგეთი) 9,825; 3. ალექსეი ნემოვი (რუსეთი) 9,800

ვაჟები. თავისუფალი ვარჯიში

1. იგორს ვიჰროვსი (ლატვია) 9,812; 2. ალექსეი ნემოვი (რუსეთი) 9,800; 3. იორდან იოვჩევი (ბულგარეთი) 9,787

ვაჟები. ხტომა

1. გერვასიო დეფერი (ესპანეთი) 9,712; 2. ალექსეი ბონდარენკო (რუსეთი) 9,587; 3. ლეშეკ ბლანიკი (პოლონეთი) 9,475

ვაჟები. ორძელი

1. ლი სიაოპენი (ჩინეთი) 9,825; 2. ლი ჯუ ჰიუნგი (კორეა) 9,812; 3. ალექსეი ნემოვი (რუსეთი) 9,800

ვაჟები. ძელი

1. ალექსეი ნემოვი (რუსეთი) 9,787; 2. ბენჟამინ ვარონიანი (საფრანგეთი) 9,787; 3. ლი ჯუ ჰიუნგი (კორეა) 9,775... 6. ილია გიორგაძე (საქართველო) 9,625. სულ 8 მონაწილე

ქალები. ორძელი

1. სვეტლანა ხორკინა (რუსეთი) 9,862; 2. ჟიე ლინგი (ჩინეთი) 9,837; 3. იუნ იანგი (ჩინეთი) 9,787

ქალები. ხტომები

1. ელენა ზამოლოდჩიკოვა (რუსეთი) 9,731; 2. ანდრეეა რადუჩანი (რუმინეთი) 9,693; 3. ეკატერინა ლობაზნიუკი (რუსეთი) 9,674

ქალები. დვირი

1. ლიუ სუანი (ჩინეთი) 9,825; 2. ეკატერინა ლობაზნიუკი (რუსეთი) 9,787; 3. ელენა პროდუნოვა (რუსეთი) 9,775

ქალები. თავისუფალი ვარჯიში

1. ელენა ზამოლოდჩიკოვა (რუსეთი) 9,850; 2. სვეტლანა ხორკინა (რუსეთი) 9,812; 3. სიმონა ამანარი (რუმინეთი) 9,712

## წყალში ხტომა

ვაჟები. სინქრონული ხტომა

10მ. კოშკიდან

1. იგორ ლუკაშინი - დმიტრი საუტინი (რუსეთი) 365,04; 2. ჰუა ტია - ტიან ლიანგი (ჩინეთი) 358,74; 3. იან ჰემპელი - ჰაიკო მაიერი (გერმანია) 338,88

ქალები. სინქრონული ხტომა 3მ. ტრამპლინიდან

1. ვერა ილინა - იულია პახალინა (რუსეთი) 332,64; 2. ფუ მინსია - გუო ჟინგჟინგი (ჩინეთი) 321,60; 3. განა სოროკინა - ოლენა ჟუპინა (უკრაინა) 290,34

ქალები. 10მ. კოშკი

1. ლაურა უილკინსონი (აშშ) 543,75; 2. ლი ნა (ჩინეთი) 542,01; 3. ან მონმინი (კანადა) 540,15

## ბადმინტონი

**ვაჟები**

ფინალი

ჟი სინგპენი (ჩინეთი) — ჰენდრავანი (ინდონეზია) 2:0 (15:4, 15:13)

მესამე ადგილისთვის

სია ხუანძე (ჩინეთი) — პეტერ გადე (დანია) 2:0 (15:13, 15:5)

**ქალთა წყვილები**

ფინალი

გე ფეი - გუ ჟუნი (ჩინეთი) — ჰუანგ ნანიანი - იანგ ვეი (ჩინეთი) 2:0 (15:5, 15:5)

მესამე ადგილისთვის

გაო ლინგი - კუინ იუიანი (ჩინეთი) — ჩუნგ ჯაე ჰეე - რა კიუნგ მინი (კორეა) 2:0 (15:10, 15:4)

## ბატუტი

ვაჟები

1. ალექსანდრ მოსკალენკო (რუსეთი) 41,70; 2. ჯაი უოლესი (ავსტრალია) 39,30; 3. მატიო ტურჟონი (კანადა) 39,10

# ჩემპიონები და პრიზიორები

## 23 სექტემბერი

### მძლეოსნობა

ქალები. 100 მ

1. მარიონ ჯონსი (აშშ)
2. ეკატერინი ტანუ (საბერძნეთი)
3. ტანია ლოურენსი (იამაიკა)

ვაჟები. 100 მ

1. მორის გრინი (აშშ)
2. ატო ბოლდონი (ტრინიდადი)
3. ობადელე ტომპსონი (ბარბადოსი)

ვაჟები. შუბი

1. იან ჟელეზნი (ჩეხეთი)
2. სტივ ბაკლი (დიდი ბრიტანეთი)
3. სერგეი მაკაროვი (რუსეთი)

### ბადმინტონი

ვაჟები

1. ჟი სინპენგი (ჩინეთი)
2. ჰენდრავანი (ინდონეზია)
3. სია ხუანძე (ჩინეთი)

ქალთა წყვილები

1. გე ფეი — გუ ჟუნი (ჩინეთი)
2. ჰუანგ ნანიანი — იანგ ვეი (ჩინეთი)
3. გაო ლინგი — კუინ იუიანი (ჩინეთი)

### სამთო ველოსიპედი

ქალები

1. პაოლა პეძო (იტალია)
2. ბარბარა ბლატერი (შვეიცარია)
3. მარგარიტა ფულანა (ესპანეთი)

### წყალში ხტომა

ქალები. სინქრონული ხტომა 3მ. ტრამპლინიდან

1. ვერა ილინა — იულია პახალინა (რუსეთი)
2. ფუ მინსია — გუო ჟინგჟინგი (ჩინეთი)
3. განა სოროკინა — ოლენა ჟუპინა (უკრაინა)

ვაჟები. სინქრონული ხტომა 10მ. კოშკიდან

1. იგორ ლუკაშინი — დმიტრი საუტინი (რუსეთი)
2. ჰუ ჟია — ტიან ლიანგი (ჩინეთი)
3. იან ჰემპელი — ჰაიკო მაიერი (გერმანია)

### ფარიკაობა

ქალები. რაპირა. გუნდური

1. იტალია
(ვალენტინა ვეძალი, ჯოვანა ტრილინი, დიანა ბიანკედი, ანამარია ჯაკომეტი)
2. პოლონეთი
3. გერმანია

### ბატუტი

ვაჟები

1. ალექსანდრ მოსკალენკო (რუსეთი)
2. ჯაი უოლესი (ავსტრალია)
3. მატიო ტურჟონი (კანადა)

### აკადემიური ნიჩბოსნობა

ქალები. ერთადგილიანი

1. ეკატერინა კარსტენი (ბელარუსი)
2. რუმიანა ნეიკოვა (ბულგარეთი)
3. კატრინ რატშოუ-სტომპოროვსკი (გერმანია)

ვაჟები. ერთადგილიანი

1. რობ უოდელი (ახალი ზელანდია)
2. ქსენო მიულერი (შვეიცარია)
3. მარსელ ჰაკერი (გერმანია)

ქალები. ორადგილიანი ცალმოსასმელიანი უმესაჭეოდ

1. გეორგეტა დამიანი — დოინა იგნატი (რუმინეთი)
2. რეიჩელ ტეილორი — კეიტ სლეტერი (ავსტრალია)
3. კარენ კრაფტი — მელისა რაიანი (აშშ)

ვაჟები. ორადგილიანი ცალმოსასმელიანი უმესაჭეოდ

1. მიშელ ანდრიუ — ჟან-კრისტოფ როლანი (საფრანგეთი)
2. სებასტიან ბეა — ტედ მერფი (აშშ)
3. ჯეიმს ტომკინსი — მეტიუ ლონგი (ავსტრალია)

ქალები. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი

1. კატრინ ბორონი — იანა ტიემე (გერმანია)
2. პიეტა ვან დიშუკი — ეკე ვან ნესი (ჰოლანდია)
3. ბირუტე საკიჩკიენე — კრისტიანა პოპლავსკაია (ლიტვა)

ვაჟები. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი

1. იზტოკ ჩოპი — ლუკა შპიკი (სლოვენია)
2. ფრედერიკ რააენ ბეკენი — ოლაფ ტუფტე (ნორვეგია)
3. ჯოვანი კალაბრეზე — ნიკოლა სარტორი (იტალია)

ვაჟები. ოთხადგილიანი ცალმოსასმელიანი უმესაჭეოდ

1. დიდი ბრიტანეთი
(ჯეიმს კრაკნელი, სტივენ რედგრეივი, ტიმ ფოსტერი, მეტიუ პინსენტი)
2. იტალია
3. ავსტრალია

### სროლა

ვაჟები. ნებისმიერი შაშხანა სამი მდგომარეობიდან

1. რაიმონდ დებევეცი (სლოვენია)
2. იუჰა პირვი (ფინეთი)
3. ჰარალდ სტენვააგი (ნორვეგია)

ვაჟები. მრგვალი სტენდი

1. მიკოლა მილჩევი (უკრაინა)
2. პეტრ მალეკი (ჩეხეთი)
3. ჯეიმს გრეივსი (აშშ)

### ცურვა

ქალები. 50მ. თავისუფალი სტილი

1. ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია)
2. ტერეზა ალსამარი (შვედეთი)
3. დარა ტორესი (აშშ)

ქალები. 4X100 მ. ესტაფეტა კომპლექსური

1. აშშ
(ბი ჯეი ბედფორდი, მეგან ქვანი, ჯენი ტომპსონი, დარა ტორესი)
2. ავსტრალია
3. იაპონია

ვაჟები. 1500 მ. თავისუფალი სტილი

1. გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია)
2. კიერენ პერკინსი (ავსტრალია)
3. კრის ტომპსონი (აშშ)

ვაჟები. 4X100მ. ესტაფეტა კომპლექსური

1. აშშ
(ლენი კრაიზელბურგი, ედ მოზესი, იან კროკერი, გერი ჰოლი)
2. ავსტრალია
3. გერმანია

### მაგიდის ჩოგბურთი

ვაჟთა წყვილები

1. ვანგ ლიკინი — იან სენი (ჩინეთი)
2. კონგ ლინგჰუი — ლიუ გუოლიანგი (ჩინეთი)
3. პატრიკ შილა — ჟან-ფილიპ გატიენი (საფრანგეთი)

### წყალბურთი

ქალები

1. ავსტრალია
(ლიზ ვიკსი, ივეტ ჰიგინსი, გეილ მილერი, ნაომი კესტლი, ბრონვინ მეიერი, სიმონ ჰენკინი, დანიელ ვუდჰაუზი, კეიტ ჰუპერი, დები უოტსონი, ტერინ ვუდსი, ბრიჯიტ გასტერტონი, ჯოან ფოქსი, მელისა მილზი)
2. აშშ
3. რუსეთი

### ძალოსნობა

ვაჟები. 85 კგ

1. პიროს დიმასი (საბერძნეთი)
2. მარკ ჰუსტერი (გერმანია)
3. გიორგი ასანიძე (საქართველო)

# დღის გმირი

## სტივ რედგრეივი

### დიდი ბრიტანეთი, აკადემიური ნიჩბოსნობა


REUTERS სააგენტოს

ძალიან საინტერესოა, ხუთ ოლიმპიადაზე გამარჯვებული ინგლისელის რომელ წინაპარს ჰქონდა წითელი სამარე. ან იქნებ თავად იყო მესაფლავე და წითელ სამარეებს აკეთებდა? თუმცა, ჩვენ, ახლა, ამის გამრკვევი ნამდვილად არ ვართ და ამიტომ ფაქტი ფაქტად მივიღოთ — ფენომენალურმა ნიჩბოსანმა, სტივ რედგრეივმა, რომლის გვარიც სხვა არაფერს ნიშნავს თუ არა წითელ სამარეს, სიდნეიშიც ოქროს მედალი მოიპოვა და განაცხადა:

„არა მგონია ისევ მოვიმარჯვო ნიჩაბი, თუმცა კაცმა არ იცის, რა იქნება ოთხი წლის შემდეგ, მომდევნო ოლიმპიადაზე".

რამხელა უკანდახევაა. 1996 წელს, ატლანტაში რომ გაიმარჯვა, რედგრეივმა ასე თქვა: „საკმარისია. ნავთან მისული კიდევ რომ დამინახოთ, მესროლეთ".

მისი ეს სიტყვები ძალიან პოპულარული გახდა და, რაც მთავარია, ამ ფრაზამ მეტისმეტად გაახარა სტივის მეუღლე, ოდინდელი ნიჩბოსანი და დღეს გუნდი ექიმი ელიზაბეტ-ენი, მაგრამ როგორც ხედავთ რედგრეივის ნათქვამის ნდობა არ შეიძლება.

ინგლისელის სპორტულ გმირობას ნამდვილ გმირობად ის აქცევს, რომ 1997 წლის შემდეგ დიაბეტით ავადმყოფი დღეში ხუთჯერ ინსულინს თავისი ხელით იკეთებს.

და ვინ სჯობს სტივ რედგრეივს? უნგრელი მოფარიკავე ალადარ გერევიჩი, რომელიც 1932 წლიდან მოყოლებული 1960 წლამდე ოქროს ოქროზე იგებდა — ექვსი ოლიმპიადის ჩემპიონია.

კალათბურთი

# ვაი, რუსის ბედს...

**ვაჟები**

23 სექტემბერი

A ჯგუფი

იტალია 67:57 საფრანგეთი
აშშ 102:56 ახალი ზელანდია
ლიტვა 82:66 ჩინეთი

B ჯგუფი

ავსტრალია 86:75 ანგოლა
რუსეთი 77:59 კანადა
იუგოსლავია 78:65 ესპანეთი

25 სექტემბერი

A ჯგუფი

აშშ 106:94 საფრანგეთი
ლიტვა 85:75 ახალი ზელანდია
ჩინეთი 85:76 იტალია

B ჯგუფი

რუსეთი 88:65 ანგოლა
კანადა 83:75 იუგოსლავია
ავსტრალია 91:80 ესპანეთი

მეოთხედფინალი

28 სექტემბერი

აშშ — რუსეთი
იუგოსლავია — ლიტვა
იტალია — ავსტრალია
კანადა — საფრანგეთი

**ქალები**

24 სექტემბერი

A ჯგუფი

კანადა 61:60 ბრაზილია
ავსტრალია 69:62 საფრანგეთი
სლოვაკეთი 68:32 სენეგალი

B ჯგუფი

აშშ 76:57 პოლონეთი
კორეა 69:56 კუბა
რუსეთი 92:54 ახალი ზელანდია

მეოთხედფინალი

27 სექტემბერი

რუსეთი — ბრაზილია
აშშ — სლოვაკეთი
საფრანგეთი — კორეა
ავსტრალია — პოლონეთი

**უსაბონისო** ლიტვასთან ოდენ ცხრა ქულით გამარჯვებით, რაც ოლიმპიური „დრიმ თიმების" ისტორიული ანტირეკორდია, ამერიკელებს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ თავს. ნბა-ს სუპერვარსკვლავებსა და მათ თავკაცებზე აუგის თქმა არავის დაეზარა, არადა, ისინი ხომ მსოფლიოში უძლიერეს კალათბურთელებად თვლიან თავს (და სამართლიანადაც) და მათ შელახული თავმოყვარეობის ალსადგენად ყველაფერი ილონეს.

პირველი, ვინც გაალმასებულ ამერიკელებს კლანჭებში ჩაუვარდა, ეს ჯგუფის უიმედო აუტსაიდერი ახალი ზელანდია გახლდათ, რომელმაც ყველა ჯგუფური შეხვედრა საშინელი სხვაობით წააგო. ახალზელანდიელთა წინა მარცხები არაფერია იმასთან შედარებით, რაც მათ ამერიკელებმა დააწიეს. ისე, მართალი რომ ითქვას, მძლავრ მეტოქეს ძალიანაც არ დაუჩაგრავს ისინი, სულ 46 ქულის სხვაობით მოუგო.

აი, ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში კი ამერიკელებმა ძველებურად გაუტიეს. მათ ფრანგებს ღია თამაში შესთავაზეს, ამაში კი, აბა, ვინ აჯობებს კარტერს, გარნეტს, კიდსა და მათ მოძმეებს. ფრანგებსაც არ უთამაშიათ ურიგოდ, შეძლებისდაგვარად ზურგში მიჰყვებოდნენ მეტოქეს და ღირსეულად, მხოლოდ 12 ქულის სხვაობით დამარცხდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატები, რაღა თქმა უნდა, A ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა და მეოთხედფინალში B ჯგუფის მეოთხეადგილოსანს შეხვდება. ასეთი კი რუსეთი გახლავთ. არ გაუმართლათ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს. მათ რაც შეეძლოთ, ყველაფერი ილონეს, მაგრამ მაინც ვერ გაექცნენ ამერიკას. რუსებმა ჯგუფში მხოლოდ ორი შეხვედრა დათმეს, მაგრამ ყველაფერი მათზეც არ იყო დამოკიდებული. რუსთა მიერ ძლეული კანადა თუ იუგოსლავიასთან წააგებდა, რუსებს მეორე ადგილი ერგებოდათ, მაგრამ კანადა არ დაინტერესდა რუსთა ბედით, მსოფლიოს ჩემპიონი იუგოსლავია ბეჭებზე გააკრა და ოთხი გამარჯვებით ჯგუფში სულაც პირველ ადგილზე გავიდა. რუსეთის ინტერესები არად ჩააგდო მასპინძელმა ავსტრალიამაც. ოლიმპიადის მასპინძელი ესპანეთს ხვდებოდა. ეს მატჩი ბევრს წყვეტდა, რადგან გამარჯვებული მედლებისთვის ბრძოლას აგრძელებდა. თუ ესპანეთი გაიმარჯვებდა, რუსეთს მესამე ადგილი და, შესაბამისად, მეოთხედფინალში მეტოქედ იტალია ერგებოდა, მაგრამ იმ შეხვედრაში ავსტრალიამ იმარჯვა, ჩვენი მეზობლებისა არ იყოს, სამი მოგება დაუგროვდა და რადგან პირად შეხვედრაში რუსებთან გაემარჯვა, ესოდენ სახიფათო მეოთხე ადგილსაც ასცდა.

მეოთხედფინალური წყვილები, როგორც ხედავთ, მეტ-ნაკლებად თანაბარია, თუ, ცხადია, აშშ-რუსეთს არ ჩავთვლით. დაშლილი საბჭოთა კავშირის შთამომავალი რუსეთი გასავარდნადაა განწირული. რას იზამს, ვერც ახლა შესწვდება წმინდარუსულ საკალათბურთო ოლიმპიურ მედალს.

**ირაკლი ფირჯყვილი**

# ბოდიში, ავსტრალია!

**მრავალგზის** მცდელობის მიუხედავად, ჰოუმ ბუშ ბეის სიდნეის საერთაშორისო საწყლოსნო ცენტრში მრავალთა ოცნებები ჩაიფუშა. ამაში უპირველეს ყოვლისა მასპინძლებს, ავსტრალიელებს ვგულისხმობთ. ოზებმა უმთავრეს მიზანს, ამერიკელთა ჰეგემონიის დამხობას, კვლავაც ვერ მიაღწიეს, 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადის წარმატება ვერ გაიმეორეს. მაშინ ხომ პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად მოახერხეს და იანკთა ბატონობა მშობლიურ აუზში ჩაძირეს. ახლაც იგივეს გამეორება სურდათ. დიდ გულზეც იყვნენ. იქადნებოდნენ და აცხადებდნენ, მთელ მსოფლიოს დავანახებთ, როგორი ძლიერი მოცურავეები გვყავს. იანკებთან პაექრობაში მეტი წილი გამარჯვებები ჩვენს მხარეს იქნება და ამაში შინაური კედლებიც დაგვეხმარებაო. მათ არც ამერიკელები ჩამორჩნენ და ყველას აფრთხილებდნენ, ამ ტიტანთა ბრძოლაში ნურავინ გაბედავს ჩარევასო.

მართლაც, დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ ცისფერ ბილიკებზე ამერიკა და ავსტრალია ბატონობს. ისინი ახლოს არავის იკარებენ, თავად კი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებიან ერთმანეთს. თუმცა არის გამონაკლისებიც. ამაში კი მთავარ როლს ყოველთვის ევროპელები ასრულებენ, რომელთაც არაერთი სიურპრიზიც შეუთავაზებიათ ამ ვეშაპებისთვის. ხშირად ამა თუ იმ დისციპლინის ფავორიტთათვის ჩემპიონობისკენ მიმავალი გზაც გადაუღობავთ და მშრალზეც დაუტოვებიათ.

სიდნეის „ოლიმპიურ წყალში“ ასპარეზობის ბოლო დღეს ამერიკელმა მოცურავეებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ პირველობის გვირგვინი მათია. თავად განსაჯეთ, იანკებმა 4X100 კომპლექსურ ესტაფეტაში ჩემპიონობას ერთობ შთამბეჭდავად მიაღწიეს. ქალებმაც და კაცებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს, რათა საწადელისთვის მიეღწიათ და შედეგად მსოფლიოს რეკორდიც მიიღეს.

ქალთა ფინალში ბარბარა ბედფორდმა, მეგან ქვანმა, ჯენი ტომპსონმა და დარა ტორესმა 1994 წელს რომში ჩინელების მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (4.01,67) დაამხეს — 3.58,30.

აღსანიშნავია, რომ ამ გამარჯვებით ჯენიფერ ტომპსონმა თავისი მერვე ოლიმპიური ოქრო მოიპოვა და ყველა დროის ოქროს მედალოსან ქალთა სიაში მეორე ადგილზე ყოფნა კიდევ უფრო განიმტკიცა. ახლა იგი (რვა ოქრო, თითო-თითო ვერცხლი და ბრინჯაო) ცხრაგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ტანმოვარჯიშე ლარისა ლატინინას თუ




REUTERS სიდნეიდან

**გმადლობთ, ამერიკა! ვამაყობთ, რომ შენი გუნდი ვართ: 14 ოქროს მომპოვებელი ამერიკელი მოცურავეები სამშობლოს ემადლიერებიან**

ჩამორჩება. ტომპსონი ამ უაღრესად დიდ წარმატებას ნაწილობრივ თანაგუნდელებსაც უნდა უმადლოდეს, რადგან რვაგზის ჩემპიონობა მან ესტაფეტებში იზეიმა. ისე, ესეც თავისებური რეკორდია. როგორი ამბავია, რვაჯერ ახვიდე გამარჯვებულის კვარცხლბეკზე და აქედან ერთიც არ იყოს ინდივიდუალურ სახეობაში დამსახურებული? ასე თუ ისე, ტომპსონს სიდნეიმ (ზედიზედ მესამედ ასპარეზობდა ოლიმპიადაზე) ინდივიდუალურ სახეობაში წარმატება კვლავაც ვერ მოუტანა.

სიდნეის „ოლიმპიურ წყალში“ ქალებს მხარი აუბეს კაცებმაც. 4X100 კომპლექსურ ესტაფეტის ფინალში ლენი კრაიზელბურგმა, ედ მოზესმა, იან კროკერმა და გერი ჰოლმა საშუალება არ მისცეს მასპინძლებს, ამ სახეობაში მესამედ ეზეიმათ გამარჯვება. თავად კი ატლანტის ოლიმპიადაზე მათივე თანამემამულეთა მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (3.34,84) გააუმჯობესეს — 3.33,73.

ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ სიდნეის ოლიმპიური აუზი ყველაზე სწრაფია მსოფლიოში, რადგან რვადღიანი პაექრობების განმავლობაში 15 ისტორიული გაცურვის მოწმენი გავხდით — 14 მსოფლიოს რეკორდი, ერთიც გამეორებული, ასეთი შედეგი.

აღსანიშნავია ბრინჯაოს მედალოსანთა — გერმანელების გამოსვლაც. არიელებმა როგორც იქნა, ნავსი გატეხეს და საპრიზო ადგილის დაკავებით შეწყვიტეს წარუმატებელი სვლა, რომელიც ბოლო ხუთ ოლიმპიადაზე გრძელდებოდა.

რუსი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრ პოპოვის მსგავსად, საწადელი ვერ აისრულა ავსტრალიელმა კიერენ პერკინსმაც. პერკინსს დიდი სურვილი ჰქონდა, მისთვის ზედიზედ მესამე ოლიმპიადზე წარმატებისთვის მიეღწია, მაგრამ სანუკვარი ოცნების აღსრულებაში თავისივე თანამემამულე გრანტ ჰეკეტმა შეუშალა ხელი.

მსოფლიოს ჩემპიონმა ჰეკეტმა ყველას აჯობა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და პერკინსის 8-წლიან მეფობას მოუღო ბოლო.

საგულისხმოა, რომ 20 წლის ახალგამომცხვარმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავიდანვე იგდო ხელთ უპირატესობა და მთელი დისტანციის მანძილზე ლიდერობდა. შედეგად კი იგი ცურვაში ყველაზე გრძელი დისტანციის ბატონ-პატრონი შეიქნა. არც დაუმალავს. სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა. ბოლოს საჩვენებელი თითიც აღმართა და ყველას მიანიშნა, ახლა მე ვარ პირველიო.

მიუხედავად პერკინსის მარცხისა, იგი მაინც შევიდა ისტორიაში, როგორც ამ დისციპლინის უდიდესი მოცურავე. მან ერთადერთმა შეძლო 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ორჯერ მოეპოვებინა ოლიმპიური ჩემპიონობა, ახლა კი კოლექცია სიდნეური ვერცხლითაც გაიმდიდრა. გარდა ამისა, მან პირველმა შეძლო 15-წუთიანი ბარიერის გადალახვა.

ერთხელ ჰოლანდიელმა ინგე დე ბრუინმა განაცხადა: „ახლა, როდესაც სპორტული კარიერის დასასრულს ვუახლოვდები, ვგრძნობ, რომ უკეთეს ფორმაში ვარ, ვიდრე ოდესმე.“ მან უკვე არაერთგზის დაგვარწმუნა თავისი სიტყვების სისწორეში. 27 წელი მოცურავისთვის რომ ზღვარია, უდავოა. ყოველ შემთხვევაში, სპორტული თუ არა, ოლიმპიური კარიერისთვის მაინც. რადგან ძალიან იშვიათია, რომ თითქმის სამი ათეული წლის მოცურავემ ოლიმპიადაზე იფიქროს.

ამიტომაც ყველა სპორტსმენი მაქსიმალურად ცდილობს, ოლიმპიადაზე საკუთარი თავი უკეთ წარმოაჩინოს.

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე წარმატების შანსი ხელიდან არ გაუშვა დე ბრუინმაც. 15 მსოფლიოს რეკორდიდან სამი მან დაამყარა, ხოლო 100 მეტრზე ბატერფლაისა და კროლში მოპოვებულ ჩემპიონის ტიტულებს 50 მეტრზე თავისუფალი სტილით გამარჯვებაც დაურთო და ოლიმპიური ჰეთ თრიქიც შეასრულა.

— ვიცოდი, რომ რაღაცის გაკეთება შემეძლო, მაგრამ ასეთ წარმატებას არ ველოდი. გამოგიტყდებით, ამის მიღწევა ძნელი იყო — თქვა უკვე სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა. ისე კი, შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო. 50 თავისუფალი სტილით ფინალური ასპარეზობისას დე ბრუინს მძლავრი კონკურენცია გაუწია ევროპის ჩემპიონმა შვედმა ტერეზა ალსამარმა, რომელიც საწყის ეტაპზე წინაც გაიჭრა, მაგრამ მარშრუტის ბოლოსკენ დე ბრუინმა მოახერხა, თავად დაწინაურებულიყო — 24,32. შვედ ალსამარს ჰოლანდიელმა უკვე მეორე მარცხი აგემა. პირველად ეს 100 მეტრზე იმავე დისციპლინაში მოხდა, ახლა კი 50 მეტრზე — 24,51. ოლიმპიური ჩემპიონობა ვერ გაიმეორა ამერიკელმა ემი ვან დაიკენმა, რომელიც მეოთხე ადგილზე გავიდა — 25,04. ვან დაიკენის თანამემამულე დარა ტორესს კი ბრინჯაო ხვდა წილად — 24,63.

ახლა, როდესაც მოცურავეთათვის ოლიმპიადა დასრულდა გარკვეული დასკვნების გამოტანაც შეიძლება.

მასპინძლებმა, ბევრი ეცადეს თუ ცოტა, დანაქადნები არა თუ ვერ შეასრულეს, ახლოსაც ვერ გაეკარნენ ამერიკელებს. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა იანკებს დარჩათ. ამერიკელებმა მთლიანობაში 33 მედალი მოიპოვეს (14 ოქრო, 8 ვერცხლი, 11 ბრინჯაო).

ავსტრალიელებისგან განსხვავებით, ჰოლანდიელთა გაფრთხილება, ოლიმპიადაზე სიურპრიზს შემოგთავაზებთო, რეალური გამოდგა. ის კი არა, ლამის მეორეობაც წაართვეს მასპინძლებს. მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებმა, ისევე როგორც ჰოლანდიელებმა, ხუთხუთი უმაღლესი ხარისხის მედალი მოიპოვეს. ოზები საპრიზო ადგილების საერთო რაოდენობამ იხსნა სირცხვილისგან — 18-8 წინააღმდეგ.

**გიგა გურასაშვილი**

ვაჟები. 4X100 კომპლექსური ესტაფეტა

**1. აშშ (ლენი კრაიზელბურგი, ედ მოზესი, იან კროკერი, გერი ჰოლი) 3.33,73; 2. ავსტრალია 3.35,27; 3. გერმანია 3.35,88**

ქალები. 4X100 კომპლექსური ესტაფეტა

**1. აშშ (ბარბარა ბედფორდი, მეგან ქვანი, ჯენი ტომპსონი, დარა ტორესი) 3.58,30; 2. ავსტრალია 4.01,59; 3. იაპონია 4.04,16**

ვაჟები. 1500 მ. თავისუფალი სტილი

**1. გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) 14.48,33; 2. კიერენ პერკინსი (ავსტრალია) 14.53,59; 3. კრის ტომპსონი (აშშ) 14.56,81**

ქალები. 50 მ. თავისუფალი სტილი

**1. ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია) 24.32; 2. ტერეზა ალსამარი (შვედეთი) 24,51; 3. დარა ტორესი (აშშ) 24,63**



# დებიუტი შედგა

**ქალები**

**ფინალი**

**ავსტრალია 4:3 აშშ**

**მესამე ადგილისთვის**

**რუსეთი 4:3 ჰოლანდია**

**ოლიმპიადის** დედაქალაქ სიდნეიში, სადაც ათასწლეულის ბოლო უმთავრესი სპორტული ბატალიები მიმდინარეობს, სპორტის არაერთმა სახეობამ პირველად იხილა ოლიმპიადის შუქი. მათ შორისაა ტაეკვონდო, ტრიატლონი და ქალთა წყალბურთი. თუ პირველი მათგანის თამაშების პროგრამაში მოხვედრა მსოფლიოში ამ სახეობის მიმდევართა რაოდენობამ განაპირობა, ტრიატლონის ოფიციალურ პროგრამაში განთავსება მასპინძელთა დაჟინებული თხოვნის შედეგია, ხოლო ქალთა წყალბურთს რომ ასეთი პატივი ერგო, მის მიმდევართა მრავალწლიანი ბრძოლის ნაყოფია.

თავდაპირველად ქალთა წყალბურთისადმი ინტერესი ჰოლანდიელებმა გამოიჩინეს და, ასე ვთქვათ, მისი პოპულარიზაციისაკენ მიმავალი გზაც გაკაფეს. ხოლო 90-იანი წლების შუაწელში, როდესაც სიდნეიმ 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოიპოვა, ქალთა წყალბურთის ოფიციალურ პროგრამაში განთავსებისთვის ბრძოლაში ლიდერის როლი ავსტრალიამ ითავა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1976




REUTERS სიდნეიდან

**ავსტრალიელმა ქალებმა ჩემპიონობით გაიხარეს**

წელს ავსტრალიელებმა პირველად გააგზავნეს თავიანთი გუნდი აშშ-ს ეროვნულ ჩემპიონატზე ჰავაიზე, ხოლო 1978 წლის დასავლეთ ბერლინის ცურვის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალმა წყალბურთელებმა საჩვენებელი პაექრობები გამართეს. ერთი წლის მერე პირველად გამოვიდნენ მსოფლიოს თასზეც, სადაც ჩემპიონობა აშშ-ს ნაკრებს დარჩა.

მსოფლიოს თასზე და ჩემპიონატზე მონაწილეობის მიუხედავად, ოლიმპიური თამაშებისგან მაინც შორს იყვნენ, ამის მიზეზი კი ოლიმპიადებისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების უქონლობა გახლდათ. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მათ ქვეკომიტეტიც ჩამოაყალიბეს.

მოგვიანებით კი იმდენი მოახერხეს, რომ 1984 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე პირველად იხილეს „ოლიმპიური წყალი“. ოღონდ, მათი გამოსვლა საჩვენებელ ასპარეზობებს ითვალისწინებდა. 1986 წლისათვის, როდესაც გარკვეულ კრიტერიუმებს მიაღწიეს, ქალები, როგორც სრულუფლებიანი წევრები, მსოფლიოს ჩემპიონატშიც ჩართეს და პირველი ოფიციალური მედლებიც გაითამაშეს. ამის შემდეგ ოფიციალურ პირებსაც და მოთამაშეებსაც სჯეროდათ, რომ მათ 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ პროგრამაში მიუჩენდნენ ადგილს, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. იმედგაცრუებულნი დარჩნენ ბარსელონას ოლიმპიადაზეც. დიაცთა მცდელობა წარუმატებელი გამოდგა, ვერც ატლანტის ოლიმპიადაზე მოხვდნენ. 1995 წელს კი ამსტერდამში შეიკრიბნენ, რათა კარდინალური ძვრებისთვის ჩაეყარათ საფუძველი. თავი მოიყარეს კანადელებმა, ავსტრალიელებმა, ამერიკელებმა და, რა თქმა უნდა, მასპინძლებმა. ოთხივე ქვეყნის წარმომადგენლებმა სიდნეის ოლიმპიადაზე მოსახვედრად სტრატეგიული გეგმა შეიმუშავეს. ამ საქმის ხელმძღვანელობა ავსტრალიელებს დაავალეს. აბა, თქვენ იცით, თქვენი იმედი გვაქვსო. ოლიმპიადისკენ მიმავალი გზა კი ძალიან ეკლიანი აღმოჩნდა. მათ სასამართლოში ჩივილიც დააპირეს, ქალებს არაფრად გვაგდებთო. ხოლო როცა შეიტყვეს, საწყლოსნო საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) პრეზიდენტი მუსტაფა ლარფაუის 1997 წლის განმავლობაში რეგულარულად ეწვევა სიდნეის, როგორც ოლიმპიადის საკოორდინაციო კომიტეტის წევრიო, დიაცმა წყალბურთელებმა მისი ყურადღების მისაპყრობად არაერთი გამოსვლა მოაწყვეს, ის კი არა, ერთხელ ლარფაუის აეროპორტში საცურაო კოსტიუმში გამოწყობილები 30 წყალბურთელი ქალბატონის დემონსტრაცია დახვდა. მეტიც, როდესაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრესკონფერენციის შესახებ შეიტყვეს, უცერემონიოდ შეიჭრნენ დარბაზში და ყველას ამცნეს თავიანთი მოთხოვნები. მართალია, სასწრაფოდ უკანვე გამოაბრძანეს, მაგრამ იმას მაინც მიაღწიეს, რომ მოსალაპარაკებლად მაგიდას მისხდომოდნენ. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. რომ არა ავსტრალიელთა ჯიუტობა, ალბათ ვერც ამჯერად ვიხილავდით ქალ წყალბურთელთა ასპარეზობებს.

ასე თუ ისე, დებიუტი შედგა.

პირველივე ასპარეზობა მასპინძლებისთვის იღბლიანი გამოდგა. ისტორიულ ფინალში ოზებმა იანკები დაამარცხეს და ქალთა წყალბურთში პირველი ოქროს მედლებიც მოიპოვეს. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში, ბედის ირონია იყო თუ რა, რუსებმა მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონები, ჰოლანდიელები დაამარცხეს. არადა, მას შემდეგ, რაც ქალთა წყალბურთი ყველა დიდი საერთაშორისო ტურნირის (ისეთების, როგორიცაა მსოფლიოს თასი, მსოფლიოს ჩემპიონატები) სრულუფლებიანი წევრი გახდა, პირველი შემთხვევაა, რომ ჰოლანდიელები უმედლოდ დარჩნენ. ასეთი რამ მათ 17 ტურნირზე არ მოსვლიათ.

**გიგა გურასაშვილი**

# ჩემპიონები და პრიზიორები

## 24 სექტემბერი

### მძლეოსნობა

ქალები. მარათონი

1. ნაოკო ტაკაჰაში (იაპონია)
2. ლიდია სიმონი (რუმინეთი)
3. ჯოისე ჩეპჩუმბა (კენია)

ქალები. სამხტომი

1. ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი)
2. ტატიანა ლებედევა (რუსეთი)
3. ოლენა ჰოვოროვა (უკრაინა)

ქალები. შვიდჭიდი

1. დენიზ ლუისი (დიდი ბრიტანეთი)
2. ელენა პროხოროვა (რუსეთი)
3. ნატალია საზანოვიჩი (ბელარუსი)

ვაჟები. სიმაღლეზე ხტომა

1. სერგეი კლიუგინი (რუსეთი)
2. ხავიერ სოტომაიორი (კუბა)
3. აბდერახმან ჰამადი (ალჟირი)

ვაჟები. ურო

1. შიმონ ციოლკოვსკი (პოლონეთი)
2. ნიკოლა ვიძონი (იტალია)
3. იგორ ასტაპკოვიჩი (ბელარუსი)

### წყალში ხტომა

ქალები. 10მ. კოშკი

1. ლაურა უილკინსონი (აშშ)
2. ლი ნა (ჩინეთი)
3. ან მონმინი (კანადა)

### ფარიკაობა

ვაჟები. ხმალი. გუნდური

1. რუსეთი
(სერგეი შარიკოვი, ალექსეი დიაჩენკო, ალექსეი ფროსინი, სტანისლავ პოზდნიაკოვი)
2. საფრანგეთი
3. გერმანია

### ტანვარჯიში

ვაჟები. თავისუფალი ვარჯიში

1. იგორს ვიჰროვსი (ლატვია)
2. ალექსეი ნემოვი (რუსეთი)
3. იორდან იოვჩევი (ბულგარეთი)

ვაჟები. ტაიჭი

1. მარიუს ურჟიცა (რუმინეთი)
2. ერიკ პუჟადი (საფრანგეთი)
3. ალექსეი ნემოვი (რუსეთი)

ვაჟები. რგოლები

1. სილვესტერ ჩოლანი (უნგრეთი)
2. დიმოსთენის ტამპაკოსი (საბერძნეთი)
3. იორდან იოვჩევი (ბულგარეთი)

ქალები. ხტომები

1. ელენა ზამოლოდჩიკოვა (რუსეთი)
2. ანდრეია რადუჩანი (რუმინეთი)
3. ეკატერინა ლობაზნიუკი (რუსეთი)

ქალები. ორძელი

1. სვეტლანა ხორკინა (რუსეთი)
2. ჟიე ლინგი (ჩინეთი)
3. იუნ იანგი (ჩინეთი)

### მაგიდის ჩოგბურთი

ქალები

1. ვანგ ნანი (ჩინეთი)
2. ლი ჟუ (ჩინეთი)
3. ჩენ ჟინგი (ტაივანი)

### ძალოსნობა

ვაჟები. 94 კგ

1. აკაკიოს კახიაშვილისი (საბერძნეთი)
2. შიმონ კოლეცკი (პოლონეთი)
3. ალექსეი პეტროვი (რუსეთი)

### აკადემიური ნიჩბოსნობა

ქალები. მსუბუქი ორადგილიანი

წყვილმოსასმელიანი

1. კონსტანცა ბურჩიცა — ანგელა ალუპეი (რუმინეთი)
2. კლაუდია ბლასბერგი — ვალერი ვიერჰოფი (გერმანია)
3. სარა გარნერი — კრისტინ კოლინზი (აშშ)

ვაჟები. მსუბუქი ორადგილიანი

წყვილმოსასმელიანი

1. ტომაშ კუხარსკი — რობერტ ზიჩი (პოლონეთი)
2. ელია ლუინი — ლეონარდო პეტინარი (იტალია)
3. ტიბო შაპელი — პასკალ ტურონი (საფრანგეთი)

ვაჟები. მსუბუქი ოთხადგილიანი

ცალმოსასმელიანი

1. საფრანგეთი
(ლორან პორშიე, ჟან-კრისტოფ ბეტი, ივ ოსდი, ქსავიე დორფმანი)
2. ავსტრალია
3. დანია

ქალები. ოთხადგილიანი

წყვილმოსასმელიანი

1. გერმანია
(მანია კოვალსკი, მაიკე ევერსი, მანუელა ლოტცე, კერსტინ კოვალსკი)
2. დიდი ბრიტანეთი
3. რუსეთი

ვაჟები. ოთხადგილიანი

წყვილმოსასმელიანი

1. იტალია
(აგოსტინო აბანალე, ალესიო სარტორი, როსანო გალტაროზა, სიმონე რაინერი)
2. ჰოლანდია
3. გერმანია

ქალები. რვაადგილიანი

1. რუმინეთი
(გეორგეტა დამიანი, ვიორიკა სუსანუ, იოანა ოლტიანუ, ვერონიკა კოჩელა, მარია მაგდალენა დუმიტრაკე, ელისაბეტა ლიპა, ლილიანა გაფენკუ, დოიანა იგნატი; მესაჭე ელენა გეორგესკუ)
2. ჰოლანდია
3. კანადა

ვაჟები. რვაადგილიანი

1. დიდი ბრიტანეთი
(ენდრიუ ლინდსი, ბენ ჰანტ-დევისი, საიმონ დენისი, ლუის ეტრილი, ლუკა გრუბორი, კიერან ვესტი, ფრედ სკარლეტი, სტივ ტრეპმორი; მესაჭე რაჯ შაჰი)
2. ავსტრალია
3. ხორვატია

### აფროსნობა

ქალები. მისტრალი

1. ალესანდრა სენსინი (იტალია)
2. ამელი ლუქსი (გერმანია)
3. ბარბარა კენდალი (ახალი ზელანდია)

ვაჟები. მისტრალი

1. კრისტოფ ზიბერი (ავსტრია)
2. კარლოს ესპინოლა (არგენტინა)
3. აარონ მაკინტოში (ახალი ზელანდია)

ვაჟები. ტორნადო

1. რომან ჰაგარა — ჰანს პეტერ შტაინახერი (ავსტრია)
2. დარენ ბანდოკი — ჯონ ფორბსი (ავსტრალია)
3. როლანდ გებლერი — რენე შვალი (გერმანია)

### სამთო ველოსიპედი

ვაჟები

1. მიგელ მარტინესი (საფრანგეთი)
2. ფილიპ მეირაგე (ბელგია)
3. კრისტოფ სოზე (შვეიცარია)



# იფიქრეთ ისტორიაზე

**ვაჟები**

23 სექტემბერი

**მეოთხედფინალი**

**აშშ 2:2 (5:4) იაპონია**

0:1 იანაგისავა (30), 1:1 ვოლფი (68), 1:2 ტაკაჰარა (72), 2:2 ვერმესი (72პ)

**კამერუნი 2:1 ბრაზილია**

ძირითადი დრო 1:1

1:0 მბომა (17), 1:1 რონალდინიო (94), 2:1 მბამი

**ესპანეთი 1:0 იტალია**

1:0 გაბრი (86)

**ჩილე 4:1 ნიგერია**

1:0 კონტრერასი (17), 2:0 სამორანო (18), 3:0 ნავია (42), 4:0 ტელო (76), 4:1 აგალი (76)

**ნახევარფინალი**

26 სექტემბერი

**ესპანეთი — აშშ**

**ჩილე — კამერუნი**

**ქალები**

24 სექტემბერი

**ნახევარფინალი**

**ნორვეგია 1:0 გერმანია**

1:0 ზუნდერლიხი (80ს.კ.)

**აშშ 1:0 ბრაზილია**

1:0 ჰემი (60)

28 სექტემბერი

**მესამე ადგილისთვის**

**გერმანია — ბრაზილია**

**ფინალი**

**ნორვეგია — აშშ**

**წამსვლელ-დამრჩენთა** წრე ვიწროვდება: შაბათს, მეოთხედფინალში წინა ოლიმპიადის გამარჯვებულმა ნიგერიამ, მელბურნში ჩილესთან 1:4 წააგო; ბრისბენში კამერუნმა იმთავითვე ფავორიტად წოდებულ ბრაზილიას დამატებით დროში 2:1 აჯობა; აშშ-ს ადელაიდაში იაპონიასთან გადახდა დიდი ბრძოლა და საბოლოოდ პენალტებით გაიმარჯვა — 5:4; ხოლო კლასიკურ დაპირისპირებაში ესპანეთი — იტალია, თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გატანილი გოლის წყალობით გამარჯვებული ესპანეთი გამოვიდა.

კამერუნელთა ნახევარფინალში გასვლას წინ დიდი დრამა უძღოდა. კერძოდ, შეხვედრის ძირითადი დროის დამთავრებას (მსაჯის წამატებულიანად) ერთი წუთი რომ აკლდა, აფრიკელები 1:0-ს იგებდნენ. ის ერთი გოლი მე-17 წუთზე პატრიკ მბომას საჯარიმო დარტყმით ჰქონდა გატანილი. გერმანიელი მსაჯი ჰერი ბერტ ფანდელი, ბუნებრივია, ცალი თვალით უკვე წამზომს დასცქეროდა, როდესაც ბრაზილიამ ბოლო იმედის შეტევა წამოიწყო და საკუთარ საჯარიმოსთან მოწინააღმდეგეს წესი დაარღვევინა — არაონ ნგუიმბატმა ალექსი წააქცია და წითელი ბარათით დაისაჯა. აღსანიშნავია, რომ ნგუიმბატამდე, 75-ე წუთზე, აფრიკელებს ჯერემი ნჯიტაპი ჰყავდათ გაძევებული და, ესე იგი, გამოდიოდა, რომ საფინალო სასტვენამდე 12 წამით ადრე ისინი მოედანზე ცხრანი რჩებოდნენ.

ზოგადად, საფინალო სასტვენამდე 12 წამით ადრე ორკაციან უმცრიესობაში დარჩენა იმდენად საშინელი არ უნდა იყოს, მაგრამ ამჯერად რონალდინიომ საჯარიმო დარტყმით ბურთი კამერუნელთა კარში შეაგდო და საქმე დამატებით დრომდე მიიყვანა.

ახლა, უპირატესობა უკვე ბრაზილიის მხარეს გახლდათ, მაგრამ ისევე, როგორც შეხვედრის ძირითადი დროის განმავლობაში მათთვის გადაულახავ ჯებირად ამჯერადაც კამერუნელთა 16 წლის მეკარე კარლოს გამენი იქცა, ხოლო შეცვლაზე შესულმა მოდესტე მბამიმ 113-ე წუთზე მარჯვენა ფეხი ლაზათიანად ამოსცხო და სამხრეთ ამერიკელები შინისკენ მიმავალ გზას გაუყენა.

რაც შეეხება ოლიმპიური ჩემპიონის, ნიგერიის შინ გაშვებას, ეს ჩილელთათვის დიდი პრობლემა არ ყოფილა, რაზეც ანგარიში საუცხოოდ მეტყველებს. ჩილელთა გმირი ამ დღეს როდრიგო ტელო გამოდგა. მან ორჯერ საგოლე პასი შეასრულა, მეოთხე გოლი კი თავად შეაგდო. ივან სამორანომ და რეინალდო ნავიამ ნიგერიელთა კარში გატანილი თითო ბურთით შეჯიბრებაში პირადი მონაგარი ოთხამდე გაზარდეს, ხოლო სელესტინ ბაბაიაროსა და აზუბიკე ოლისეს გარეშე მოთამაშე აფრიკელებმა მეტისმეტად უსახური შთაბეჭდილება დატოვეს. მათთვის ერთადერთი დამამშვიდებელი მოვლენა მატჩის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე მოხდა, როდესაც ვიკტორ აგალიმ პრაქტიკული თვალსაზრისით არაფრისმომცემი გოლი გაიტანა.

იაპონიას მეზობელ აშშ-სთან შეხვედრაში ნახევარფინალს ერთი წუთი აშორებდა. ის 2:1-ს იგებდა, მაგრამ უიღბლო ეპიზოდში პენალტით დაისაჯა და თამაშის გაგრძელება დამატებით დროში მოუხდა, ხოლო ვინაიდან დამატებით დროში ბურთს არც აქეთა და არც იქითა კარის ხაზი არ გადაუკვეთავს, ყველაფერი პენალტებმა გადაწყვიტა.

პენალტების დარტყმა ორივე მეტოქემ ზუსტად დაიწყო, სანამ იაპონიის ნაკრების ყველაზე ცნობილმა მოთამაშემ, ჰიდეტოში ნაკატამ არ ააცილა მიზანს. ეს ერთი უზუსტობა ამომავალი მზის ქვეყანას ოლიმპიური მზის ჩასვლად დაუჯდა.

არადა, ძირითად დროში იაპონელები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერც ერთხელ შეინარჩუნეს.

და ბოლოს ის, რასაც ჩვენ კლასიკა ვუწოდეთ: ესპანეთი — იტალია. ესპანელებმა, როგორც მოგახსენეთ გაიმარჯვეს და კვლავ შეინარჩუნეს 1992 წლის ოლიმპიადაზე მიღწეულის გამეორების შანსი. თამაში, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, მძიმე და დაძაბული გამოდგა. მისი ბედის გადამწყვეტი ერთადერთი გოლი 86-ე წუთზე შესვლაზე შესულმა გაბრიმ გაიტანა. საგოლე კომბინაციაში მას ასისტენტობა ბარსელონელმა თანაგუნდელმა ხავიმ გაუწია.

ამრიგად, ესპანეთი ბოლო ევროპული გუნდია, რომელიც შეჯიბრებას შემორჩა, ხოლო ოლიმპიურმა „სკუადრა ადურამ" ბოლო ორ წელიწადში პირველი მარცხი იგემა.

და ვინ არის ფავორიტი? აქედან ისე ჩანს, რომ ჩილე, ქვეყანა, რომელსაც ოლიმპიადების ისტორიაში, 1896 წლიდან მოყოლებული, სულ ექვსი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული, რომელთაგან ბოლო 1988 წელს, სეულში, სროლაში მოიპოვა, თავის უპირველეს სახეობაში, ფეხბურთში ერთობ თავდაჯერებულია. ჩილელთა განზრახვის სერიოზულობა იქიდანაც ჩანს, რომ სიდნეიში პროფესიული ფეხბურთის პირველი ხარისხის ვარსკვლავი, ივან სამორანო წაიყვანეს.

„ხალხი ჩვენგან სულ მეტად და მეტად ელის ოლიმპიურ ოქროს" — განაცხადა გუნდის მეკარემ, ნებადართული სამიდან ერთ-ერთმა „გადაზრდილმა" ნელსონ ტაპიამ — „წესით ფეხბურთელი მხოლოდ შემდგომ მატჩზე უნდა ფიქრობდეს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ოლიმპიურ ისტორიაზე ფიქრის გონებიდან ამოგდება, ყოვლად შეუძლებელია."

**ბაკურა ძიდია**



REUTERS მულტიმედიაზე

ივან სამორანო ჩილელებს ოლიმპიური ოქროსკენ მიუძღვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღის გმირი

24 სექტემბერი

# აკაკიოს კახიაშვილისი

### საბერძნეთი, ძალოსნობა

საბერძნეთი საქართველოს უკვე 2:1-ს უგებს, არადა ოლიმპიადის დამაარსებელი ქვეყანა წესით საერთოდ არაფერ შუაში უნდა იყოს და საქართველო მთელს მსოფლიოს 3:0-ს უნდა უგებდეს...

აკაკიოს კახიაშვილისი ორი ოლიმპიადის ჩემპიონია — 1996 და 2000.

კახი კახიაშვილი ერთის — 1992.

ცოდვაა ჩადენილი, მიუტევებელი ცოდვა, მაგრამ რალა გაეწყობა. ცოდვა ცოდვილმა ზიდოს, ჩვენ კი უდიდეს სპორტსმენს, ძალოსან კახი კახიაშვილს ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე გამარჯვება მივულოცოთ. კვირას, 24 სექტემბერს 94 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან სიდნეური ოქრო მოიგო და „სარბიელის" დღის გმირი გახდა.



REUTERS სიდნეიდან

## ძალოსნობა

# კახი: სამგზის სამთაგანი

**აკაკიოს კახიაშვილისი**, იგივე კახი კახიაშვილი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. გვიხაროდეს, რადგან ჩვენი სისხლის კაცი მესამე ძალოსანია ისტორიაში, ვინც ეს მოახერხა და გვწყინდეს: მისი საქართველოდან გაშვება როგორ იქნებოდა?... სიდნეიში კახის ძლიერი კონკურენტები ჰყავდა და გვარიანი ბრძოლა გადახდა. ახალგაზრდა პოლონელი, შიმონ კოლეცკი ფავორიტთაგანი იყო და რუსი ალექსეი პეტროვიც, მაგრამ იმათაც და კახიაშვილსაც ატაცი ირანელმა ყურუშ ბაგერიმ მოუგო. სპარსმა 187,5 კილოგრამი ასწია, რაც სხვამ ვერავინ მოახერხა. მერე ბაგერის ორნახევარი კილოც წაუმატეს და მაღლა თვალების აპყრობისა და ალაჰის მოხმობის შემდეგ ირანელი 190 კილოგრამსაც დაეჭიდა, მაგრამ ამაოდ. აკვრისას ბაგერის წარმატებას ნაკლებად ელოდნენ, იგი ატაცის სპეციალისტად ითვლება და ასეც მოხდა, ბაგერიმ მხოლოდ 125 კილო აკრა, ჯამში პეტროვს გაუთანაბრდა და რადგან იმაზე ცოტა მსუქანი ყოფილა, სულაც უმედლოდ დარჩა (პეტროვი მესამე იყო). პირველობისთვის კახიაშვილმა და კოლეცკიმ იბრძოლეს. პოლონელმა 222,5 აკრა, კახიაშვილმა — 220 და გაჩერდა: ჯამში მეტოქენი ტოლსწორად იდგნენ და კახი კი უფრო მსუბუქი გახლდათ, ამიტომ კოლეცკიმ დამატებითი გირები ჩამოაკიდინა შტანგაზე, თუმცა დამძიმებული უკვე ვეღარ აკრა. და დაშავდა კიდეც, ამიტომ სხვა ცდებზე ხელი აიღო. კახიაშვილს ბოლო ორი ცდა აღარც დასჭირდა, ისე გახდა ჩემპიონი. 31 წლის ქართველი შეჩერებას არ აპირებს. „ათენის ოლიმპიადაზეც უმაღლესი მიზნები მექნება" — განუცხადა მან სააგენტო „როიტერს" და თუ ასეა, იქნებ კახიაშვილი ძალოსნობის ისტორიაში არა რომელიმე სამთაგანი, არამედ ერთადერთი და უნიკალური ათლეტი გახდეს.

კახიაშვილის ამბავი ამბად და სიდნეიდან ერთი საინტერესო ცნობაც მოვიდა: 105 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, სადაც ქართველი მუხრან გოგია წარუმატებლად გამოვიდა, მეორე ადგილი ბულგარელმა ალან ცაგაევმა დაიკავა. საიდან სადაო? აქამდე ვიცოდით, რომ მთელი ბულგარეთის ნაკრები მოხსნეს ოლიმპიადიდან, მაგრამ სპორტის სასამართლომ (კას) მიიჩნია, რომ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (ივფ) განაჩენს საკმარისი საფუძველი არა აქვს და დიდი დაგვიანებით იმ ბალკანელებს, რომელიც დოპინგზე არ არიან შემჩნეულნი, ასპარეზობის ნება მისცა. ვიმეორებთ, დიდი დაგვიანებით, — რადგან პლამენ ჟელიაზკოვი და გეორგი გარდევი სწორედ გაუგებრობას შეეწირნენ, მხოლოდ ცაგაევს მიეცა შანსი და ისიც მხოლოდ ირანელ ჰოსეინ ტავაკოლის ჩამორჩა.

**დავით გულუა**

ვაჟები. 94 კგ

1. აკაკიოს კახიაშვილისი (საბერძნეთი) 405,0; 2. სიმონ კოლეცკი (პოლონეთი) 405,0; 3. ალექსეი პეტროვი (რუსეთი) 402,5.

# შენ ყველაზე კარგი ხარ!

**ვინუს უილიამსს** თამაშების დროს კორტზე თან წიგნაკი დააქვს, სადაც იწერს შენიშვნებს, რომლებსაც ამა თუ იმ მძიმე სიტუაციაში საკუთარ თავს შეახსენებს ხოლმე. როცა მდგომარეობა განსაკუთრებით დაძაბულია, ამერიკელი ფურცელზე დაწერილ ფრაზას კითხულობს: „შენ საუკეთესო ხარ".

ბოლო ხანებში მსგავს თვითშეგონებათა გამოყენება უილიამსს არცთუ ხშირად უხდება — ის ისეც ყველას სჯობს და იშვიათად, რომ რომელიმე მეტოქემ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს.

უკანასკნელად მარცხს გემო ვინუსმა როლან გაროსის მეოთხედფინალში, არანჩა სანჩეს ვიკარიოსთან შეხვედრაში გაუსინჯა. 30 მატჩისა და 30 მოგების შემდეგ უმნიშვნელოვანესი ტურნირის მეოთხედფინალში ვინუსს ისევ ჯიგრიან ესპანელთან გაჯიბრება ელოდა.

ესპანეთის სამეფო ოჯახის წევრების მხარდაჭერით გამხნევებულმა არანჩამ შავკანიან მეტოქეს არაფერი დაუთმო და ორი საათით გაუვალ კედლად იქცა — დაუღლელად აქეთ-იქეთ მორბენალი განსაცვიფრებელ ბურთებს უსწრებდა და ამერიკელსაც ერთი შეხედვით მოგებული გათამაშებების ხელმეორედ დაწყება უხდებოდა.

„ნამდვილი სამოქალაქო ომი იყო" — გაიხსენა მოგვიანებით ვინუსმა. უილიამსმა მატჩის განმავლობაში 13 ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ბოლოს გაიხსენა, ვისი გორისაც იყო და ესპანელს სწორედ მძლავრი მოწოდებების დახმარებით გაუთხარა საფლავი.

დაახლოებით იგივე განმეორდა ნახევარფინალში მონიკა სელეშთან შეხვედრაში და ახლა ოქროს მედალს ვინუსს ერთადერთი მოგებაღა აშორებს: „ასეთი შანსი შეიძლება ცხოვრებაში ერთადერთხელ მოგეცეს, ოლიმპიური ჩემპიონობა ალბათ, დიდი სლემის ტიტულზე მნიშვნელოვანია. თავიდან არც ისე შემართული ვიყავი, მაგრამ დღიდან დღემდე სულ უფრო მემატება ოქროს მოპოვების სურვილი".

თუ უილიამსის ფინალისტობა მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, 18 წლის ელენა დემენტიევას მსგავს წარმატებას ცოტა თუ წარმოიდგენდა. თბილისელთა ძველ ნაცნობსა და აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალისტს კენჭისყრაში გაუმართლა, ყველა ძლიერი მეტოქე ნაადრევად გაუვარდა და უმთავრესი პრობლემა მეოთხედფინალში დედისერთა სპორტული ფეხსაცმლის ძირის გამოშლამ შეუქმნა. რუსს მხნელად ზედმეტი წულის მფლობელი ნატაშა ზვერევა მოევლინა და ახლა მას ვერცხლის მედალი მაინც აქვს გარანტირებული.

„არ ვიცი, უილიამსის დამარცხებას მოვახერხებ თუ არა, მაგრამ მე იმითაც უსაშველოდ ბედნიერი ვარ, რომ ფინალში გავედი" — განაცხადა რუსმა. ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, ვინუსი იქნება, მაგრამ აქვე ერთსაც შეგახსენებთ: პირად შეხვედრებში წინ, რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, დემენტიევაა — 1:0.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS სიდნეიდან

ელენა დემენტიევა

### ქალები

ერთეულები. მეოთხედფინალი

ვინუს უილიამსი (2, აშშ) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:4; ელენა დემენტიევა (10, რუსეთი) — ბარბარა შეტი (12, ავსტრია) 2:6, 6:2, 6:1; ელენა დოკიჩი (ავსტრალია) — ამანდა კუტცერი (7, სამხრეთ აფრიკა) 6:1, 1:6, 6:1; მონიკა სელეში (3, აშშ) — დომინიკ ვან რუსტი (8, ბელგია) 6:0, 6:2.

ნახევარფინალი

ვინუს უილიამსი — მონიკა სელეში 6:1, 4:6, 6:3; ელენა დემენტიევა — ელენა დოკიჩი 2:6, 6:4, 6:4

წყვილები. მეოთხედფინალი

სერენა უილიამსი და ვინუს უილიამსი (აშშ) — ჟული ალარი და ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) 6:3, 6:2; ოლგა ბარაბანშიკოვა და ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — პეტრა მანდულა და კატალინ მაროზი (უნგრეთი) 6:3, 7:5; ელს კალენსი და დომინიკ ვან რუსტი (5, ბელგია) — მილაგროს სეკუერა და მარია ალეხანდრა ვენტო (ვენესუელა) 4:6, 7:5, 6:4; კრისტი ბუგერტი და მარიამ ორემანსი (ჰოლანდია) — ტამარინე ტანასუგარნი და ბენჯამას სანგარამი (ტაილანდი) 6:4, 3:6, 7:5

### კაცები

ერთეულები. მერვედფინალი

ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — მარკ ფილიპუსისი (11, ავსტრალია) 7:6 (7:4), 6:3; არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) — მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:2); ხუან კარლოს ფერერო (8, ესპანეთი) — დანიელ ნესტორი (კანადა) 7:6 (7:4), 6:3; გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:2), 6:33; ქარიმ ალამი (მაროკო) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:2, 5:7, 6:4; ტომი ჰაასი (გერმანია) — ალექს კორეჩა ((6, ესპანეთი) 7:6 (9:7), 6:3; მაქს მირნი (ბელარუსი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 7:6 (7:4), 6:2; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 6:1, 6:2.

მეოთხედფინალი

ტომი ჰაასი — მაქს მირნი 4:6, 7:5, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი — გუსტავო კუერტენი 6:4, 7:5; არნო დი პასკუალე — ხუან კარლოს ფერერო 6:2, 6:1; როჯერ ფედერერი — ქარიმ ალამი 7:6 (7:2), 6:1.

წყვილები. მეოთხედფინალი

სებასტიან ლარო და დანიელ ნესტორი (4, კანადა) — ტომი ჰაასი და დევიდ პრინოზილი (გერმანია) 6:0, 6:4; ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (1, ავსტრალია) — დომინიკ ჰრბატი და კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 6:4; დევიდ ადამსი და ჯონ-ლაფნი დე ჯაგერი (სამხრეთ აფრიკა) — მარკ ნოულსი და მარკ მერკლაინი (ბაჰამები) 4:6, 6:2, 14:12; ალექს კორეჩა და ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — მაქს მირნი და ვლადიმერ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 6:7 (4:7), 6:3, 7:5.

ნახევარფინალი

ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი — ალექს კორეჩა და ალბერტ კოსტა 6:3, 7:6 (7:5); სებასტიან ლარო და დანიელ ნესტორი — დევიდ ადამსი და ჯონ-ლაფნი დე ჯაგერი 6:1, 6:2.

## სამთო ველოსიპედი

# არ გაქრე, ჩემო ოქრო!

**ველომრბოლთაგან** ტრეკის ოსტატების შემდეგ ოლიმპიურ თამაშებში სამთო ველოსიპედისტები ჩაებნენ და უკვე დაამთავრეს კიდეც გამოსვლა. ჯერ ქალთა შორის უძლიერესის ვინაობა გაირკვა სიდნეიდან 32 კილომეტრით დაშორებულ ფერმაში გამართულ 6,9-კილომეტრიან (300 მეტრი აღმართი) ტრასაზე, მერე კი პირველობისთვის ვაჟებმა იბრძოლეს. მათ ამისთვის შესაბამისად ხუთი და შვიდი წრე გაიარეს.

ქალებში იტალიელმა პაოლა პეძომ იმარჯვა და ატლანტაში მოპოვებული ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. თეატრის მსახიობმა პეძომ, რომელმაც ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ მიწას აკოცა, შვეიცარიელ ბარბარა ბლატერს 27 წამი მოუგო, ხოლო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ესპანელ მარგარიტა ფულანას — 33. მეოთხე წრემდე რბოლას ფულანა ლიდერობდა, მაგრამ მერე მას პეძო დაეწია და გაუსწრო. იმ მომენტში ესპანელი წაიქცა და თხუთმეტიოდე წამიც სწორედ მაშინ დაკარგა. ესპანეთის დელეგაციამ რბოლის დამთავრების შემდეგ პროტესტიც აახლა მსაჯებს, აქაოდა ჩვენიანის წაქცევა პეძოს ბრალი იყო და მას დისკვალიფიკაცია ეკუთვნისო, მაგრამ ოფიციალურმა პირებმა დამნაშავედ არავინ ცნეს.

„სამთო რბოლისას ბევრი რამ ხდება. არავითარი წესი არ არსებობს ასეთი სიტუაციების განსასჯელად. უბრალოდ, ყოველმა სპორტსმენმა თავისი ტრაექტორია უნდა შეინარჩუნოს. მეც ასე მოვიქეცი და ფულანას წაქცევაში იოტისოდენი ბრალიც არ მიმიძღვის" — თქვა პაოლა პეძომ, რომელსაც ყოფილი საგზატკეცილო სპრინტერი პაოლო როსოლი წვრთნის.

ქალებისგან განსხვავებით, ვაჟებს ახალი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავთ. ის კვირას გამოვლინდა და 24 წლის ფრანგი მიგელ მარტინესია, რომელმაც წლეულს უკვე მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი, ატლანტაში კი ბრინჯაოს მედალი მოუპოვებია.

„ის გავაკეთე, რაც მამამ მირჩია, ანუ მეირაგეს ვაკონტროლებდი. მამაჩემი იშვიათად ცდება" — თქვა გამარჯვებულმა. ადრე მარიანო მარტინესიც ველოსიპედისტი ყოფილა და არცთუ ურიგო. მისი ტიტულებიდან აღსანიშნავია 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი და 1978 წლის „ტურ დე ფრანსის" „მთის მეფის" წოდება.

მიგელმა მამას ყური უგდო და ბელგიელს ფინიშზე წუთითა და სამი წამით მიასწრო. მესამე ადგილზე შვეიცარიელი კრისტოფ სოზე გავიდა (+2წთ 18წმ).

„მამლის წონის" მარტინესმა (50 კგ), რომელსაც ყველა ასაკობრივ ჯგუფში მოუპოვებია მსოფლიოს ჩემპიონობა და საერთოდ, ექვსი წლიდან ველოსპორტს სერიოზულად მისდევს, შვეიცარიელი ტომას ფრიშკნეხტის თავდაპირველი შეტევას მაშინვე არ უპასუხა. დაწინაურებული კარგა ხნის მანძილზე წუთნახევარს უგებდა მდევართა სამეულს, რომელმაც მერე მედლებიც გაინაწილა. თუმცა ძალა ერთობაშიაო და ფრიშკნეხტმაც დათმო პოზიციები. ბოლოსწინა, მეექვსე წრეზე მეირაგემ წამოიწყო იერიში, მაგრამ მარტინესი ხომ მამისგან გაფრთხილებული იყო და მომზადებული შეხვდა მეტოქის შეტევას, მალე კი თავად გაექცა კომპანიონებს და საკმაოდ იოლადაც იმარჯვა. ფინიშამდე რამდენიმე ასეული მეტრით ადრე მას საფრანგეთის დროშის ფერებად მოხატული სათამაშო კენგურუ მიაწოდეს, რომელთან ერთადაც გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

„რბოლამდე ჩემ თავს ვუთხარი, მიგელ, ეს შენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი შეჯიბრია, ველოსიპედზე უნდა მოკვდე, მაგრამ გაიმარჯვო-მეთქი. უფლის შემწეობით ეს მოვახერხე კიდეც. პოდიუმზე მდგომი ოქროს მედალს ვუყურებდი და მეშინოდა, ის ვერცხლის ან ბრინჯაოსად არ გადაქცეულიყო, ანდა საერთოდ არ გამქრალიყო" — თქვა მარტინესმა, რომლისთვისაც უველოსიპედოდ ცხოვრება წარმოუდგენელია.

**გაიოზ თალაკვაძე**

# მუტოლა ოქროს დაეტოლა

**პარასკევს** სიდნეის სპორტის დღესასწაულიც ეწვია, მაგრამ მთავარი ამბები მხოლოდ მეორე დღეს დაიწყო. შაბათს სამი მედალი გათამაშდა, კვირას ხუთი, გუშინ კი სულაც 9(!), ამიტომ კარგა ბლომად მოსაყოლი გვაქვს, მაშ ასე, დავიწყოთ...

შაბათს სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე ხალხმრავლობა იყო. ამინდსაც არა უშავდა და 110 ათასი ინდივიდუალური სკამიდან უმრავლესობას პატრონი გამოუჩნდა. სხვადასხვა დისტანციათა და დისციპლინათა საკვალიფიკაციო ეტაპები და ნახევარფინალები არაფერი, 100 მეტრზე ქალთა და ვაჟთა სპრინტის ფინალი შაბათს იყო დაგეგმილი და ამიტომაა, დიდი თუ პატარა მოუთმენლად რომ ელოდა. სარბენ ბილიკებზე ჩამწკრივებულ რვა რჩეულ ქალბატონს მაყურებლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ოვაციების მეტი წილი უეჭველად მარიონ ჯონსს ეკუთვნოდა და შემდეგ — მერლინ ოტის. ამერიკელი ხუთი სიდნეური ოქროდან პირველის მოპოვებას ეშურებოდა, იამაიკელი კი სოლიდური ასაკისა და უკან მოტოვებული 7 ოლიმპიური მედლის გამო იმსახურებდა პატივისცემას. გავარდა პისტოლეტი და ძალიან მალე აშკარა გახდა: დისტანცია მარიონ ჯონსისა იყო. ამერიკელმა ფინიში რომ გადალახა, უახლოეს მდევარს (ბერძენი ეკატერინი ტანუ გახლდათ) იქამდე ჯერ კარგა ხუთი მეტრი დარჩენოდა და ჯონსის 10,75-იც დანარჩენების შედეგებზე უსაშველოდ ნაკლები იყო. მხოლოდ მეოთხეზე გავიდა ოტი, თერთმეტ წამს, რომლის დაძლევითაც ადრე თავი მოჰქონდა, ბევრად გადააცილა და, რაც მისთვის ყველაზე საწყენი იქნება, მესამე ადგილი თვისტომმა, ტანია ლოურენსმა წაართვა. ეს იმ დროს, როცა ოტი 100-მეტრიანთა ნაკრებში უკანონოდ მხოლოდ იმიტომ ჩარიცხეს, რომ ოლიმპიადამდე სხვა იამაიკელებზე უკეთ დარბოდა, თორემ შესარჩევი ტურნირის მერე ადგილი როდი ეკუთვნოდა. იამაიკურ პრესაში კრიტიკის ქარცეცხლია მოსალოდნელი, რომელიც უფრო ნაკრების მწვრთნელებს დაატყდებათ, ვიდრე ღვაწლმოსილ მორბენალს, რომელიც დიდი სპორტიდან მიდის.

მას შემდეგ, რაც ჯონსმა ცრემლების ღვარღვარი, ტრიბუნებისკენ ჰაეროვან კოცნათა გზავნა და ოჯახის წევრთა ხვევნა მოამთავრა, ცოტა დრო გავიდა და სამძლეოსნო სცენაზე სპრინტერი ვაჟები გავიდნენ: მორის გრინი და სხვაც შვიდი, გამწკრივდნენ და გაიქცნენ. გრინი გეპარდივით მიქროდა და ფინიში 9 წამსა და 87 მეასედში გადალახა. მომდევნო ტრინიდადელი და გრინის დიდი ძმაკაცი, ატო ბოლდონი იყო, მესამე — ბარბადოსელი ობადელე ტომპსონი, რომელმაც თავის ციცქნა ქვეყანას (400კვ.მ, 300 ათასი კაცი) პირველი ინდივიდუალური ოლიმპიური ჯილდო უძღვნა და რა გასაკვირია, თუ ბარბადოსზე ახლა სახალხო ზეიმი გაჩაღებულა?

გრინს დავუბრუნდეთ, რადგან ფინიშის გადალახვისას მან გამარჯვების სიხარული ერთობ გამოამჟღავნა. ჯერ ხელები მაღლა ალაპყრო და დიდება შენდა, გამჩენოო, ზეცას შეჰღაღადა. მალე ბოლდონი შეუერთდა, ჩაეხუტნენ და კინაღამ დაახრჩვეს ერთმანეთი. მერე ტრადიცია აღასრულეს და მხურვალედ ილოცეს, ხოლო ამ რიტუალის დასრულებისთანავე გრინმა ამერიკის ზოლ-ვარსკვლავებით მოხატული ცალი ფეხსაცმელი გაიძრო და ტრიბუნებს სტყორცნა. ნეტა, მის დამჭერს! გრინი ახლა 26 წლისაა და მრავალ ტიტულს ითვლის: ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი (9,79 წმ), მსოფლიოს ჩემპიონი 100 და 200 მეტრზე, დარბაზებში 60 მეტრზე ასევე ჩემპიონი და 50-სა და 60-ზე რეკორდსმენი, ამათთან 4X100 მეტრიანი ესტაფეტის მსოფლიო ლიდერთაგანიც, 4 წლის წინ კი ამერიკის ოლიმპიურ ნაკრებში ვერ მოხვდა!.. ასეც ხდება...

შაბათი დღე დაასრულა ჩეხი იან ჟელეზნისგან მეშუბეთა შეჯიბრის მოგებამ. 34 წლის ჩეხი სეულში ვერცხლით დარჩა, ბარსელონასა და ატლანტაში ჩემპიონი იყო, ატლანტის ოლიმპიადის მერე ერთხანს შუბოსნობა მობეზრდა და ბეისბოლს გაჰყვა: „ატლანტა ბრეივზში“ თამაშობდა პიტჩერად და საცოდავი ის ხალხი, ვისაც ჟელეზნის ნატყორცნი ბურთი მოხვედრია. მერე ჟელეზნიმ მხარი იტკინა, მოშუშდა და აგერ, მესამე ოლიმპიური მედალიც... ჩეხის ძირითადმა კონკურენტებმა რატომღაც ვერ ივარგეს, ფინელი აკი პარვიაინენი მეხუთე იყო და ბერძენი კონსტადინოს გაციუდისი — მომდევნო.

კვირა სამძლეოსნო სიდნეიში კაცთა მაღლა ხტომისა და უროს ტყორცნის, ხოლო ქალთა მარათონის, სამხტომისა და შვიდჭიდის დღე იყო, ოღონდ შვიდჭიდის ზოგი შეჯიბრი შაბათსაც გაიმართა. შაბათსვე გამოეთიშა ოლიმპიადას ფავორიტი, ფრანგი ანუკ ბარბერი (ტრავმის გამო), კვირას საბოლოოდ ბრიტანელმა დენიზ ლუისმა იმარჯვა და დაჯილდოებისას სიხარულისგან ტუჩებს ვეღარ მოუყარა თავი.

მარათონი ვითომ სულ სხვა ვინმეს უნდა მოეგო, თუმცა პირველი აოკო ტაკაჰაში იყო, 28 წლის მინიატურული იაპონელმი (47 კგ, სიმაღლე მეტრი და 63 სანტიმეტრი), რომელიც აზიის ჩემპიონი კია, მაგრამ... იქვე იყვნენ კენიელები: ტეგლა ლორუპე (მსოფლიოს რეკორდსმენი, ნიუ იორკის, როტერდამისა და ლონდონის მარათონების მომგები) და ჯოის ჩეპჩუმბა; ბოსტონის მარათონის სამგზის გამარჯვებული, ეთიოპი ფატუმა რობა, ვინც მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონიც გახლდათ, რუმინელი ლიდია სიმონი... იაპონელმა მაინც თავისი გააკეთა და პირველი ამომავალი მზისქვეყნელი ქალი გახდა, რომელსაც ოლიმპიური ტიტული მოუგია. ეს მოულოდნელობა იყო, სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე კი კვირას სენსაციაც მოხდა: კაცთა სიმაღლეზე ხტომა კუბელმა მსოფლიოს რეკორდსმენმა ხავიერ სიტომაიორმა კი არ მოიგო, ანაც ჩემპიონმა ვიაჩესლავ ვორონინმა (რუსეთი), არამედ რუსმავე სკოლის მასწავლებელმა და პროფკავშირთა კლუბის წევრმა, სერგეი კლიუგინმა. იგი იყო ერთადერთი, ვინც 2 მეტრსა და 35 სანტიმეტრს გადაევლო. სხვა ექვსმა კაცმა მოჯადოებული 2,32 მეტრი ვერაფრით გადალახა. მათ შორის იყო სოტომაიორი და არ იყო ვორონინი, რომელიც ბედის ირონიით მხოლოდ მეათე ადგილს დასჯერდა. კლიუგინის ამბის ფონზე ქალ სამხტომელთა შეჯიბრზე მომხდარი უფერულად ჩანს: წლევანდელი 14 შეჯიბრიდან 13 რუსმა ტატიანა ლებედევამ მოიგო და ერთი — ბულგარელმა ტერეზა მარინოვამ. ესენი იყვნენ სიდნეიში ფავორიტები და ახლა ბულგარელი რუსთან უკვე 2:13-ს აგებს, მაგრამ ანგარიში საინტერესო სულაც არაა, ოლიმპიური ოქრო მარინოვასია.

ორშაბათი... 9 მედლის დღე... ამოძრავდნენ სპრინტერები, სტაიერები, ბადროს მტყორცნელნი, ვაჟი სამხტომელები... ტრიბუნები ერთხელაც ხალხით გადამუქდა და ავსტრალიელებს გუშინ საამისო საბაბი დიახაც ჰქონდათ, მათი კერპი, კეტი ფრიმენი უნდა გამოსულიყო და 400 მეტრზე ერბინა. მარი-ჟო პერეკმა ოლიმპიადა დატოვა, ამიტომ ფრიმენის გამარჯვება ერთობ მოსალოდნელი ჩანდა. წინასწარი ეტაპები მან უშფოთველად გადალახა, ოღონდ ფინალში ოდნავ გაუჭირდა, მხოლოდ ბოლო მოსახვევიდან გამოსვლისას დაწინაურდა და ფინიშს პირველმა უწია. უსამართლობა იქნებოდა, სხვაგვარად რომ მომხდარიყო, რახან ფრიმენმა ბოლო სამი წლის მანძილზე 42 400 მეტრიანი გარბენიდან 41 მოიგო, მათ შორის ბოლო ორ მსოფლიო პირველობაზე. ოლიმპიური ცეცხლის გამჩაღებელი შემდეგ დიდხანს იღებდა მილოცვებს და ოვაციებს. სტადიონის გრგვინვის თანხლებით მან საპატიო წრე შეასრულა, ხელში ორი დროშა ეჭირა: აბორიგენთა და ავსტრალიისა. მერე 15-მა წუთმა გაიარა. ბილიკებზე ვაჟები გამოჩნდნენ, რომელთაც ასევე 400 მეტრის დასკვნითი გარბენი უნდა შეესრულებინათ. მათში მაიკლ ჯონსონი ერია, რომელმაც მოლოდინისამებრ ფინიში პირველმა გადაკვეთა. უახლოესი მდევრები, ამერიკელი ელვინ ჰარისონი და იამაიკელი გრეგორი ჰოუტონი ნახევარ წამზე მეტით ჩამორჩნენ. 33 წლის ჯონსონისთვის ეს უკანასკნელი ოლიმპიადაა (ასე ამბობს) და ისიც საკითხავია, მომავალ წელს მსოფლიო პირველობაზე თუ ირბენს. ყოველ შემთხვევაში, ასეთ მაჟორულ ნოტაზე წასვლით გული ნაკლებად დასწყდება.

110 მეტრზე თარჯრბენი დიდი მოულოდნელობებით იყო სავსე. ფავორიტი ორი იყო, ბრიტანელი კოლინ ჯეკსონი და ამერიკელი ალენ ჯონსონი. ვერც ერთი მათგანი ბრინჯაოსაც ვერ ეღირსა, ნანატრი ოქრო კი კუბელმა ანიერ გარსიამ წაიღო. ახლა იგი სამშობლოში ეროვნულ გმირად იქცევა. გარსიას წარმატებაში ლომის წილი ჩინებულმა სტარტმა დაიდო. „ასე ჩქარა ცხოვრებაში არ გავქანებულვარ“ — თქვა კუბელმა. ჯეკსონმა, ჯონსონმა და სხვებმა, რომლებიც თავიდან ზურგში დარჩნენ, ამაოდ სცადეს, საქმე გამოესწორებინათ. ამერიკელმა ტერენს ტრამელმა მეორე ადგილი დაიკავა, მისმა თვისტომმა, მარკ კრირმა — მესამე. მხოლოდ შემდეგ პოზიციებზე დარჩნენ ჯონსონი და ჯეკსონი, რაც, ვიმეორებთ, გასაკვირია.

ყველაზე დრამატული 10 ათას მეტრზე რბენა გამოდგა. ეთიოპიელი ჰაილე გაბრესელასიე და მისი მთავარი სპორტული მტერი, კენიელი პოლ ტერგატი მთელი გზა ერთმანეთს აჩრდილებივით დაჰყვებოდნენ. ფინიშზე ნელი სპრინტი გამართეს და ახალი რეკორდი დაამყარეს: 10 კილომეტრზე ლიდერსა და მის უახლოეს მდევარს შორის სხვაობა 9 მეასედი წამი არასოდეს ყოფილა. აფრიკელივე ასეფა მეზგებუ მესამე იყო და 800 მეტრზე ქალთა რბენის ოქროს მედალიც შავკონტინენტელს დარჩა, მოზამბიკელ მარია მუტოლას. მუტოლა ოლიმპიური ჩემპიონი პირველად გახდა. სეულში 15 წლისამ ირბინა და გასაგებია... ბარსელონაში მეხუთე იყო, ატლანტაში ბრინჯაოს მედლამდე ამაღლდა. გარსიასი არ იყოს, მუტოლასაც სამშობლოში ღმერთების დარი პატივი ელის, თუმც იქიდან კარგახნის წასულია, შტატებში ვარჯიშობს.

სირბილის თემას 5000 მეტრზე ქალთა შეჯიბრით ვასრულებთ. დრამატულობა არც მას აკლდა. ფავორიტი აშკარად გამოკვეთილი იყო, იგი რუმინელი გაბრიელა საბო გახლდათ, მაგრამ ძლივს გადარჩა, ირლანდიელი სონია ოსალივანი უგებდა. საბომ მეტოქეს სულ რაღაც წამის 23 მეასედით გაასწრო. მესამე ადგილზე ეთიოპიელი გეტე ვამი გავიდა.

ბრიტანელი ფიზიკოსი და ოლიმპიადის დღეებში სიდედრის დამკარგავი, სამხტომელი ჯონათან ედვარდსი ჩემპიონი გახდა, მან კუბელ ჟოელ გარსიას 24 სანტიმეტრით აჯობა, ოღონდ მაინც შევნიშნავთ: ედვარდსს 0,2 მ/წმ სიჩქარის ზურგქარი უწყობდა ხელს, კუბელს — 0,1 მ/წმ-ის. და ბრიტანელის სასარგებლო საბუთიც: ასეთი სუსტი ნიავი ბევრს არას წყვეტს, რუსი დენის კაპუსტინი 0,3-მეტრწამიანი ზურგქარის შეეწეობით გადახტა, მაგრამ მხოლოდ მესამე იყო.

**დავით გულუა**



REUTERS სიდნეიდან

სტაიერების ლამის სპრინტერულ ფინიშზე ჰაილე გაბრესელასიემ (მარცხნივ) პოლ ტერგატს აჯობა

ქალები. 100 მ

1. მარიონ ჯონსი (აშშ) 10,75; 2. ეკატერინი ტანუ (საბერძნეთი) 11,12; 3. ტანია ლოურენსი (იამაიკა) 11,18.

ვაჟები. 100 მ

1. მორის გრინი (აშშ) 9,87; 2. ატო ბოლდონი (ტრინიდადი) 9,99; 3. ობადელე ტომპსონი (ბარბადოსი) 10,04.

ვაჟები. შუბი

1. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) 90,17; 2. სტივ ბაკლი (დიდი ბრიტანეთი) 89,85; 3. სერგეი მაკაროვი (რუსეთი) 88,67.

ქალები. მარათონი

1. ნაოკო ტაკაჰაში (იაპონია) 2.23,14; 2. ლიდია სიმონი (რუმინეთი) 2.23,22; 3. ჯოის ჩეპჩუმბა (კენია) 2.24,45.

ვაჟები. სიმაღლეზე ხტომა

1. სერგეი კლიუგინი (რუსეთი) 2,35; 2. ხავიერ სოტომაიორი (კუბა) 2,32; 3. აბდერახმან ჰამადი (ალჟირი) 2,32.

ქალები. სამხტომი

1. ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი) 15,20; 2. ტატიანა ლებედევა (რუსეთი) 15,00; 3. ოლენა ჰოვოროვა (უკრაინა) 14,96.

ვაჟები. ურო

1. შიმონ ციოლკოვსკი (პოლონეთი) 80,02; 2. ნიკოლა ვიზონი (იტალია) 79,64; 3. იგორ ასტაპკოვიჩი (ბელარუსი) 79,17.

ქალები. შვიდჭიდი

1. დენიზ ლუისი (დიდი ბრიტანეთი) 6584; 2; ელენა პროხოროვა (რუსეთი) 6531; 3. ნატალია საზანოვიჩი (ბელარუსი) 6527.

ქალები. ჭოკით ხტომა

1. სტეისი დრაგილა (აშშ) 4,60; 2. ტატიანა გრიგორიევა (ავსტრალია) 4,55; 3. ვილა ფლოსადოტირი (ისლანდია) 4,50.

ვაჟები. ბადრო

1. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) 69,30; 2. ლარს რიდელი (გერმანია) 68,50; 3. ფრანც კრიუგერი (სამხრეთ აფრიკა) 68,19.

ვაჟები. სამხტომი

1. ჯონათან ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი) 17,71; 2. იოელ გარსია (კუბა) 17,47; 3. დენის კაპუსტინი (რუსეთი) 17,46.

ქალები. 400 მ

1. კეტი ფრიმენი (ავსტრალია) 49,11; 2. ლორენ გრემი (იამაიკა) 49,58; 3. კეტრინ მერი (დიდი ბრიტანეთი) 49,72.

კაცები. 400 მ

1. მაიკლ ჯონსონი (აშშ) 43,84; 2. ელვინ ჰარისონი (აშშ) 44,40; 3. გრეგორი ჰოუტონი (იამაიკა) 44,70.

კაცები. 110 მ. თარჯრბენი

1. ანიერ გარსია (კუბა) 13,00; 2. ტერენს ტრემელი (აშშ) 13,16; 3. მარკ კრირი (აშშ) 13,22.

ქალები. 5000 მ

1. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 14.40,79; 2. სონია ოსალივანი (ირლანდია) 14.41,02; 3. გეტე ვამი (ეთიოპია) 14.42,23.

ქალები. 800 მ

1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1.56,15; 2. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1.56,64; 3. კელი ჰოლმსი (დიდი ბრიტანეთი) 1.56,80.

ვაჟები. 10000 მ

1. ჰაილე გაბრესელასიე (ეთიოპია) 27.18,20; 2. პოლ ტერგატი (კენია) 27.18,29; 3. ასეფა მეზგებუ (ეთიოპია) 27.19,75.



REUTERS სიდნეიდან

მარია მუტოლა



REUTERS სიდნეიდან

იან ჟელეზნი

# დღის გმირი

25 სექტემბერი

## ანიერ გარსია

### კუბა, მძლეოსნობა




ქალბატონებს მივმართავთ: რას იტყოდით, თქვენი ქორწინების წლისთავზე მეუღლე რომ გავარდეს, 110 მეტრის სიგრძეზე შემხვედრ წინააღმდეგობებს გადაევლოს და' ეს ყველაფერი 13 წამში შეძლოს? ალბათ, გამიგიჟდაო, იფიქრებდით, მაგრამ ქალბატონი ბარბარა სალკედო გარსიასი სხვანაირად ფიქრობს. მას მიაჩნია, რომ საყვარელი ქმარი ანიერი ამაზე უკეთესს ვერაფერს უძღვნიდა.

მართლაც ყველაფერი გარემოზეა დამოკიდებული. თუ თქვენმა მეორე ნახევარმა ის, რაც ზევით ვთქვით სახლში გააკეთა, უეჭველად ვალერიანის წვეთები დაგჭირდებათ, ხოლო თუ ოლიმპიადაზე, თარჯრბენის ფინალში... თუმცა, შესაძლოა ამ შემთხვევაშიც დაგჭირდეთ წვეთები.

ერთი სიტყვით, კუბელმა ანიერ გარსიამ ქორწინების წლისთავზე ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. მან ჩამოიტოვა ამერიკელები ტერენს ტრემლერი და მარკ კრირი, რომელთაც მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს.

გარსიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამივე შესარჩევ გარბენშიც პირველი გახლდათ, მაგრამ ფინალის წინ ფავორიტებად მაინც ბრიტანელ კოლინ ჯეკსონს და ამერიკელ ალენ ჯონსონს მიიჩნევდნენ.

ჯეკსონი და ჯონსონი საწყის ბარიერებს „ემსხვერპლნენ", გარსია კი „სარბიელის" დღის გმირი გახდა.

## კრივი

მერვედფინალი

51 კგ. ვლადიმირ სიდორენკო (უკრაინა) — ომარ ნარვაესი (არგენტინა) 16:10; ანდრეი რუანი (პოლონეთი) — არლან ლერიო (ფილიპინები) 18:18 (70:69); ვიჯან პონლიდი (ტაილანდი) — ენდრიუ კუნერი (კანადა) 11:7; მანუელ მანტია როდრიგესი (კუბა) — ბოგდან დობრესკუ (რუმინეთი) ნოკაუტი; ხოსე ნავარო (აშშ) — ჰიშამ მესბაჰი (მაროკო) 12:9; ჟერომ ტომასი (საფრანგეთი) — დრისა ტუ (ბურკინა ფასო) ნოკაუტი; ბულატ ჟუმადილოვი (ყაზახეთი) — კენედი კანიანტა (ზამბია) 12:9; ვახტანგ დარჩინიანი (სომხეთი) — ილფატ რაზიაპოვი (რუსეთი) 20:11

57 კგ. კამილ ჯამალუტდინოვი (რუსეთი) — ფრანსისკო ბოხადო (მექსიკა) 15:12; იოსვანი აგილერა ზამორა (კუბა) — იური მლადენოვი (ბულგარეთი) 15:8; სომლუკ კამსინგი (ტაილანდი) — თურქუნბაი თურლუნოვი (უზბეკეთი) 7:2; რიკარდო ხუარესი (აშშ) — ფალკ ჰუსტე (გერმანია) 17:15; რამაზან ფალიანი (თურქეთი) — ვლადემირ დოს სანტოს პერეირა (ბრაზილია) ნოკაუტი; ბექზატ სატარხანოვი (ყაზახეთი) — ჯეფრი მატებულა (სამხრეთ აფრიკა) 16:5; ტაჰარ ტამსამანი (მაროკო) — პარკ ჰეუნგ მინი (კორეა) 21:14; ისრაელ ექტორ პერესი (არგენტინა) — მუსა სიმელანე (სვაზილენდი) ნოკაუტი

63,5 კგ. მაჰამადკადიზ აბდულაევი (უზბეკეთი) — კარლოს პინტუ (ბრაზილია) ნოკაუტი; სერგეი ბუკოვსკი (ბელარუსი) — ნურჰან სულეიმანოღლუ (თურქეთი) 8:8 (40:38); მოჰამედ ალალუ (ალჟირი) — ბენ ნიქვაიე (განა) 15:6; სვენ პარიზი (იტალია) — კაი ჰუსტე (გერმანია) 17:11; ალექსანდრ ლეონოვი (რუსეთი) — ჰვანგ სუნგ ბუმი (კორეა) 14:10; რიკარდო უილიამსი (აშშ) — ოლუსეგუნ აჯოსე (ნიგერია) ნოკაუტი; სალეჰ მაქსუდი (ეგვიპტე) — ვიაჩესლავ სენჩენკო (უკრაინა) 19:16; დიოგენის ლუნა მარტინესი (კუბა) — ვილი ბლენი (საფრანგეთი) 25:14

71 კგ. ადნან ჩატიჩი (გერმანია) — რიჩარდ როულსი (ავსტრალია) ნოკაუტი; ჯერმენ ტეილორი (აშშ) — სკოტ მაკინტოში (კანადა) 23:9; იერმახან იბრაიმოვი (ყაზახეთი) — ელი იანესი (ვენესუელა) ნოკაუტი; ხუან ერნანდესი — მოჰამედ სალაჰ მარმური (ტუნისი) ნოკაუტი; მარინ სიმიონი (რუმინეთი) — ხოსე ლუის ჩავესი (მექსიკა) ნოკაუტი; ფრედერიკ ესტერი (საფრანგეთი) — ფირატ კარალოღლუ (თურქეთი) 18:16; პორნჩაი ტონგბურანი (ტაილანდი) — კაროლი ბალჟაი (უნგრეთი) 17:12; ჰეკალ მოჰამედ აბდელმავგოდი (ეგვიპტე) — სონგ ინ ჯუნი (კორეა) 16:5

81 კგ. ალექსანდრ ლებზიაკი (რუსეთი) — დანიელ გრინი (ავსტრალია) ნოკაუტი; ჯონ დოვი (საფრანგეთი) — ალექსეი კატულევსკი (ყირგიზეთი) ნოკაუტი; სერგეი მიხაილოვი (უზბეკეთი) — ალი ისმაილოვი (აზერბაიჯანი) 23:18; ოლჟას ორაზალიევი (ყაზახეთი) — ისაელ ალვარესი (კუბა) ტრავმა; გურჩარან სინგჰი (ინდოეთი) — დანი ვენტერი (სამხრეთ აფრიკა) დისკვალიფიკაცია; ანდრი ფედჩუკი (უკრაინა) — ჩარლზ ამადუ (განა) 13:5; რუდოლფ კრაი (ჩეხეთი) — ოლანდა ანდერსონი (აშშ) 13:12; ჯეგბეფუმერე ალბერტი (ნიგერია) — ტროი ამო როსი (კანადა) ნოკაუტი

+91 კგ. ოლექსიი მაზიკინი (უკრაინა) — ანგუს შელფორდი (ახალი ზელანდია) 19:5; ოდლი ჰარისონი (დიდი ბრიტანეთი) — ალექსეი ლეზინი (რუსეთი) ნოკაუტი; პაოლო ვიდოცი (იტალია) — კელვინ ბროკი (აშშ) ნოკაუტი; სამუელ პეტერი (ნიგერია) — ონოფრეი კონსტანტინი (რუმინეთი) 17:14; ალექსის რუბალკაბა (კუბა) — ჩენგიზ კოჩი (გერმანია) ნოკაუტი; მუხტარხან დილდაბეკოვი (ყაზახეთი) — გჟეგოჟ კიელსა (პოლონეთი) 16:5; არტ ბინკოვსკი (კანადა) — მაიკლ მასაკე (მავრიკი) 21:14; რუსტამ საიდოვი (უზბეკეთი) — აჰმედ ალი აბდელსამადი (ეგვიპტე) 21:8

## ბალახის ჰოკეი

### ვაჟები

23 სექტემბერი

A ჯგუფი

მალაიზია 2:2 პაკისტანი

ჰოლანდია 2:2 გერმანია

B ჯგუფი

ავსტრალია 2:1 არგენტინა

ინდოეთი 3:2 ესპანეთი

24 სექტემბერი

A ჯგუფი

დიდი ბრიტანეთი 1:1 კანადა

B ჯგუფი

კორეა 3:2 პოლონეთი

25 სექტემბერი

B ჯგუფი

არგენტინა 5:1 ესპანეთი

### ქალები

მეორე ჯგუფური ეტაპი

24 სექტემბერი

ავსტრალია 3:0 ახალი ზელანდია.

არგენტინა 3:1 ჰოლანდია

ესპანეთი 0:0 ჩინეთი

25 სექტემბერი

ავსტრალია 5:0 ჰოლანდია

არგენტინა 2:1 ჩინეთი

ესპანეთი 2:2 ახალი ზელანდია

## აკადემიური ნიჩბოსნობა

ქალები. ერთადგილიანი

1. ეკატერინა კარსტენი (ბელარუსი) 7.28,14; 2. რუმიანა ნეიკოვა (ბულგარეთი) 7.28,15; 3. კატრინ რატშოუ-სტომპოროვსკი (გერმანია) 7.28,99

ვაჟები. ერთადგილიანი

1. რობ უოდელი (ახალი ზელანდია) 6.48,90; 2. ქსენო მიულერი (შვეიცარია) 6.50,55; 3. მარსელ ჰაკერი (გერმანია) 6.50,83

ქალები. ორადგილიანი ცალმოსასმელიანი უმესაჭეოდ

1. გეორგეტა დამიანი - დოინა იგნატი (რუმინეთი) 7.11,00; 2. რეიჩელ ტეილორი - კეიტ სლეიტერი (ავსტრალია) 7.12,56; 3. კარენ კრაფტი - მელისა რაიანი (აშშ) 7.13,00

ვაჟები. ორადგილიანი ცალმოსასმელიანი უმესაჭეოდ

1. მიშელ ანდრიუ - ჟან კრისტოფ როლანი (საფრანგეთი) 6.32,97; 2. სებასტიან ბეა - ტედ მერფი (აშშ) 6.33,80; 3. ჯეიმს ტომკინსი - მეტიუ ლონგი (ავსტრალია) 6.34,26

ქალები. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი

1. კატრინ ბორონი - იანა ტიემე (გერმანია) 6.55,44; 2. პიეტა ვან დიშუკი - ეკე ვან ნესი (ჰოლანდია) 7.00,36; 3. ბირუტე საკიჩკიენე - კრისტიანა პოპლავსკაია (ლიტვა) 7.01,71

ვაჟები. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი

1. იზტოკ ჩოპი - ლუკა შპიკი (სლოვენია) 6.16,63; 2. ფრედერიკ რააენ ბეკენი - ოლაფ ტუფტე (ნორვეგია) 6.17,98; 3. ჯოვანი კალაბრეზე - ნიკოლა სარტორი (იტალია) 6.20,49

ვაჟები. ოთხადგილიანი ცალმოსასმელიანი უმესაჭეოდ

1. დიდი ბრიტანეთი (ჯეიმს კრაკნელი, სტივენ რედგრეივი, ტიმ ფოსტერი, მეტიუ პინსენტი) 5.56,24; 2. იტალია 5.56,62; 3. ავსტრალია 5.57,61

ქალები. მსუბუქი ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი

1. კონსტანცა ბურჩიცა - ანგელა ალუპეი (რუმინეთი) 7.02,64; 2. კლაუდია ბლასბერგი - ვალერი ვიერჰოფი (გერმანია) 7.02,95; 3. სარა გარნერი - კრისტინ კოლინზი (აშშ) 7.06,37

ვაჟები. მსუბუქი ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი

1. ტომაშ კუხარსკი - რობერტ ზიჩი (პოლონეთი) 6.21,75; 2. ელია ლუინი - ლეონარდო პეტინარი (იტალია) 6.23,47; 3. ტიბო შაპელი - პასკალ ტურონი (საფრანგეთი) 6.24,85

ვაჟები. მსუბუქი ოთხადგილიანი ცალმოსასმელიანი

1. საფრანგეთი (ლორან პორშიე, ჟან-კრისტოფ ბეტი, ივ ოსდი, ქსავიე დორფმანი) 6.01,68; 2. ავსტრალია 6.02,09; 3. დანია 6.03,51

ქალები. ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი

1. გერმანია (მანია კოვალსკი, მაიკე ევერსი, მანუელა ლუტცე, კერსტინ კოვალსკი) 6.19,58; 2. დიდი ბრიტანეთი 6.21,64; 3. რუსეთი 6.21,65

ვაჟები. ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი

1. იტალია (აგოსტინო აბანალე, ალესიო სარტორი, როსანო გალტაროზა, სიმონე რაინერი) 5.45,56; 2. ჰოლანდია 5.47,91; 3. გერმანია 5.48,64

ქალები. რვაადგილიანი

1. რუმინეთი (გეორგეტა დამიანი, ვიორიკა სუსანუ, იოანა ოლტეანუ, ვერონიკა კოჩელა, მარია მაგდალენა დუმიტრაკე, ელისაბეტა ლიპა, ლილიანა გაფენკუ, დოინა იგნატი; მესაჭე ელენა გეორგესკუ) 6.06,44; 2. ჰოლანდია 6.09,39; 3. კანადა 6.11,58

ვაჟები. რვაადგილიანი

1. დიდი ბრიტანეთი (ენდრიუ ლინდსი, ბენ ჰანტ-დევისი, საიმონ დენისი, ლუის ეტრილი, ლუკა გრუბორი, კიერან ვესტი, ფრედ სკარლეტი, სტივ ტრეპმორი; მესაჭე რაჯ შაჰი) 5.33,08; 2. ავსტრალია 5.33,88; 3. ხორვატია 5.34,85

## ფრენბურთი

### ვაჟები

23 სექტემბერი. IV ტური

A ჯგუფი

ჰოლანდია 3:1 ეგვიპტე

კუბა 3:0 ავსტრალია

ბრაზილია 3:1 ესპანეთი

B ჯგუფი

იტალია 3:1 რუსეთი

კორეა 3:2 აშშ

იუგოსლავია 3:1 არგენტინა

25 სექტემბერი. V ტური

A ჯგუფი

ავსტრალია 3:0 ეგვიპტე

ბრაზილია 3:0 კუბა

ჰოლანდია 3:1 ესპანეთი

B ჯგუფი

იუგოსლავია 3:2 კორეა

რუსეთი 3:0 არგენტინა

იტალია 3:1 აშშ

მეოთხედფინალი

27 სექტემბერი

ბრაზილია — არგენტინა

კუბა — რუსეთი

ჰოლანდია — იუგოსლავია

ავსტრალია — იტალია

### ქალები

24 სექტემბერი. V ტური

A ჯგუფი

ხორვატია 3:1 კენია

ბრაზილია 3:0 აშშ

ჩინეთი 3:0 ავსტრალია

B ჯგუფი

კუბა 3:1 პერუ

გერმანია 3:1 იტალია

რუსეთი 3:0 კორეა

მეოთხედფინალი

26 სექტემბერი

ბრაზილია — გერმანია

ხორვატია — კუბა

აშშ — კორეა

ჩინეთი — რუსეთი

## მაგიდის ჩოგბურთი

### ვაჟთა წყვილები

ფინალი

ვანგ ლიკინი - იან სენი (ჩინეთი) — კონგ ლიჰუი - ლიუ გუოლიანგი (ჩინეთი) 3:1 (22:20, 17:21, 21:19, 21:18)

მესამე ადგილისთვის

პატრიკ შილა - ჟან ფილიპ გატიენი (საფრანგეთი) — ლი ჩულ სეუნგი - იუ სეუნგ მინი (კორეა) 3:1 (22:20, 21:23, 21:19, 21:10)

### ქალები

ფინალი

ვანგ ნანი (ჩინეთი) — ლი ჟუ (ჩინეთი) 3:2 (21:12, 12:21, 19:21, 21:17, 21:18)

მესამე ადგილისთვის

ჩენ ჟინგი (ტაივანი) — ჯუნ ჰონგ ჯინგი (სინგაპური) 3:1 (18:21, 21:14, 21:15, 21:10)

### ვაჟები

ფინალი

კონგ ლინჰუი (ჩინეთი) — იან უვე ვალდნერი (შვედეთი) 3:2 (21:16, 21:19, 17:21, 14:21, 21:13)

მესამე ადგილისთვის

ლიუ გუოლიანგი (ჩინეთი) — იორგენ პერსონი (შვედეთი) 3:1 (21:18, 19:21, 21:14, 21:13)

## სროლა

ვაჟები. ნებისმიერი შაშხანა სამი მდგომარეობიდან

1. რაიმონდ დებრევეცი (სლოვენია) 1275,1; 2. იუჰა ჰირვი (ფინეთი) 1270,5; 3. ჰარალდ სტენვააგი (ნორვეგია) 1268,6

ვაჟები. მრგვალი სტენდი

1. მიკოლა მილჩევი (უკრაინა) 150,0; 2. პეტრ მალეკი (ჩეხეთი) 148,0; 3. ჯეიმს გრეივსი (აშშ) 147,0

## ბეისბოლი

23 სექტემბერი

იტალია 8:7 ავსტრალია

კუბა 6:1 კორეა

კორეა 7:6 იაპონია

სამხრეთ აფრიკა 3:2 ჰოლანდია

24 სექტემბერი

აშშ 12:1 ავსტრალია

კუბა 6:2 იაპონია

კორეა 13:3 სამხრეთ აფრიკა

ჰოლანდია 3:2 იტალია

ნახევარფინალი

26 სექტემბერი

კუბა — იაპონია

აშშ — კორეა

## წყალბურთი

### ვაჟები

23 სექტემბერი

A ჯგუფი

რუსეთი 6:4 ავსტრალია

ესპანეთი 8:7 ყაზახეთი

იტალია 11:8 სლოვაკეთი

B ჯგუფი

ხორვატია 10:7 აშშ

იუგოსლავია 9:1 ჰოლანდია

უნგრეთი 7:4 საბერძნეთი

24 სექტემბერი

A ჯგუფი

ავსტრალია 11:11 ყაზახეთი

ესპანეთი 7:6 სლოვაკეთი

რუსეთი 7:7 იტალია

B ჯგუფი

ხორვატია 9:5 საბერძნეთი

იუგოსლავია 8:5 აშშ

უნგრეთი 16:8 ჰოლანდია

25 სექტემბერი

A ჯგუფი

ავსტრალია 11:6 სლოვაკეთი

რუსეთი 9:7 ყაზახეთი

იტალია 6:5 ესპანეთი

B ჯგუფი

იუგოსლავია 10:3 საბერძნეთი

ხორვატია 8:7 უნგრეთი

აშშ 12:8 ჰოლანდია



REUTERS

რუსეთის ნაკრების თავდამსხმელი რევაზ ჩომახიძე (№7) ყაზახ ალექსანდრ ელკეს წინააღმდეგ

# არჩილ არველაძე ხუთიანებს დაეჩვია



REUTERS უნტერჰახინგიდან

უნტერჰახინგი — ჰერტა 5:2. ბერლინელი სებასტიან დაისლერი უნტერჰახინგელ ოლივერ შტრაუბეს ატყუებს... საბოლოოდ მოტყუებული „ჰერტა“ დარჩა

## გერმანია

### VI ტური

**მიუნხენი 3:1 ფრაიბურგი**

0:1 მიულერი (35), 1:1, 2:1 აგოსტინო (75, 84), 3:1 მაქსი (90)
მიუნხენი: იენჩი, ტაპალოვიჩი, ზელიჩი, შტრანცლი, კურცი, მიუკლანდი (ბაიერლე 54), ჩერნი (ბორიმიროვი 62), ბაიროფკა (პიურკი 81), პესლერი, მაქსი, აგოსტინო
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, კელი, ვილი, ცაიერი (შუმანი 59), ცქიტიშვილი (ვაისჰაუპტი 78), კობიაშვილი, ბაია, კულიბალი (სელიმი 68), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: მაქსი, კულიბალი, ბაია
გაძევება: კელი (89)
22 800 მაყურებელი

**კიოლნი 1:2 ბაიერნი**

0:1 ელბერი (15), 1:1 შერცი (41), 1:2 სანტა კრუზი (73)
კიოლნი: პრიოლი, ჩიკონი (ბარანეკი 78), კულმანი, სიჩონე, შერცი, ჰაუპტმანი, ვოიტი, ლოტნერი (დონკოვი 78), კროიცი, ტიმი, ა. არველაძე (კურტი 84)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ბაიერნი: კანი, სანიოლი (გიოქთანი 82), ანდერსონი, კუფური, ტარნატი, ფინკი, შტრუნცი, ჰარგრივსი (სფორცა 46), სალიჰამიჯიჩი, ელბერი (ლინკე 75), სანტა კრუზი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
41 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 0:4 შალკე**

0:1 ბიომე (39), 0:2 მპენზა (45), 0:3 ჰაინრიხი (60ს.კ.), 0:4 სანდი (76)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი (მეცელდერი 46), ჰაინრიხი, კოლერი, სტევიჩი, ევანილსონი, ოლისე (რიკენი 46), დედე, ადო, ჟ. რეინა, ჰერლიხი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ლატალი (აიგენრაუხი 80), კამპუისი, ტონი, ბიომე (მიკოლაიჩიკი 86), მიოლერი, სანდი (მულდერი 88), ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
გაფრთხილება: ჰაინრიხი, ლემანი, დედე, სტევიჩი, კამპუისი, ლატალი
68 600 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 4:4 ჰამბურგი**

1:0 რიშე (11), 2:0 აკპობორი (17), 2:1 მაჰდავიკია (44), 2:2 ფუკალი (50), 2:3 კარდოზო (64), 3:3 აკპობორი (74), 3:4 პრეგერი (82), 4:4 აკპობორი (90)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, გრაინერი, ონილი, ნოვაკი (კენედი 85), ვაისერი, კუჰბაუერი, აკონორი, სებესკენი, მუნტიანუ (მალტრიცი 60), რიშე (ტ. მარიჩი 73), აკპობორი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ფუკალი, ჰოოგმა, ჰერჩი, ნ. კოვაჩი, ტოფტინგი (სანდმანი 67), ჰოლერბახი, კარდოზო (კეტელაერი 76), მაჰდავიკია, პრეგერი (კინცი 86), ბარბარესი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: გრაინერი, ჰოლერბახი, ჰოოგმა
17 885 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:1 ბოხუმი**

0:1 პეშელი (11), 1:1 დანდი (90)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მაისნერი (ტ. შნაიდერი 68), სოლდო, ბორდონი (ზაიცი 46), კარნელი, ლისტეში, ტიამი, გერბერი (ბლანკი 73), ბალაკოვი, დანდი, განია
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, მამიჩი, რისტაუ, მილინოვიჩი, დიკჰაუტი, მაიხელბეკი, პეშელი, შინდცილორცი, ბასტურკი (ფრაერი 86), მანდრეკო (ბაკლი 68), ს. მარიჩი (ვებერი 81)
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
გაფრთხილება: სოლდო, მაისნერი, ბალაკოვი, ზაიცი, მაიხელბეკი, შინდცილორცი
18 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:1 აინტრახტი**

0:1 ჰელდტი (8 3), 1:1 ერნსტი (44)
ვერდერი: როსტი, ტიკუზუ (ჰერცოგი 46), ბარტენი, ფ. ბაუმანი, კრსტაიჩი (ფრინგსი 44), აილტსი (ვიკი 68), შტალტერი, ერნსტი, ბოდე, პიზარო, აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
აინტრახტი: ჰაინენი, ხუბჩევი, კუჩერა, ვაიმერი, კრახტი, შური, ლიოში, მუტცელი (გებჰარდტი 46), ჰელდტი, რაიხენბერგერი (პროისი 82), ჩირიჩი (ჩენ იანგი 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ბაუმანი, აილტონი
გაძევება: ხუბჩევი (50)
26 517 მაყურებელი

**კოტბუსი 1:2 ლევერკუზენი**

1:0 მირიუტა (6), 1:1 რინკი (24), 1:2 ბრდარიჩი (89)
კოტბუსი: პიპლიცა, მატიუში, შებოკი, ჰუჯუროვიჩი, ვატა, სკერბე, რეგეკამპფი (ტიელემანი 63), კობილანსკი, მირიუტა, ლაბაკი (ფ. ჰორვატი 46; ლატუნდი 84), ჰელბიგი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ჟივკოვიჩი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ტ. ჰოფმანი (ბ. შნაიდერი 53), რამელო, გრეშკო, ვრანიეში (ბრდარიჩი 53), ბალაკი, ნოივილი, რინკი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ჰელბიგი, რამელო, ნოვოტნი, ბალაკი
გაძევება: მირიუტა (90)
15 438 მაყურებელი

**ჰანზა 1:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 რიდლევიჩი (17)
ჰანზა: პიკენჰაგენი, შრიოდერი, იაკობსონი, ოსვალდი, ვიბრანი, იასერი, რიდლევიჩი, ემარა, ბრანდი (მაიაკი 72), ბაუმგარტი (ცალმანი 46), არვიდსონი (კოვაჩეკი 81)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, კლოსი, რამზი, ჰ. კოხი, კომლიენოვიჩი (ტარე 74), კლოსე, ხრისტოვი, შტრასერი (რაიხი 76), პეტერსონი, ჯორკაეფი (შტარკი 82), ლოკვენცი
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
გაფრთხილება: იასერი, ემარა, შტრასერი
15 000 მაყურებელი

**უნტერჰახინგი 5:2 ჰერტა**

0:1 ბაინლიხი (22), 1:1, 2:1, 3:1 ბრაიტენრაიტერი (34, 45, 48), 4:1 რაკლი (50), 5:1 შტრაუბე (84), 5:2 ზაიფერტი (88ს.კ.)
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, გრასოვი, ზაიფერტი, შვარცი, მატიას ციმერმანი, შტრაუბე, ობერლაიტნერი, კომადო (შპიცაკი 86), ზდრილიჩი (რაკლი 34), ბრაიტენრაიტერი (ჰირში 71)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი
ჰერტა: კირალი, რემერი, ტრეჩოკი (როი 63), ვან ბურიკი, შმიდტი, ბაინლიხი, დაისლერი, ჰარტმანი, ვოში, დაეი, პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: შტრემელი, ვან ბურიკი, რემერი, კირალი
10 000 მაყურებელი

თუ ბუნდესლიგის ცხრილს ჩახედავთ, იქ მეშვიდე ადგილზე „ქართულ“ „ფრაიბურგს“ აღმოაჩენთ. „ფრაიბურგის“ გასწვრივ თუ თითს გააყოლებთ, ნახავთ, რომ ამ გუნდს წინა აქვს ტურში ცხრა ქულა მოუგროვებია. მე თუ მკითხავთ, უფრო სამართლიანი იქნებოდა, იქ ცხრის ნაცვლად თორმეტი ეწეროს, ფოლკერ ფინკეს გუნდი კი მეშვიდეს ნაცვლად „დორტმუნდთან“ მესამე-მეოთხე ადგილს იყოფდეს.

პარასკევს „ფრაიბურგს“ სტუმრად „მიუნხენ 1860“-თან უნდა მოეგო, იგებდა კიდეც, მაგრამ...

ძნელია იმ მატჩის მოგება, რომელშიც ბედი არ გწყალობს. „ფრაიბურგმა“ „ოლიმპიაშტადიონზე“ კარგად ითამაშა, მეტოქეზე მეტი მომენტი შექმნა, ისედაც სჯობდა, მაგრამ მიმდინარე სეზონში პირველ მარცხს მაინც ვერ გადაურჩა, თანაც წინა ხუთ ტურში სულ ორი ბურთი გაეშვა, ახლა კი გოლცის კარის ბადე ერთბაშად სამჯერ შეირხა.

იაშვილიც, ცქიტიშვილიც და კობიაშვილიც ფინკემ ძირითად შემადგენლობაში დააყენა, თუმცა „სქიტო“ (როგორც გერმანელები უწოდებენ) 78-ე წუთზე შეცვალა. „ფრაიბურგის“ ერთადერთი გოლი სწორედ ცქიტიშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულს მოჰყვა. ლევანმა მიულერს პირდაპირ თავზე დაასვა ბურთი, მასაც გატანა არ გასჭირვებია. მანამდე გოლი იაშვილსაც უნდა შეეგდო, როცა ბაიას პასით პირისპირ დარჩენილმა მეკარეც მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარს ააცილა. იაშვილი მეკარესთან ერთი-ერთზე მეორე ნახევარშიც დარჩა, ქართველმა თავდამსხმელმა დარტყმას პასი ამჯობინა, კულიბალის კი შტრანცლმა დაასწრო, რომელმაც ძელის დახმარებით განმუხტა სიტუაცია. ისე, ძელს ბაიამაც გაარტყა. „ფრაიბურგმა“ სხვა მომენტებიც შექმნა, მაგრამ რად გინდა. აი, აგოსტინოს კი მატჩის ბოლოს ორი შანსი მიეცა, ორივე ტყუპისცალივით მსგავსი და ორივე გამოიყენა. მერე აგოსტინომ მაქსსაც გაატანინა და მატჩის გმირი გახდა. ეს ყველაფერი მან ბოლო 15 წუთში მოასწრო.

„კარგად ვითამაშეთ, მეტოქეს ვჯობდით კიდეც. არის თამაშები, როცა არ გიმართლებს, ეს სწორედ ასეთი მატჩი იყო. ბიჭები გაოგნებულნი არიან. სამი ქულა უნდა აგვეღო და უქულოდ დავრჩით“ — დამწუხრებული ამბობდა ნამატჩევს ფოლკერ ფინკე.

ტურის მთავარი ამბავი კი დორტმუნდში მოხდა. წლეულს საუცხოო ფორმაში მყოფმა „დორტმუნდმა“ ასევე ჩინებულად მოთამაშე „შალკეს“ უმასპინძლა. გამარჯვებას უმეტესობა მათიას ზამერის გუნდს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ სტუმრებმა მასპინძლები მიწასთან გაასწორეს, სულ კუდით ქვა ასროლინეს. „დორტმუნდის“ რბევა 39-ე წუთზე დაიწყო და 76-ეზე დასრულდა. ზამერი მატჩში გარდატეხის შეტანას კი შეეცადა, ცვლილებებიც მოახდინა, თუმცა არაფერმა გაჭრა. „ვესტფალენშტადიონზე“ მისული 70 ათასამდე ქომაგიც იმედგაცრუებული დარჩა.

„ძალიან კმაყოფილნი და გახარებულები ვართ. გვაქვს კიდეც ამის საბაბი, მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ. მთავარია, ახლა ზედმეტმა თვითდაჯერებამ არ დაგვღუპოს, თორემ ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება“ — განაცხადა „შალკეს“ ჰოლანდიელმა თავკაცმა ჰუბ სტევენსმა, რომლის ხელმძღვანელობითაც გელზენკირხენულმა კლუბმა 1997 წელს უეფას თასი მოიგო.

„ფრაიბურგის“ მარცხის შემდეგ „შალკე“ ერთადერთი წაუგებელი გუნდია. შალკელები ერთი ქულით ჩამორჩებიან ლიდერ მიუნხენის „ბაიერნს“, რომელმაც სტუმრად არჩილ არველაძის „კიოლნი“ იმსხვერპლა. მასპინძლებმა ელბერის მე-15 წუთზე გატანილი გოლი კი გაქვითეს, მაგრამ სანტა კრუზის ზუსტ თავურს ვერაფერი მოუხერხეს, არადა, საამისო მომენტები ჰქონდათ. არჩილ არველაძე კი ხუთიანებს ძალიან დაეჩვია. ქართველმა თავდამსხმელმა ამ ტურშიც ეს შეფასება დაიმსახურა, რაც მისი ცუდი თამაშის მანიშნებელია. „კიოლნის“ თავკაცმა ტრადიციას არც ამჯერად ულალატა, ჩვენებურად 84-ე წუთზე შეცვალა. მატჩის გმირი კი ვინ იცის, უკვე მერამდენედ ბავარიელთა მეკარე ოლივერ კანი გახდა, რომელმაც რამდენიმე ძნელად მოსაგერიებელი ბურთი მოიგერია.

„ლევერკუზენმა“ მთელი სული და გული ჩააქსოვა „კოტბუსთან“ საგარეო შეხვედრაში. მასპინძლებმაც თავი არ დაზოგეს, მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, თუმცა მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ. არადა, თავიდან იგებდნენ კიდეც. მირიუტამ ჯარიმიდან გახსნა ანგარიში. სტუმრებმა მალევე კი გაათანაბრეს, მაგრამ გამარჯვების გოლი ბოლოსწინა წუთზეღა გაიტანეს. მანამდე კი „ლევერკუზენის“ გაკრიტიკებულმა თავკაცმა კრისტოფ დაუმმა გვარიანად ინერვიულა, მხნელად კი შეცვლაზე შეყვანილი ბრდარიჩი მოევლინა, რომელმაც გრეშკოს პასით 89-ე წუთზე იხეირა — 2:1.

„ჰამბურგი“ „ვოლფსბურგს“ ეწვია და... ისევე, როგორც „იუვენტუსს“, 4:4 დაუზავდა. ამ სახიფათო მომენტებითა და გოლებით დახუნძლულ შეხვედრაში სტუმრები, იტალიელებთან მატჩის არ იყოს, ჯერ აგებდნენ, მერე — იგებდნენ, ბოლოს კი ფრეს დასჯერდნენ. „ვოლფსბურგმა“ მატჩის გადარჩენა „იუვენტურსის“ დარად ბოლო წუთზე შეძლო. „ჰამბურგს“ მაშინ ფილიპო ინძაგიმ გაუტანა სამი გოლი, ახლა კი ეს ჯონათან აკპობორიმ გააკეთა. ის მატჩი ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მშვენება იყო, „ვოლფსბურგი“ — „ჰამბურგი“ კი ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეექვსე ტურისა. ცნობისთვის, ამათი შარშანდელი მატჩიც 4:4 დასრულდა, მაშინ ჰამბურგელებს სამი გოლი სებესკენმა გაუტანათ.

ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნმა“ „ჰანზასთან“ 0:1 წააგო, თუმცა მეკარე გეორგ კოხი რომ არ ჰყოლოდა, სულ მთლად განადგურდებოდა. „ჰანზას“ კი მწვრთნელის შეცვლამ მართლაც არგო. ბოლო სამ ტურში შვიდი ქულა — აი, როსტოკელთა მონაგარი.

„უნტერჰახინგმა“ კი ბერლინის „ჰერტა“ იწვია და შავ დღეში ჩააგდო. თავიდან, მართალია, სტუმრები დაწინაურდნენ ბაინლიხის გოლით, მაგრამ მერე ბარიტენრაიტერმა ჰეთ თრიქი შეასრულა. მას მხარი თანაგუნდელებმაც აუბეს და 5:2-იც გამოცხვა.

**ვანო ოქრობირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:6 | 10 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 7 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 |
| 2 | შალკე | 6 | 4 | 2 | 0 | 15:3 | 12 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 7 |
| 3 | დორტმუნდი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:11 | 1 | 12 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:4 | 5 | 9 |
| 4 | მიუნხენი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 3 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 |
| 5 | აინტრახტი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 6 | ლევერკუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 0 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 4 |
| 7 | ფრაიბურგი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:5 | 5 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 |
| 8 | ჰერტა | 6 | 3 | 0 | 3 | 14:11 | 3 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:0 | 10 | 9 | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | -7 | 0 |
| 9 | ჰამბურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 14:14 | 0 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 8:8 | 0 | 4 |
| 10 | ვოლფსბურგი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:12 | 0 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 10:5 | 5 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 0 |
| 11 | შტუტგარტი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 |
| 12 | ლაუტერნი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | -5 | 1 |
| 13 | ჰანზა | 6 | 2 | 1 | 3 | 3:10 | -7 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 3 |
| 14 | ბოხუმი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:13 | -9 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:8 | -6 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 4 |
| 15 | კიოლნი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:9 | -1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |
| 16 | ვერდერი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:9 | -1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 1 |
| 17 | უნტერჰახინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | -3 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | -7 | 0 |
| 18 | კოტბუსი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:16 | -10 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | -8 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აგოსტინო (მიუნხენი) | 6 |
| ჰერლიხი (დორტმუნდი) | 6 |
| იანკერი (ბაიერნი) | 6 |
| სანდი (შალკე) | 6 |
| მპენზა (შალკე) | 6 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 5 |

### VII ტური

29 სექტემბერი
აინტრახტი - დორტმუნდი
30 სექტემბერი
ბოხუმი - უნტერჰახინგი
ჰამბურგი - შალკე
ბაიერნი - ჰანზა
ლაუტერნი - კოტბუსი
ჰერტა - კიოლნი
ლევერკუზენი - მიუნხენი
1 ოქტომბერი
ფრაიბურგი - ვერდერი
ვოლფსბურგი - შტუტგარტი

## მეორე ბუნდესლიგა

### VI ტური

**ნიურნბერგი 3:1 დუისბურგი**

0:1 მ. ცაიერი (24), 1:1 შტოილახი (29), 2:1 დრილერი (63), 3:1 კრჟინოვეკი (69)

**ზანქტ პაული 2:0 არმინია**

1:0 ველაგე (49), 2:0 მეგლე (61)

**ალენი 1:1 კიკერსი**

1:0 ბელა (59), 1:1 ფაინბერი (83ს.კ.)

**ობერჰაუზენი 4:1 ქემნიცი**

1:0, 2:0 ობადი (5, 20), 2:1 ივანკოვიჩი (56), 3:1, 4:1 ვაიერი (64, 70)

**ოსნაბრუკი 0:1 ჰანოვერი**

0:1 შტენდელი (90)

**მაინცი 1:0 ფიურტი**

1:0 კრამნი (13)

**ვალდჰოფი 1:1 როიტლინგენი**

0:1 ჰოფაკერი (16), 1:1 ვუკოტიჩი (87)

**ულმი 3:1 ზაარბრიუკენი**

1:0 ლეანდრო (18), 1:1 ბარტოლოვიჩი (71), 2:1 როსლერი (73), 3:1 შარინგერი (90)

**ალემანია — მიონხენგლადბახი**

იხილეთ მეორე გვერდზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:3 | 16 |
| არმინია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| ზაარბრიუკენი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:7 | 13 |
| ზტ. პაული | 6 | 4 | 0 | 2 | 189 | 12 |
| ჰანოვერი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ალემანია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| როიტლინგენი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 |
| ობერჰაუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 86 | 10 |
| გლადბახი | 5 | 2 | 3 | 0 | 10:3 | 9 |
| ფიურტი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:8 | 7 |
| ულმი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 7 |
| ვალდჰოფი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:14 | 7 |
| მაინცი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:10 | 6 |
| კიკერსი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:12 | 5 |
| დუისბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:8 | 4 |
| ქემნიცი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | 4 |
| ალენი | 6 | 0 | 2 | 4 | 7:17 | 2 |
| ოსნაბრუკი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:12 | 1 |

# 11 მილიონი მოგებისთვის

## ესპანეთი

III ტური

### რეალი 4:1 ბილბაო

1:0 გუტი (15), 2:0 რობერტო კარლოსი (34), 3:0 გუტი (47), 4:0 მუნიტისი (66), 4:1 ესკერო (92)
რეალი: კასილიასი, კარანკა, რობერტო კარლოსი, სალგადო, გუტი, სოლარი, ფლავიო კონსეისაო, მაკელელე (იერო 46), ელგერა (რივერა 60), მუნიტისი, ფიგუ (სანჩისი 77)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ლარაინსარი, ალკორტა (რობერტო რიოსი 46), ალკისა (ფელიპე 60), ი. გერერო, ორბაისი, ოსკარ ვალესი, ურსაისი, ხ. ეჩებერია (იესტე 46), ესკერო
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
გაფრთხილება: ეჩებერია, იერო
75 000 მაყურებელი

### ბარსელონა 3:1 რასინგი

1:0, 2:0 კლუივერტი (33, 55), 2:1 ესპინია (60), 3:1 ოვერმარსი (92)
ბარსელონა: არნაუ, სერხი, ფ. დე ბური, აბელარდო, ოვერმარსი, დე ლა პენია, პეტი (რაიციგერი 53), ხერარდი, რივალდო (ალფონსო 77), კლუივერტი (დანი 76), სიმაო
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
რასინგი: სებალიოსი, ალვარესი (მორანი 62), ნაფტი, სიეტესი, მელბერგი, ამავისკა, ხაიმე, ესპინია, მანხარინი (რუშფელდტი 84), ბესჩასტნიხი, პინედა
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
გაფრთხილება: დე ბური, სიმაო, ამავისკა, ხაიმე, დე ლა პენია, მელბერგი
გაძევება: დე ბური (87), დე ლა პენია (90)
75 000 მაყურებელი

### სოსიედადი 1:1 დეპორტივო

1:0 იანკაუსკასი (5), 1:1 პანდიანი (57)
სოსიედადი: ასპერი, პიკაბეა, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, კორინო, ლორენი, დე პედრო (გურუჩაგა 52), არანბურუ, იანკაუსკასი (დე პაულა 78), იდიაკესი (ხოხლოვი 71), კოლე
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
დეპორტივო: მოლინა, პელდერი, რომერო, მანუელ პაბლო, ფრანი, ვალერონი (პანდიანი 51), ვიქტორი, მაურო სილვა, ემერსონი (ჯალმინია 55; სეზარ სამპაიო 65), დონატო, დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: კორინო, პელდერი, პიკაბეა, ლორენი, ვიქტორი, სეზარ სამპაიო, მოლინა
გაძევება: ლორენი (49), პანდიანი (58)
20 000 მაყურებელი

### ნუმანსია 0:3 ვალენსია

0:1, 0:2 ხუან სანჩესი (76, 84), 0:3 ვისენტე (86)
ნუმანსია: ნუნიესი, ხაუმე (დელგადო 81), პაჩეტა (ბარბუ 58), მანელი, სორია, მუნისი, ნაგორე, მარინი, რუბენ ნავარო, ოხედა (ოქტავიო 46), ინიაკი
მწვრთნელი: ფრანსისკო ერერა ლორენსო
ვალენსია: კანისარესი, კარბონი, პელეგრინო, ჯუკიჩი, ანგლომა, ვისენტე (აიალა 85), ბარახა, მიია (ზაჰოვიჩი 70), მენდიეტა, ხუან სანჩესი, დიეგო ალონსო (კარეუ 46)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: სორია, მიია, დიეგო ალონსო, ვისენტე, ბარახა, მარინი
გაძევება: სორია (38)
8 000 მაყურებელი

### სელტა 1:0 ესპანიოლი

1:0 კატანია (20)
სელტა: პინტო, ველასკო, ხუანფრანი, ჯოროვიჩი, კასერესი, მოსტოვოი, ხესული (ჯოვანელა 46), დორივა, კატანია, ვაგნერი (მანოლო 67), გუსტავო ლოპესი (კოირა 89)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ესპანიოლი: მორა, ნანდო, როტჩენი, კრისტობალი, როხერი, არტეაგა (სერანო 76), გალკა, სერხიო, მანელი, მარტინ პოსე, ივან დიასი (დე ლუკასი 65)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: კასერესი, მარტინ პოსე, ხუანფრანი, როხერი
გაძევება: როტჩენი (90)
22 000 მაყურებელი

### ოსასუნა 2:2 რაიო ვალეკანო

1:0 საბინო (12), 1:1 კევედო (33), 1:2 ბოლო (59), 2:2 არმენტანო (78)
ოსასუნა: ნუნო, იანგუსი, კრუჩაგა, ივან პერესი (მორა 68), მატეო, პალასიოსი, ალექსი (ალფრედო 46), ანხელი, ალფონსო (არმენტანო 73), ივან როსადო, საბინო
